

გონების



3

2022



აჭარის მწერართა სახლი

ISSN 0134-3459 22003
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 64-ე წელი

მაისი-ივნისი

№3

2022 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაზა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჭარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქაბურია
ვასტანგ ლლონტი
თინა შიოშვილი
მანია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2022

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



9 770134 345001

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

მოუნია, ჯიქა

ზაალ ებანოიქა – ლექსები	3
ზურაბ შაშიკაძე – მოთხრობები. მინიატურები	11
ქალთამაზა ანა სურმანიძე – ლექსები	30
ქეთი ჯოჯორდი – ლექსები	45
მზია სალვარიძე – მოთხრობები	51
სოფიო ღლონტი – ლექსები	59
ნინო კაკაბაძე – ლექსები	68
ნოდარ ბასილაძე – მოთხრობები	73

თანაკანი

ლუიჯი პირანდელო – ქვევრი (იტალიურიდან თარგმნა ნიკოლოზ შამუგია)	77
--	----


ჩიბიქა, ჯულიუსიქა

ტარიელ ფუტყარაძე – ილიას „განდევლის“ ტექსტი და ქვეტექსტი	84
იამზე ვაშაკიძე – „დუმის ქარაგმები“	93
როსტომ ჩხიძე – მომხიბლავ ფერად და ხვეულად	106
შორენა მახაჭაძე – ლექსად გარდაქმნილი საქართველოს უახლესი ისტორია	108
– წითელ წიგნში შესატანი სიყვარული	112

წილი

მიხეილ მახარაძე – ქართველ ფილოსოფოსთა ოქროს თაობის გამორჩეული წარმომადგენელი	116
---	-----

ჯონია, ჯონია



ზაურ ეპანოიძე

თავმოსაწონი ქართველი

შოთა ზოიძის ხსოვნას

გამორჩეული სონეტი, სიტყვაში სიტყვის ჩასმა,
წილნაყარია ყოველთვის ნაღდი პოეტის წვასთან.

თეთრი თმა. სახე-ნათელი. ტანზეც – სამოსი თეთრი,
თავმოსაწონი ქართველი – მართლა ნამდვილად დენდი.

აჭარის მთებზე ნისლებმა აიფელიკა თავი,
ლექსია შენი ღირსება, შენი ბრძოლაც და ზავიც.

ჭვანის ხეობას ჩავცქერი და პულსს ვუსინჯავ დრო-ჟამს,
მოჩანს ფლატეზე ჩანჩქერი, საყურესავით მოჩანს.

მეტაფორების ხანძარი გულში სათუთად მალე,
რა მზე, რა მოლი, რა ცვარი იშინაურებს თვალებს.

ლექსი „სანქციის“ გარეშე არის ხელწერა შენი,
ახლაც მზე გიდგას თვალებში და კურცხალივით გშვენის.

მარცვლებს რო დაიმარტოვებს და წრეში აქცევს სიტყვა,
სმენაში სხვა ხმას ჩატოვებს ამ დროს ნაპოვნი რითმა.

თვალდასადგამი მიგნება, დისონანსები, ხიბლი...
დამძიმებულა ფიქრებით ტექსტი გარეთ და შიგნით.

შიგნიდან მიმზერს ოთოლთა – კლდე, ამოზრდილი ციხედ
და შემოდგომის ფოთოლი ბებერ სანუხარს მიმხელს.

შენ შენი გქონდა ხმა – ტონი, შენი „ნაღმი“ და „დენთი“,
ფაქიზი სმენის პატრონი – წერდი, რა კარგად წერდი.

ესეი, გამორჩეული – ორლესულიც და მყიფეც,
რომ კითხულობ და სხეული მჩატე ჟრუანტელს იფენს.

ბათუმის ქუჩებს დავყვები და უშენობას ვგლოვობ –
მე ამ ტკივილის გამხელით ცოტა ნუგეში ვპოვე.

ტყუპისცალი ხარ ქალაქის, ფერი რომ დაკრავს ლილის,
როცა არ მიხსნის დანა პირს, მე მაშინ გულში ვტირი.

ფიქრი რამ ამიზვიადდა და ამამჩატა სულაც,
რომ მტკივა, ის რომ მე არ ვთქვა, გული წაიღებს წყლულად.

ძმა მყავდი ფიც-ვერცხლ ნაჭამი, ძმაზეც უფრორე მეტი,
რა დღე, რა წუთი, რა წამი – უერთმანეთოდ ჩვენთვის.

ამ დღემაც ჩაიდაისა, შუქად დაადნა სერებს,
ნიავიც ტირის თავისას ქარის ტირილის მერე.

მიმიძღვის შენი ხატება და გულნატკენი მივალ,
ცრემლს ცრემლი მიემატება – ლანზე გადგება მძივად.

ქათქათა ქალაქს უმღერის მართლა ქათქათა ქარი,
სიზმარში გნახე წუხელის – შუქი გემოსა მთვარის.

ხარობდი ჩემი დანახვით – წუთის აღდგენას ვცდილობ –
შუბლზე გეფინა ბალახი, როგორც ძმრიანი ტილო.

თეთრი თმა. სახე – ნათელი. ტანზე სამოსი თეთრი.
თავმოსაწონი ქართველი – მართლა ნამდვილად დენდი.

ანწლი

და ტოკავს ახლაც ლერწამი ტბორთან –
მესალამურე პატარა მწყემსი;
ზამთარი მიდის და თითქოს მოთბა
და თითქოს უფრო გნებდება ლექსიც.

ხე – კვიპაროსი – წინარე კაცი,
ქალი – ლოტოსი – ისიც ასევე;

„მე ვინ ვიყავი?!“ – იკითხავს ანწლი
და მოკრძალებით თავს შეგახსენებს.

ფიქრი ძახველზე და ფიქრი ბზეზე,
ფერაფერაზე – ფერში ნაზავზე,
ჯერ თითო-თითოდ ალაგებ ხელზე
და მერე თვალში ერთად ათავსებ.

იღვრება ციდან ფერადი სითხე,
სითხიდან – შუქი, შუქიდან – ჩრდილი,
ჯერ თითო-თითოდ ასხლტება სიმზე,
ჯამდება მერე და ერთად ტირის.

და შედის ჩქამი, ჩქამი და ბგერა
სიტყვაში – როგორც საკუთარ სახლში;
შორს – წყალში ახლაც კანკალებს თხმელა –
დედინაცვლისგან დასჯილი ბავშვი.

ხე – კვიპაროსი – წინარე კაცი,
ქალი – ლოტოსი – ისიც ასევე;
„მე ვინ ვიყავი?!“ – კვლავ გკითხავს ანწლი
და მოკრძალებით თავს შეგახსენებს.

ბნაღი ბხსნა

დევეს სასთუმალი – ყინულის ლოდი
და საფეთქელის ხმაური ბზარავს;
დამდგარა ფეხზე და შენსკენ მოდის
კაცი კი არა – დეკემბრის ჩალა.

ცეცხლზე შემდგარი ქვაბივით ისვრის
პეპლების შხეფებს ბალახის ტბორი,
და როგორც კარავს ახურავს ისლი –
შენ, ახლა, ჩრდილი გახურავს ქორის.

და მიდის თვალწინ მდინარე, – ლიბერ
ტალღას მიჰყვება სილა და ხრეში;
რა უნებურად აწუხებ ჯიბეს –
კვლავ სიღარიბე ამოგდის ყელში.

მაინც გიხმობენ? – პასუხი გმართებს
და გულის სითბოს გაყოფა სხვისთვის;

ხანდახან დუმის აუნთებ სანთელს
და მაჯის ნაცვლად ხმაურობს სისხლი.

არის ნუთები, როდესაც შიშველ
განცდას გაცრეცილ ნილაბით მაღავ
და ხელს ხავსისკენ იმიტომ იშვერ,
რომ თავის რწმენა შესძინო ბალახს.

მოზონება: „მკვდრის მზე“

საღამო. სოფლის პატარა დეღე.
ჩხრიალი ართობს ხავსიან ყურეს,
და ტანზე იცვამს იმდაგვარ ფერებს,
რომ უნებლიე რიდს იმსახურებს.

იტყვი – „ასკილი გამდნარა თალხში
და ფერაფერას დარბევას ცდილობს“,
ამოიმშრალეხს თვალს რიდით თავშლის:
„ახლა „ისინი“ თბებიან, შვილო“.

დაეძებ მაგრამ არავინ არ ჩანს,
არა და მოლზე თვალდათვალ ტირის
შუქი და – ამ დროს იყივლებს ყანჩა
და სოფლის თავზე გადგება ჩრდილი.

მერე ნარჩიტა დაფრთხება ნარზე,
ძერაც უეცრად წააგდებს კისერს –
მზრუნველი ხელი გახურავს თავზე
მშობელი დედის და ლოცვას ისმენ.

ზიარო ტემსტი

ჰაერში ხელებს გაშლი და გსურს აიმგზავრონ ხელებმა
აყვავილებულ ვაშლიდან – უთქმელი ბედნიერება.
ხმაურს ზიარად დავეძებთ – ბგერებს შევხსენით ღილები
და ცის უხილავ საცეცებს ცალ-ცალკე ვემორჩილებით.
ჭალებს რომ გამოალვიძებს ღვალ-მოლოქა ტუხტები,
საკუთარ ლანდებს ვაბიჯებთ და გვეკვეთება მუხლები.
რომ ხატავ – ფიქრის გარეშე, რომ ვფიქრობ – ხატვის თანხლებით,
ცრემლი რომ გიდგას თვალეზში, რომ ვხედავ – ხომ მეთანხმები.

ნაირ-ნაირი ფერების შუქში ჩამდგარა ქუჩები,
 უთქმელი ბედნიერებით თანდათანობით ვმუნჯდებით.
 სულის ზიარი შებერვით გულში ხანძარი გვინთია,
 სამყარო, მუდამ ბებერი, ნაუკითხავი მითია.
 შორიდან მზერით ამონმებ, ახლოდან ხელით ვეხები.
 ან არაფერი გაცეხს, ან მაცეხს და ვერ ვხვდები.
 „საკურცხლეს“ არქმევ არათითს – კურცხალს ამ თითით იმშრალვ.
 მტრედის მოტანილ ბარათის – მესაიდუმლედ მნიშნავენ.
 გაღიხამხამებს მზის სხივი და სივრცე უფრო ღრმავდება,
 ჩვენს აჩვილებას ვინ ჩივის – სხვაც ბევრი სევდიანდება.
 და ციტატების ჯაგანით ტექსტის კედლები შენდება
 და სასაუბრო საგანი თანდათან მშვენიერდება:
 „ეკალში ვარდი შევნიშნე“ – ვთქვი და ამჩატდა სხეული,
 ჩაიარე და ვერ გიცნეს – ესეც ბედია რჩეულის.
 „წყალი ჩქეფს, ხევი ჩატირის“ – ბაგეს მოადგა ანაზდად,
 ფერდობმა მჩატე მანდილით პირ-სახე გაილამაზა.
 „ტყდება, ნანაობს ეთერი“ – „ჩქარი“ შენ წამომამშველე,
 სტრიქონს სინაზე შეჰფერის, ღანვს რო კურცხალი ამშვენებს.
 „ხაზარეთისკენ მიფრინავს“ – ნეროს წიაქიც იცნობა,
 ადგას სამყაროს გვირგვინად უთქმელი მარადისობა.
 „შავი ფიქრები გროვდება“, ახსნან მიზეზი – არ ელი,
 სამარეს უახლოვდება ლანდი – ტერენტი გრანელი.
 „ავადმყოფობა ეგონათ“ – ახსნა ნუხილი თავისი,
 წყვდიადი დაიმეგობრა, ძმად გაიხადა დაისი.
 „რადგან სამოთხის დახატვა“ ნატვრამ ფეხდაფეხ იარა,
 ვერ დაიტია ქალღმერთი – ნაყვა წყლულად და იარად.
 წარბი თამაშობს თავისით – უხმო, უტექსტო მკითხავი,
 რას მიმანიშნებს, რა ვიცი თავად თუ იცი, მითხარი.
 სალამოს ხშირი ბინდია – მოწყენილობა ჩვეული,
 მთა-მთა ნისლები მიდიან, მიაქვთ მსუბუქი სხეული.
 მზერას რომ მორცხვად ვაჯამებთ და ერთმანეთში ვრიგდებით,
 ტექსტი მოითხოვს მაჯამებს, მაგრამ გვალაატობს რითმები.
 მწვანე ძეწნების ხელშია დობილოების ჩრდილები,
 ცოტ-ცოტა, რაც რომ შეგვმლია – გვამდიდრებს გამოცდილებით.
 ჩურჩული, ლოცვის ხასიათს, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ იმშვენებს –
 დასაბამიდან ასეა – „ღმერთო, მაღალო, მიშველე!“
 სინათლე ეპირდაპირა ბნელს და გაკვეთა წყვდიადი,
 ვზივართ მდინარის ნაპირთან... – სიტყვაა ჩვენი ხმიადი.
 წყლის აზვირთებით მჩატდება მდინარისპირი ყანები.
 და ჩვენს გარშემო რაც ხდება – ფარულად ვეთაყვანებით.
 ორქოლი აუდის აოშილ მინას და კვალში ფართქალობს
 და ცის ქათქათა საშოში გატრუნულია სამყარო.

მინდვრის ხელწერა

უხმო ალერსით მათრობელი რთველობის თვეა,
შემოზარულა მინანქარი, ბროლი, ბალახში;
ჭაობებიდან ბოლო წერო მიდის და მიაქვს
სითბო – საგზალი ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში.

ამჩატებულა სანახები ცის თავანებით,
მზის ნატერფალზე სინანულმა გაიზარშინა;
ნეტავი ეს დღე ვის დავანებო,
და მეც წავიდე – წეროს წასვლამ რა მიმანიშნა?!

ელვის ნერვიულ ნათებიდან გამოიხატა
დამუნჯებული სინამდვილის თრთოლვა ფარული;
რჩება მიწაზე გაუვალი ტევრი ნილაბთა
ძმობა, ღალატი, სიძულვილი და სიყვარული...

და მეც აქა ვარ, ცა მახურია,
აჟღერებული ხეივნების მჩატე სამოსით,
ეს ერთგულება მხოლოდ შენი სამსახურია
და მოლოდინი – ერთხელ მაინც ფეხად ჩამოსვლის.

ჩვენ შორის ზოგჯერ – სიფრიფანა წვიმის მესერი,
ზოგჯერ პირიქით – გაუვალი რამე წყვდიადი,
სწორედ ასეთ დროს შემახსენებ მინდვრის ხელწერით
თავს და ხელახლა ვინათლები ცის სიდიადით.

არის! – წამისად ამოხედვას შევიძლებ როცა,
გამიმთავრისებ გაორებულ ფიქრებს დროებით;
შენს მესენაკეს ბედმა ხელში კელაპტრად მომცა
ძილგატეხილი შემოდგომის საღამოები.

კითხულობს თვალი

კითხულობს თვალი ბედ-იღბლის წერილს
და ვარსკვლავების ფარსაგად შემხმარ
ტოტიდან ფეხით ჩამოდის ბნელი –
ბნელი გახურავს და ბნელზე წევხარ.

მოძრაობს გზა თუ მოძრაობს თოკი
და ქარის ტირილს პასუხობს მინა,

და ოპტიმიზმით დამძლარი ჯოგი
დაყრილა აქვე და მშვიდად ხვრინავს.

მამლის ყვილი – ასანთის ღერი –
ეს ერთადერთი იმედი ხსნისთვის,
გაკრული რამე იდუმალ ხელით
აქა-იქ მბჟუტავ ნაპერწკალს ისვრის

და ჩნდება ბზარი და ბნელის ფსკერზე
დაცურავს თვალი შიშით და თრთოლვით,
და მიზეზ-მიზეზ მწვანე ხავსს ეძებს
და ხავსის ნაცვლად – თრთვილი და თოვლი!

„დაიქცეს!“ – ყვირი და მერე წუხარ,
რაზე და რატომ, ჩვენ შორის დარჩეს,
გატეხავ შეშას და მშიერ ბუხარს
სულ თითო-თითო მუგუზლით არჩენ.

და დგება წუთით, როდესაც მთენთავ
დუმილზე ზანტად ეყრდნობი მხრებით,
მერე უეცრად უბიძგებ შენს თავს
შენგან და მაინც შენშივე რჩები.

თუ რამე ამ დროს ღარღილობს – რუა,
და როცა ისიც ვერაფერს ვერ ცვლის,
ჭიშკარზე მთვარის გალეულ ყუას
აჭედებ ფრთხილად და ავთვალს ებრძვი.

უნივერსალური ვაქცინა

როცა გრიგალი ბრუნდება ქარში,
ქარი – ნიაფში და ქრება ჩქამი,
შენში თანდათან იღვიძებს ბავშვი
და ბავშვის თვალთ უყურებ ამინდს.

აიყვან პეშვით ქოთქოთა წყაროს –
რამე სიცივეს და რამე სითბოს;
კაცმა რომ გკითხოს – წუხხარ თუ ხარობ,
წუხხარ თუ ხარობ კაცმა რომ გკითხოს.

ასეთ დროს ცისკენ მიიწევს ცეცხლი,
ცეცხლიდან – ალი, ალიდან – ნისლი,

ხოლო მინაზე კვალს ტოვებს შეცვლილს
ღვინოში – წყალი და წყალში სისხლი.

და შეცვლილ კვალზე რომ გინდა გავლა
და დათვლა მაჯის – ამ დროს რომ გიცემს:
გვალვებით უნდა ებრძოლო გვალვას
და სიცხით უნდა ებრძოლო სიცხეს.

ორშაბათი საღამო


არც რა უფსკრულთა თავსა ბნელის შიში არსებობს,
წყალთა დაშრობაც ხმელსა ზედა – არც რა ერთიან...
ვნეწვარ დაღლილი სვრელის თავში და ჩემს გარშემო
ბინდში თანდათან შემავალი იმერეთია.

რა, რა შევძელი დღეს ისეთი, სათქმელად ღირდეს,
ჩემი ნუხილით ვისთან ახლოს, ვისთან შორსა ვარ;
თავს წამართმევდეს ნუთიერი ნათვლემა ვიდრე,
მსურს, ერთხელ კიდევ გადავავლო თვალი ორშაბათს:

წარბთან მარჯვენა მიტანილმა გავხედე ამინდს,
როცა ფრთოსნების ჟრიაშული ტყვიდან მოისმა;
და განთიადი – მტრედისფერი და მჩატე ჟამი,
ათქვირებული ნაყოფივით ცამ გამოისხა.

მომესალმა დილის ქარი... ფიფქების ჭორფლით,
ქარის სინაზის ავხსენ ქარაგმა;
და საღამომდე, ნვეთნვეთობით დაღვრილი ოფლით,
ენის უთქმელად – გული ჩემი გელაპარაკა.

მინყნარებული შელამება კედლებს იშენებს,
იგრძნო ბალახმაც ეს – ის არის ცვრების საყურე;
ვიდრემდის ციდან შენის ნებით ხელს შემიშვებენ,
ინებე ჩემი ერთგულება და მიმსახურე.



ზურაბ ხაშიკაძე

ლოპიტალის წესი

ლოპიტალის წესი, წესია მათემატიკაში, მათემატიკურ ანალიზში. ის გამოიყენება ფუნქციათა ზღვრების გამოსათვლელად.

ჩვენი სტუდენტური რაზმი მესამე შრომით სემესტრში ენგურჰესის მშენებლობაზე გაემგზავრა. დაბა მზიურში დავსახლდით. ეს დაბა აფხაზეთშია, გალის რაიონში და უშუალოდ ქალაქ გალს ესაზღვრება.

ჩვენს რაზმში იყო დავითიც, მეტად გონიერი ბიჭი. როგორც ყველა ნიჭიერი, დათოც ზარმაცი იყო, მაგრამ, სხვა ნიჭიერებისაგან ცოტათი მაინც განსხვავდებოდა, ის ნამეტნავი ზარმაცი გახლდათ. მათემატიკის სპეციალობაზე სწავლობდა და კინალამ მეორე კურსზეც იყო გადასული. კინალამ იმიტომ, რომ იმ გაგანია ზაფხულში საკმაოდ გრილი საშემოდგომო დავალიანება ჰქონდა გამოყოლილი, თანაც, მაინცადამაინც ზემოთ ნახსენებ მათემატიკურ ანალიზში. მისი ჯგუფელები ხუმრობდნენ, გასვლა დაეზარა, თორემ მაგ გამოცდას ცალი ხელით ჩააბარებდაო.

შრომით სემესტრში ტრდიციასავით გვქონდა, ბიჭები თავს სამართებლით ვიპარსავდით. ახლაც მახსოვს ის სიამოვნება, რომელსაც განვიცდიდი, როცა მზით გახურებულ მოტველებილ თავს ონკანიდან მოშვებულ ცივი წყლის ნაკადს შევეშვერდი და წყლის ჭავლი მასზე რაკა-რუკს ატეხავდა. მოლაპლაპე თავზე მზის დამწვრობა რომ არ მიგველო, გაზეთებისგან ქუდებს ვაკეთებდით და იმას ვიხურავდით. მაშინ სუფრისხელა გაზეთი ორი კაპიკი ღირდა! დავითი აქაც გამოირჩა. მან ცხვირსახოცი ოთხივე მხრიდან განასკვა და იმას იხურავდა.

ერთ კვირა დღეს ასეთი „ქუდით“, მეჩეთის მოლასავით შემოსილი დავითი გალის საკოლმეურნეო ბაზარში შელაყლაყდა. თითქოს ელოდნენო, ბაზარში ხეირიანად შესულიც არ იყო, რომ ორმა მილიციელმა მას ხელი სტაცა და მილიციის განყოფილებისაკენ გააქანა.

ახლა თვითონ დავითს მოვუსმინოთ:

დამსვეს, თუ მიმაბეს სკამზე. გამჩხრიკეს. არც პასპორტი, არც სტუდბილეთი ან რამე საბუთი, არც კაპიკი ფული. მინახეს მხოლოდ გაცრეცილი სათამაშო კარტი, რომლითაც მეგობრები თავისუფალ დროს ჯოკერს ვთამაშობდით. მერე ოთხმა თუ ხუთმა კანონის მსახურმა ერთად დამიწყო ჯვარედინი დაკითხვა.

– სახელი?! – მკითხა პირველმა და თან საჩვენებელი თითი ჭიპს ზემოთ მატაკა.

– დავითი, – ძლივს ამოვიბლუკუნე სუნთქვაშეკრულმა.

– გვარი?! – გააგრძელა დაკითხვა მეორემ და მოზრდილი ხაპის ზომის მუშტი ნიკაპს ქვეშ ამომდო. ვუთხარი.

– მამის სახელი?! – ჩაერია მესამე.

ვუთხარი.

გამილანუნა.

თან მცემდნენ და თანაც მაგინებდნენ. ცემის შესახებ გეუბნებით, მაგრამ რას და როგორ მაგინებდნენ, იმას ზრდილობიანი კაცი ვარ და ვერ გეტყვით, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ამბავის მოყოლაც ერთი ორად გამიგრძელდება.

– საიდან ხარ?

– ჯალაბაშვილებიდან, – განგებ დავუკონკრეტე პასუხი, რადგან მათთვის ცოტათი მაინც სამაგიეროს მიგება მხოლოდ ასე შემეძლო.

– მაგი სა ჯანდაბაშია?!

– ჯანდაბაში თქვენი გალია...

ლან!

– ...ქედის რაიონშია, აჭარაში, – როგორც იქნა დავამთავრე პასუხი.

– აჭარელი ხარ, ნიე? – ისე გაიკვირვეს, თითქოს წითელ წიგნში შეტანილი არსება იხილეს ჩემი სახით.

– კი.

– აჭარლებს საკუთარი ენა გაქვთ? – კოლექტიურად მკითხეს ახლა.

– არა. ჩვენ სალიტერატურო ქართულით ვლაპარაკობთ.

– დამწერლობა?

– როგორ გეტყობათ, რომ მილიციელები ხართ! ენა თუ არ გვაქვს, ცალკე დამწერლობა რა ფეხებად გვინდა?

ლუნ!

მოკლედ, ყველაფერი გამომკითხეს. განსაკუთრებით, მათემატიკის სპეციალობის სტუდენტი ვარ-მეთქი როცა ვუთხარი, მაშინ გადაირივნენ, სტუდენტი კი არა ქურდბაცაცა ხარო. დღეს ერთ გლესს ბაზარში ვილაცამ რვაასი მანეთი ამოაცალა ჯიბიდან, შენ ხომ არ იყავიო. „– რვაასი მანეთი დღეს რომელ გლესს შეიძლება ჰქონდეს ჯიბეში?“ – არ შევვპუე მეც და ერთი მუჯღუგუნი კიდევ დავიმსახურე.

ბოლოს ნაცემ-ნაგვემი გისოსებიან საკანში შემავადეს.

– ნაჩაღნიკი მოვიდა! – გავიგონე უცებ და ჩემი სამყოფელიდან დავინახე, განყოფილებაში შემოსული საოცრად ლამაზი ტან-სახის შუახნის კაცი. მას სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. როგორც შემდეგ გავიგე, მილიციის განყოფილების უფროსმა, დასვენების დღე იყო, მაგრამ გზად სხვაგან მიმავალმა, განყოფილებაში უბრალოდ, ცოტა ხნით შემოიარა.

– ვინაა? – გისოსებს მიღმა ჩემი დანახვისთანავე ჰკითხა უფროსმა შიშისგან წელში მოკუნტულ ქვეშევრდომებს.

– აჭარელი ქურდია, უფროსო და მათემატიკის სპეციალობის სტუდენტად ასაღებს თავს, – ერთხმად უპასუხეს თანამშრომლებმა და წელში კიდევ უფრო მეტად მოიკუნტნენ.

უფროსმა ცოტა ხანს რაღაც დაეჭვებით მიყურა და ბოლოს ბრძანა:

– შემომიყვანეთ კაბინეტში!

თანამშრომლები საკანში შემოცვივდნენ და რამდენადაც შეიძლებოდა მოწესრიგება დამიწყეს. მივხვდი, ეშინოდათ უფროსს არ გაეგო ჩემი ცემის ამბავი და ამით გულმოცემულმა კაბინეტთან მიყვანამდე დამატებით მოვასწარი ჩემი სიფრიფანა პერანგის ჩამოფხრენა და მასზე ორი ლილის აგლეჯა.

– რას დაგიმსგავსებიათ ბავშვი!!! – იქუხა ასაშენებელმა, როცა ასეთ მდგომარეობაში მნახა. დამფრთხალი თანამშრომლები კაბინეტის კედლებს აეკვრნენ.

– მოდი, შვილო, დაჯექი, – მოულოდნელად მომეფერასავით უფროსი და მისი მაგიდის წინ მდგარი სკამისაკენ მანიშნა.

– მართლა მათემატიკურზე სწავლობ? – მკითხა მან დაჯდომისთანავე და დადებითი პასუხი რომ მიიღო, ისევ მეკითხება:

– აბა, ლოპიტალის წესი თუ გახსოვს?

– როგორ არა, – ვუთხარი მე და ლოპიტალის წესი ჩავუბუღებულე.

– ვირებო!!! – უქუხა მან გაოცებისაგან თვალებგადმოკარკლულ თანამშრომლებს და მაგიდაზე მუშტი ისე დაჰკრა, რომ ფანჯრის მინებმა ზრიალი ატეხეს.

ახლა ისევ მე გავაგრძელებ:

აღმოჩნდა, რომ მილიციის უფროსს თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის სპეციალობა ჰქონოდა დამთავრებული. თავის სპეციალობამონატრებული მათემატიკის შესახებ დიდხანს ესაუბრა დავითს. რამოდენიმე საინტერესო მათემატიკური ამოცანაც განიხილეს გზადაგზა. ერთ-ორჯერ გულზეც კი მიმიხუტა ჩემი ნახვა-აღმოჩენით გახარებულმა უფროსმაო, ამბობდა შემდეგ დავითი.

მერე მძლოლი გამოაგზავნა მილიციის „ვილისით“ სტუდენტთა რაზმში დიდი თხოვნით, თუ შეიძლება რაზმის ხელმძღვანელი, ისიც დავითი, მენვიოსო. მომხდარი გაუგებრობის გამო ხელქვეითები კიდევ ერთხელ გაჯორა, ორივე დავითს დიდი ბოდიში მოუხადა, კარგადაც უმასპინძლა, „ვილისითვე“ გამოაცილა და სთხოვა, ერთმანეთი არ დაეკარგოთო.

უფროსი დავითი დინჯი, უალრესად განათლებული და ბრძნად მოუბარი კაცი იყო. ის გზაში ეუბნება დავით უმცროსს:

– კი, მაგრამ, რომ მიხვდი, ყოველ შენ უკულმართ ნათქვამზე ის უგვანოები გცემდნენ, ენა ვერ გააჩერე. ხომ გაგიგონია, დათვი რომ მოგერევა, ბაბაჲ უნდა დაუძახოო.

– ზაათი (მართლაც) იმდენი მირტყეს და იმდენი მაგინეს დედაზე, რომ ბაბაჲები ისედაც გამიხდნენ ის დედაგასკუჯილებიო, – ძლივს წამოიკნავლა უმცროსმა დავითმა.

ფსიქოლოგიური ეფექტი

საბჭოთა ქვეყანა ახალდანგრეულია. საქართველო ნანგრევებშია მოყოლილი.

ჩვენი სახლი ზღვის პირას დგას. მას ორივე მხრიდან ფართო ეზოები აკრავს. ეზოებში დიდიდან საღამომდე შემოდინან სხვადასხვა ჯურისანი: ზოგი – ფეხით, ზოგი – ცხენით, ზოგი – მანქანით...

შემოდინან და გაჰკვივან: ზოგი – რალაცას ითხოვს, ზოგი – რალაცას ჰყიდის, ზოგი – რალაცას ყიდულობს, ზოგი – რალაცას იბარებს.

მათგან ერთი მაინც განსაკუთრებული იყო. ის ჩვენს ეზოში ყოველდღე მოდიოდა. ყოველდღე შემოლახლახდებოდა თავისი დანჯღრეული „მოსკვიჩით“. სამუხრუჭე ხუნდების ქრიალით მანქანას დაამუხრუჭებდა, მანქანის კარს მხრის ძლიერი მირტყმით გამოაღებდა, მანქანიდან გადმოვიდოდა და ატეხავდა:

– მანონი, რძე, სმეტანა! მანონი, რძე, სმეტანა! მანონი, რძე, სმეტაააანა!

– რა გაღრიალებს ამ დილა-უთენია! – სულ უწყრებოდნენ აივნებზე ყვირილით გამოცვენილი, დაფეთებული ჩემი სახლელები.

ის კი თავისას არ იშლიდა და ყოველ დღით ისევ:

– მანონი, რძე, სმეტანა! მანონი, რძე, სმეტააანა! მანონი, რძე, სმეტააააანა!

– სმეტანა კი არა, არაჟანი უნდა თქვა, სმეტანა რუსულადაა. – დინჯად დავმოდღვრე ერთხელ.

– ვერ მასწავლი, რა და როგორ ვიყვირო! – ისე შემომიღრინა, მას შემდეგ მისგან არაფერი მიყიდა.

იენისის მზიანი დილა იყო.

ზღვიდან ეზოში დავბრუნდი თუ არა, ეს ჩემი და უკვე თქვენი ნაცნობიც „მოსკვირით“ ეზოში ტრადიციულად შემოლახლახდა. სამუხრუჭე ხუნდების ჭრიალით მანქანა გააჩერა. მხრის ძლიერი მირტყმით მანქანის კარი გამოაღო. მანქანიდან გადმოვიდა და კარებში თითმოყოლილივით აღრიალდა:

– მანონი, რძე! მანონი, რძეეეე! მანონი, რძეეეეეეეე!

ჩემს ყურებს რალაცა არ ეჩემა. ნაყვირალს აშკარად რალაცა აკლდა და როცა კიდევ:

– მანონი, რძე! მანონი, რძეეეე! მანონი, რძეეეეეეეე! – მიხვდი, რომ ეს რალაცა, ანუ ის, რაც ნაყვირალს აკლდა, სმეტანა იყო.

უცებ ცულუტობის სურვილმა დამრია ხელი. დამრია და მივედი ამ ჩემს და უკვე თქვენს ნაცნობთან და ვეუბნები:

– სმეტანა მინდა.

– აკი სმეტანა კი არა არაჟანი ჰქვიაო. – ოხტში ამოსვლა მოინდომა დამხვდურმა.

– არაჟანი არა ხვითი! მე ბავშვობიდანვე სმეტანას სმეტანას ვეძახოდი და ახლაც ასე ვეძახი. მომეცი სმეტანა! – გავეცი ბრძანებასავით.

– დღეს სმეტანა არ მაქვს, – ნყალი და სმეტანა ერთად გადამინურა მან, – რალა მაინცადამაინც დღეს მოინდომე სმეტანა. სმეტანა არა, მაგრამ კარგი რძე და მანონი მაქვს, ისინი წაიღე, თუ გინდა.

– არა, მე სმეტანა მინდა.

– დღეს არ მაქვს სმეტანა.

– ყოველთვის გქონდა სმეტანა და დღეს რატომ არ გაქვს სმეტანა?

– დღეს არ მაქვს სმეტანა.

– რა არ გაქვს?

– სმეტანა.

– სხვა დროს თუ სულ გექნება სმეტანა, გამეხარდება, – ვუთხარი.

– მეც მანყობს, სმეტანა რომ სულ მქონდეს, მაგრამ დღეს არ მაქვს სმეტანა. – მითხრა.

– სმეტანა მაინც სულ სხვაა. – ოცნებაში წასულსავით ვთქვი.

– მაინცადა მაინც დღეს არ მაქვს სმეტანა.

– მე კი რატომღაც დღეს მომინდა სმეტანა! – ვთქვი და ხელი ჩავიქნიე.

სადარბაზოში შევედი. ერთი წლის წინ სამუდამოდ გაჩერებულ ლიფტისკენ არც გამიხედავს. კიბის პირველ საფეხურზე ფეხი შევდგი თუ არა, უცებ:

– მანონი, რძე, სმეტანა! მანონი, რძე, სმეტააანა! მანონი, რძე, სმეტაააანა!

უმალ მასთან გავჩნდი:

– აკი სმეტანა არ მაქვსო.

მემანვნემ პირი დაალო, ეს რა მომივიდაო. მერე ხელები გაშალა და ფოთის ძველებურ ორთქლმავალსავით იკივლა:

– რა გამიტრ..., ბოდიში, რა გამიჭირვე საქმე მაგ შენი სმეტანით. იმდენი იძახე სმეტანა სმეტანაო, სულ ამარევინე ყველაფერი!

მიხვდა, რომ ჩემმა ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტმა გაჭრა.

მიხვდა და მერე ორივე დიდხანს ვიდექით ერთად და ორივე დიდხანს ერთად ვიცინოდით.

სხვის ცხენზე

1969 წლის სექტემბრის დასაწყისია.

მესამე – შრომითი სემესტრიდან ახალდაბრუნებული ვარ. კომკავშირული საგზურით ენგურჰესის მშენებლობაზე ვიყავი. შრომითი სემესტრის მონაწილეებს უფლება გვქონდა სასწავლო წლის დასაწყისში ერთი, თუ ორი კვირის განმავლობაში ლექციებზე არ გვევლო. მეც ამ უფლება-თავისუფლებით ვსარგებლობ და ბათუმში ოქტომბრის გამზირზე მარტო მივსეირნობ. ოქტომბრის გამზირს ახლა, მგონი, მემედ აბაშიძის ქუჩა ჰქვია. უფრო ადრე მას სტალინის ქუჩა ერქვა და ძველები მაშინაც და ახლაც ისევ ასე ვეძახით.

თურქეთის საკონსულოს წინ წიგნების მაღაზია იყო და მის გვერდით ტანსაცმლის მაღაზიაც გახსნეს. ე, იმ მაღაზიასთან კი პატივცემული ალექსანდრე დავინახე. მეტად პატივცემული ალექსანდრე მაშინ აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტიდან ინსტიტუტში პედაგოგიკის კათედრაზე იყო გადასული სამუშაოდ. მანაც დამინახა ქუჩის მეორე მხარეს მიმავალი, თვალები გაუბრწყინდა და ხელის დაქნევით თავისთან მიმიხმო.

– შემოდი. – მითხრა ყოველგვარი სელამ-ქელამის გარეშე და ტანსაცმლის მაღაზიაში შემიპატიჟა. უსიტყვოდ შევეყვი.

საკიდრიდან შარვალი ჩამოხსნა და გადმომცა.

– გაისინჯე! – მიბრძანასავით და ფარდებისაკენ საჩვენებელი თითით მიმითითა.

ჯერ უარის თქმა დავაპირე, მაგრამ ჩემი საკუთარი შარვლის შემხედვარემ, დროულად დავაჭირე ენას კბილი.

ფარდები გადავწიე და შევედი.

გავისინჯე, ანუ შარვალი ჩავიცვი. ჩავიცვი და ის ასაშენებელიც ისე გამომეწყო, თითქოს ჩემს ტანზე იყო შეკერილი. შარვალი შარვლად ხომ საუცხოო იყო, მაგრამ მთლად საუცხოოც რომ არ ყოფილიყო, კარგად ვიცოდი, ნაჩუქარ ცხენს კბილებს რომ არ უსინჯავენ.

დედა, რა გავიხარე მაშინ! დედა, რა გავიხარე!! დედა, რა გავიხარე!!!

ვფიქრობ: ამ წელს შარვლის ყიდვა აღარ დამჭირდება. შარვლის საყიდლად კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფულით სხვა რამეს, თუ სხვა რამეებს ვიყიდი, საქმეს წინ წავიგებ და ა. შ და ა. შ.

იმაზეც ვფიქრობ: მაინც რა არიან ეს პედაგოგიკის სპეციალისტები. სტუდენტებთან სხვის ჰუმანურ იდეებს ქადაგებენ და ამ დროს თვითონაც უდიდესი ჰუმანისტები ხდებიან...

ყელში სასიამოვნო ბურთი გამეჩრა, ისეთი, სიხარულის ცრემლებით ატირების წინ რომ იცის ხოლმე. ახლა იმაზე ვფიქრობ, ჩემი ძველმანი გაზეთში შევახვიო და ახალი შარვლით გავიდე ქუჩაში, თუ – პირიქით.

– გამოდი! – ფიქრებიდან გამომიყვანა ახალმა ბრძანებამ.

გავედი.

იქით-აქეთ, თუ აქეთ-იქით დამატრიალა და მუშტრის თვალებით სინჯვა დამიწყო პატივცემულმა ალექსანდრემ.

– გოგოებო, კარგია? – ჰკითხა გამყიდველ გოგოებს, რომლებიც ჩვენი შესვლისთანავე ისედაც გაფაციცებით გვადევნებდნენ თვალს.

კარგიაო, ყველა გამყიდველმა გოგომ ერთხმად.

– მოგნონს? – მომიბრუნდა ახლა მე.

მოგნონსო?

მომდგარი ცრემლები რომ არ შეემჩნიათ და არ შევრცხვენილიყავი, თავი ნორმაზე მეტად დავხარე. ერთხანს ისიც გავიფიქრე, ამ საკუთარ მშობელსავით კაცს, გულზე ხომ არ მივეხუტო-მეთქი, მაგრამ ამჯერადაც თავი შევიკავე.

– შვილი მყავს, თბილისში სწავლობს, – მიმართა ისევ გამყიდველ გოგოებს პატვცემულმა ალექსანდრემ, – ამას წინათაც ვუყიდე და გავუგზავნე შარვალი. მომწერა, მამა, ეს რა გოიმური რამე გამომიგზავნეო. ამ ბიჭის ტანისაა, – თითი მატაკა მუცელში ალექსანდრემ, – ახლა ამ შარვალსაც გავუგზავნი და ვნახოთ.

სხვის ცხენზე ხომ სხვის ცხენზეა, მაგრამ „ღარიბი და ქილა ერბოც“ გადასარევი იგავ-არაკია!

ჭადი

ვუძღვნი ს. ბ.-ს

სხვა ქვეყნებში სიმინდი ამერიკის კონტინენტიდან კოლუმბის შემდეგ (XV ს.) გავრცელდა. ამის მერე ჭადი და აჭარელი – ერთმანეთისაგან განუყრელები გახდნენ. როცა რომელიმე სიტყვა დაავიწყდებათ, იტყვიან: ამაზეა ნათქვამი, აჭარელს ჭადის სახელი დაავიწყდაო. ის კი არა – ჭადი საფიცრადაც გაიხადა აჭარელმა. როცა ვისიმე დარწმუნება უნდა თავის სიმართლეში, ასე მიმართავს მას: ჭადის გამჩენმა – სიმართლეს გეუბნებიო.

მჭადსაც ჭადს მხოლოდ აჭარლები და იმერლები ვეძახით. გურულები კი ზოგი მჭადს ამბობს და ზოგი ჭადს.

ჭადი სხვადასხვაგვარია.

კვერი ყველას გაგიგონიათ. ის პატარა, ბრტყელი და მრგვალი ჭადია, რომელსაც ბუხარში, ნაცარსა და ნაკვერცხალში (ნალვერდალში) აცხობენ (ობლის კუთვნილი ყველაზე გვიან ცხვება ხოლმე!). სამაგიეროდ ფიდე ბევრს არც გექნებათ გაგონილი (აქ ლაპარაკი არაა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციაზე!). ფიდე მომცრო ზომის ბრტყელი ჭადია, რომელსაც ლითონის გახურებულ ზედაპირზე (ტაფა, „სკოვოროდა“, თუნუქის ღუმელი და სხვ.) სახელდახელოდ აცხობდნენ.

არსებობს ჭადის სხვა სახეობებიც, მაგრამ ახლა კეცის ჭადზე მინდა გიამბოთ. ისეთზე კი არა, ახლა რომ აცხობენ ზოგიერთ ოჯახსა თუ რესტორნებში, არამედ ჩემს ბავშვობისდროინდელზე.

კეცში ჭადის გამოსაცხობად ჭადს აკრავდნენ (ჭადის დაკრა). მანამდე კი კეცს ნააყუდებდნენ, ანუ კეცს დაამხოებდნენ ოჯალში (ბუხარში) გაჩაღებულ ცეცხლზე. ცეცხლი წიფლის ან ცხემლის (რცხილის) უნდა ყოფილიყო. გვერდით, საჯივალზე (ლითონის სამფეხა) შემოდგმულ ან ზენჯირზე (ჯაჭვზე) ჩამოკოდებულ გუგუმში (თუნგი) ცომის მოსაზელად წყალს წინასწარ აცხებდნენ. ცომში მარილსაც უმატებდნენ. მარილიან ჭადს, სხვებისაგან განსხვავებით, მხოლოდ აჭარაში აცხობდნენ. როცა კეცი გავარვარდებოდა, მამის და ჩენგელის (ბოლოში მოკაუჭებული რკინის სწორი ღერო) დახმარებით კეცს კერაზე შემოდგამდნენ. კერები თლილი ქვებია და ოჯალში ცეცხლი მათ შორის ინთება. კეცში ცომის ჩაკვრის წინ კეცის ნერჩზე (ფსკერზე) ხშირად ჟვერსაც (ფოთლები) ფენდნენ. ეს ჟვერი ძირითადად წყავის ან შკერის (შქერი) იყო. ის ხელს უშლიდა ჭადის ძირის ზომზე მეტად დაწვას და განსაკუთრებულ სურნელს აძლევდა ჭადს.

კეცში ცომის ჩაკვრის შემდეგ ცომის ზედაპირზე გაშლილი ხელისგულით ჯვარს სვამედნენ. რატომ იქცეოდნენ ასე მუსლიმანი აჭარელი ქალები (ნენეა, ანაა, დიდნენეა, გელინი, დაა...), მაგი ერთ ბალანასაც უკვირს ზურაბ გორგილაძის ლექსში:

„ნიფლის ცეცხლი ბარბალებს,
და კვარცხალებს კარდალი,
– ნენი – ბიჭი კითხულობს –
მჭადზე ჯვარი რად არი?“

კეცს ახურავდნენ საჯს (თუნუქის თხელ ფირფიტას) და მასზე ასტამით აყრიდნენ ლიოროს (ნალვერდალს). 40-50 წუთში მჭადი ცხვებოდა და კეცსაც გადარეკავდნენ.

ახლა ფრიდონს, ფრიდონ ხალვაშს მოვუსმინოთ:

„მიყვარს ბუხრის ახლო
ძველი ტაბლა ჯამით,
ჯამში ფხალლობიო,
რომ ვერ ძლები ჭამით.
ვებერთელა მჭადი,
ზაფხულივით ცხელი,
ზედ რომ ჯვარი ჩანდა
დედაჩემის ხელის“.

მიიტანდა სუფრაზე ლეჩაქიანი ნენე ცხელ, თვარესავით (მთვარე) თეთრ ჭადს, დატეხავდა და შეჭამანდს შემოუწყობდა ირგვლივ. შვილები ყვივლხივით მიესეოდნენ სუფრას. შვილებს კი ტრადიციულად მრავალს უზრდიდა მამულს აჭარელი ნენე. უცქერდა დედა მათ და გული სიხარულით ჰქონდა საესე. თვითონ კი, თვითონ... შვილების დანაყრების შემდეგ მიუჯდებოდა ჯამს.

რატომ შემდეგ?

ჩვენ შვიდი დედამამიშვილი გაგვზარდეს მშობლებმა. სიტყვას სანდრო ბერიძეს გადავცემ, რადგან ისინიც შვიდნი ყოფილან:

„შვიდი და და ძმა, ქუდბედად,
სადილად ვსხედვართ ჯამთან ...
მე რა ვიცოდი, თუ დედა,
სულ ბოლოს რატომ ჭამდა...“

რატომ ბოლოს?

კარგ მთქმელს, კარგი გამგები უნდა!

ორ ცეცხლს შუა

1. მურად ადრიანიძე

კომუნისტურ წყობილებას წყალი ჰქონდა შეყენებული.

კომუნისტებს წყალს ვერავინ შეუყენებდა. თვითონ მოსკოველმა კომუნისტმა ბოსებმა შეიყენეს ის. შეიყენეს, რათა ეს წყალი უზარმაზარ ზღვად დაგროვილიყო. ეს ზღვა ტაშ-ფანდურს აყოლილ ბრბოზე უნდა მიეშვათ, ბრბო რომ წალეკილიყო.

რატომ?

იმიტომ, რომ არამი გზით დაგროვილი ქონება, მილიონები და მილიარდები დაეკანონებინათ თავიანთთვის. დაეკანონებინათ და მერე ეპარპაშათ და ეგრიალათ ევროპასა და ამერიკაში.

დაგეშილმა ბოსებმა ყველაზე ადრე იყნოსეს, რომ ბრბო უკვე საბოლოოდ ჩახვდა ადრე სიმღერად ქცეულის შინაარსს:

„ნაგართვეს, გლეხო, მამული,
ჩაგაგდეს განსაცდელშია,
შენ კი უნიფხვოდ დარბიხარ
წითელი დროშით ხელშია.
რა დროშა მოგცა ლენინმა,
წითელი, გრძელტარიანი...“

კი. ბოლოს მიხვდა გლეხი, რაც დამართეს. მიხვდა და ჯანყის ხასიათზეც დადგა.

სიტუაცია უმართავი ხდებოდა.

ტრიბუნაზე თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული ერთ-ერთი მთავარი დისიდენტი იდგა. მას თბილისელი საძმოს წევრები ედგნენ გვერდით. ედგნენ და ზემოდან არწივებივით გადმოჰყურებდნენ მომიტინგეებით გადაჭედებულ ლენინის მოედანს.

ამ მომიტინგეებში იდგა მურად ადრიანიძეც. ზღვა ხალხში ჩაჭედული, ძალიან დიდი გაჭირვებით, მილიმეტრ-მილიმეტრობით, მაგრამ მაინც ჯიქურ მიინევდა ტრიბუნისაკენ.

მიტინგის ორგანიზატორებს ტრიბუნაზე ადგილობრივი მხარდამჭერებიც სჭირდებოდათ.

– სად არის ჩემი მთიელი ძმა, უსუპი?! – დიქტოფონს ხმამაღლა ჩაეკითხა მთავარი ლიდერი.

– აქ ვარ! – წამოიკნავლა მოედნის შუაში ჩაჭედებულმა ერთმა ყველასათვის უცნობმა ახალგაზრდამ.

ბრბო რალაც უხილავმა ძალამ ორად გააპო. გააპო და ამ ნაპოში უსუპმა ისე ლალად და თავისუფლად გაიარა, როგორც ერთ დროს მოსემ მენამული – ზღვა.

მურადმა ცის გახსნა ხელიდან არ გაუშვა და უსუპს მიჰყვა კვალდაკვალ.

მაღე ორივენი ტრიბუნაზე აღმოჩნდნენ. უსუპი ლიდერმა ფართო მკერდზე ძმასავით მიიხუტა, თბილად მოიკითხა და გვერდით დაიყენა.

მურადი?

მურადისათვის ფიანდაზი არავის დაუფენია. ის კი არა, დამხვდურებმა მას ცოტა ამრეზითაც შეხედეს, ეს არამკითხე მოამბე აქ საიდან მოეხეტა და რა უნდაო.

ცოტა ხანში ტრიბუნაზე უკვე მიტინგის ლიდერების შუაში იდგა მედგარი მურადი.

– სიტყვას გადავცემ მურად ადრიანიძეს! – თვით ლიდერებისათვის მოულოდნელად გამოაცხადა მიტინგის წამყვანმა.

– ამხანაგებო! – წამოიღწავლა დიქტოფონმიცემულმა და გულმოცემულმა მურადმა, – არა, არა, ბოდიშით... ბატონებო და ქალბატონებო! მე კომუნისტი ვარ.

– ვაა! – ამოიხრიალა ლენინის მოედანმა.

– დიას, კომუნისტი ვარ, – არ შეჩერებულა მურადი, თქვა და პიჯაკის შიდა ჯიბიდან კომუნისტის წითელი მანდატი ამოიღო. ამოიღო და შორენას სანმერთულივით საქვეყნოდ ააფრიალა. ააფრიალა და გააგრძელა:

– პროპაგანდამ დამაბრმავა. კომუნისტი გავხდი. შეუგნებლად შევუერთდი იმ შაითნების ბანდას. დღეს კი თვალეები ამეხილა. არ მსურს კომუნისტობა. არ მსურს და აი... – მურადმა ჯიბიდან საბანტებელა ამოიღო, ანთო და ყველას რომ ეგონა სიგარეტს უნდა მოუკიდოსო, მან ცეცხლი წითელ მანდატს მოუკიდა.

ნითელ მანდატს კიდევ უფრო ნითელი ცეცხლის ალი მოედო.

მომიტინგეთაგან ბევრს გმინვა აღმოხდა.

ტრიბუნაზე ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი დისიდენტი კი უხმოდ შესცქეროდა ნაკომუნისტარს. შესცქეროდა და იქედნურად ელიმებოდა. ჭკვიანი კაცი გრძნობდა, რომ მის წინ ავანტურისტი ნაძირალა იდგა. ნაძირალა, რომელზეც ნდობა არაფრით შეიძლება. მის წინ იდგა ნამდვილი კომუნისტი კი არა, კომუნისტი ბოსი კი არა, კომუნისტი – ბოზი!

ამ ნაძირალა ბოზს კი, უგემოვნებოდ შერჩეული ფერების ტანსაცმელზე ჭრელი ჰალსტუხი, როგორც ჩამომხრჩვალს ყელზე ყულფი, ისე ჰქონდა გამონასკვული.

იდგა ნაძირალა. იდგა ნაძირალა და ჩინსა და ტემლაკებს ელოდა.

– ვაი, შენს პატრონს, უბედურს, – თქვა თუ გაიფიქრა მიტინგზე მდგომმა ზორბეგ ბაშიტაძემ, როცა დაინახა, როგორ გაუკიდა ცეცხლი კომუნისტის მანდატს მურად ადრიანიძემ.

წუხდა ზორბეგი. წუხდა, რადგან მურად ადრიანიძე მისიანი იყო.

2. წუსრედინ ალაჰაძე

– ვაი, შენს პატრონს, უბედურს, – თქვა თუ გაიფიქრა მიტინგზე მდგომმა ზორბეგ ბაშიტაძემ, როცა დაინახა, როგორ გაუკიდა ცეცხლი კომუნისტის მანდატს მურად ადრიანიძემ.

წუხდა ზორბეგი. წუხდა, რადგან მურად ადრიანიძე მისიანი იყო.

მისიანი იყო წუსრედინ ალაჰაძეც.

წუსრედინ ალაჰაძე სტალინის ეპოქის დასასრულს დაიბადა. სოფლებში მაშინ ხეხილის ბალები ბევრი იყო, მაგრამ საბავშვო ბალები არ იყო, ამიტომ სკოლამდე ჩვენი წუსრედინი ოჯახში იზრდებოდა. ბაბუა და ბებია მორწმუნე მუსლიმანები ჰყავდა. ბაბუა ხოჯისგან დალოცვილ თეთრ წვერს ატარებდა. ყოველდღე ხუთ ნამაზს ასრულებდა. კვირაში ერთხელ, პარასკევს, ანუ ჯუმადღეს თეთრ ჩაბალახს ანუ ბაშლულს თავზე მოიხვევდა, სხვა მლოცველებთან ერთად ავტობუსში ჩაჯდებოდა და სალოცავად ქალაქში, მთავარ ჯამეში მიდიოდა.

პატარა წუსრედინი, რომელსაც ბაბუა ძალიან უყვარდა, ფიქრობდა, როცა გავიზრდები, წვერს მოვუშვებ, მოშვებულ წვერს ხოჯას დავალოცვინებ, დღეში ხუთჯერ ვილოცებ და პარასკევობით ბაბუასავით მთავარ ჯამეშიც ვივლიო.

წუსრედინის მამა სოფლის კოლმეურნეობის კანტორაში მუშაობდა. ის კომუნისტი იყო. კომუნისტებს ღმერთი არ უნდა სწამებოდათ, მაგრამ წუსრედინს ხანდახან ესმოდა, გაჭირვების ჟამს მამაც ჩუმად რომ ჩაიკითხავდა დუას.

ჯერ პატარა იყო წუსრედინი, უცოდველ ანუ სებ ბაღანას ეძახოდნენ. ბებიას თქმით პატარას მხოლოდ ბისმილლას თქმა ევალეობდა. ბებია უხსნიდა, რომ ბისმილლა ღმერთის ხსენებაა, მორწმუნის ნებისმიერი ქმედებისას ღმერთისაგან ნებართვის მოთხოვნაა. ბისმილლას თქმა განსაკუთრებით ძილის წინაა აუცილებელიო.

– შეითნების უფროსმა, იბლისმა, – უყვებოდა ხშირად ბებია პატარას, – ორ შეითანს დაავალა, ღამით ორი მძინარე ძმისათვის გულელები ამოერთმიათ. დილით იბლისს მხოლოდ ერთმა შეითანმა მიუტანა უფროს ძმამზე ამორთმეული სისხლიანი გული. მეორე შეითანი კი ხელცარიელი დაბრუნდა. უფროს ძმას ძილის წინ ბისმილლას თქმა დაეინყებოდა. უმცროს ძმას კი შეითანი ვერაფრით მიუახლოვდა, რადგან მას ბისმილლა ნათქვამი ჰქონდა და ძილის დროს პატარას ანგელოზები, მელაიქები იცავდნენ, – დაასრულებდა თხრობას ბებია.

კიდევ განსაკუთრებით აუცილებელია ბისმილლას თქმა, როცა ეზოდან გასული სადმე ველზე მოფსამ. იქ შეიძლება ძველი საფლავები იყოს, ამიტომ ბისმილლას გარეშე თვალნაგკრავს, უყმური აგეკიდებაო.

ნუსრედინი გულმოდგინედ ასრულებდა ბებიის დარიგებას. ბისმილლანათქვამი, უდარდელი პატარა ნუსრედინი მთელი ღამე ფერდ-ფერად სიზმრებში დაცურავდა, ფრთებიანი მელაიქები ესიზმრებოდა და ისე იზრდებოდა.

სოფლის სკოლაში სასწავლებლად მისულ ნუსრედინს პირველსავე დღეს მასწავლებელმა სახელი შეუცვალა და ნუსრედინის ნაცვლად ქართული სახელი, ედვარდი დაარქვა. შემდეგ მკერდზე, გულთან ახლოს, მოსწავლის ფორმაზე ქინძისთავიანი წითელი ვარსკვლავი მიაბნია. გილოცავ, შენ ახლა ოქტომბრელი ხარო. ნუსრედინი კი არც ოქტომბრელი იყო და არც მერისელი. ისე, უფრო სერიოზულად, ნუსრედინი სანამ საქმეში გაერკვეოდა, თავიდან მართლა უკვირდა, სულ სხვა სოფლელი ასე უცებ ოქტომბრელი როგორ გავხდითო.

მერე და მერე გაკვეთილებზე დამოძღვრა დაუწყეს, იცოდეთ, ღმერთი არ არსებობს. ეს ძია ლენინმა გვიანდერძაო. ძია ლენინის ბავშვობის სურათი ნუსრედინის მკერდზე ოქტომბრელის ნიშნის ვარსკვლავში იყო ჩახატული და მართლა უღმერთოდ ღამაში ბიჭუნა ჩანდა.

ნუსრედინს სახლში სჯეროდა, რომ ღმერთი არსებობდა.

ნუსრედინს სკოლაში სჯეროდა, რომ ღმერთი არსებობდა.

ნუსრედინს სახლში ხანდახან ეჭვი შეეპარებოდა, ვაი, თუ ღმერთი არ არსებობსო და ამის გაფიქრებისთანავე საზარელი შიში შეიპყრობდა, ეს რამ მაფიქრებინაო.

ნუსრედინს ანუ იგივე ედვარდს სკოლაში ხანდახან ეჭვი შეეპარებოდა, ვაი, თუ ღმერთი არსებობსო და ამის გაფიქრებისთანავე საზარელი შიში შეიპყრობდა, ეს რამ მაფიქრებინაო.

იზრდებოდა ჩვენი ნუსრედინ ალაჰადე და ოქტომბრელობისა არ იყოს, გზადაგზა, მისი სურვილის უკითხავად, ჯერ გააპიონერეს და შემდეგ გააკომკავშირლეს.

სამსახურში რომ დანიინაურებულყო, კომუნისტურ პარტიაში შესვლა თვითონ მოინდომა. მოინდომა და მიიღო კიდევ კომუნისტის წითელი მანდატი. მიიღო, მაგრამ ამისათვის ძალიან ბევრი ჩალიჩი და მარიფათი დასჭირდა. აბა, ისე პარტიაში ცხვირს არავინ შეაყოფინებდა.

ერთხელ, ქალაქში სალოცავად წასული, უკვე საკმაოდ ხანდაზმული ბაბუა, სახლში ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. დაბრუნდა ისეთი სახეშეცვლილი, რომ სახლეულობამ კინაღამ ვერ იცნო ის. ბაბუას თავზე ყაბალახის ნაცვლად შებრუნებული შაფხა (шапка) ეხურა, წვერულვაში სუფთად ჰქონდა გაპარსული. საცოდავს სანახევროდ დაშრეტილი თვალებიდან ცრემლები მოუგორავდა მარხვისაგან დაწმენდილ ლოყებზე.

– გზაში ავტობუსს რაიკომის მდივანმა კომკავშირლები და პარტიის აქტივი დაახვედრა. ბერიკაცები ავტობუსიდან ძალით ჩამოგვათრიეს, ჩვენი თავსაბურები ცეცხლს მისცეს, ჩვენ კი მოკვლის მუქარით გვაიძულეს ხოჯისგან დალოცვილი წვერის გაპარსვა. – ჩაიტირ-ჩაიკვნესა უკვე ჯანგატეხილმა ბაბუამ.

ამის გაგონებაზე ახალგაზრდა ნუსრედინი წამოენთო. რაიკომის მდივანზე ერთი ისიც გაიფიქრა, შუაზე გავხლიჩავ მაგ დედაგალღეტილსო, მაგრამ თავი დროზე შეიკავა. თავი შეიკავა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ პარტიული არ იყო და პარტიაში შესვლა უნდოდა.

ამ ამბის შემდეგ ბაბუა სახლიდან გარეთ არ გასულა. სახალხოდ შეურაცხყოფილს ხალხში გამოჩენა არ უნდოდა. სულ სახლში იჯდა, ღრმა ფიქრებში წასული იშვიათად ამოიღებდა ხმას. ასე დარდში სულ დაილია და მალე გარდაიცვალა კიდევ.

მერე კომუნისტურ წყობილებას წყალი შეუდგა.

ადრე ვთქვი, რომ კომუნისტებს წყალს ვერავინ შეუყენებდა. თვითონ მოსკოველმა კომუნისტმა ბოსებმა შეიყენეს ის. ახლა ასე აწყობდათ და იმიტომ.

სამუსლიმანო საქართველოში ახალმა სიომ დაჰბერა.

მუსლიმანების ქრისტიანული მონათვლა მოდად იქცა.

მოდად იქცა, მოდად, მაგარ მოდად!

ინათლებოდნენ და ნათლავდნენ ყველას ყოველგვარი მომზადება-შემზადების გარეშე. ნათლავდნენ ისე, როგორც მამა მაილი ნათლავდა პინგვინებს ანატოლ ფრანსის „პინგვინთა კუნძულში“. ბევრი ისე ინათლებოდა, ლოცვა არ იცოდა და ყოველკვირეული თუ დიდი ქრისტიანული მარხვებიც ფეხებზე ეკიდა. ადვილად შესასრულებელი პირჯვარის გადანერა კი, გაგიხარიათ. პირჯვარს სხვების დასანახად წამდაუნუმ ინერდნენ და თანაც ზომაზე გაცილებით დიდი ამპლიტუდით.

აქაც არავის ჩამორჩა ჩვენი ნუსრედინ-ედვარდი.

ყოფილი ცეკას მდივანი ედუარდი ქრისტიანულად რომ მოინათლა და გიორგი გახდა, ნუსრომ იფიქრა, დიდი სარგებელი უნდა იყოს ქრისტიანულად მონათლაშიო. ყველას დაასწრო და აჯობა. ორჯერ მოინათლა. ჯერ საკუთარ ქალაქში, ახლად გახსნილ ქრისტიანულ ტაძარში და შემდეგ თბილისში, სიონში.

მოინათლა ისე, რომ ჯვარსა და ბარის ტარს ვერ ასხვავებდა ერთმანეთისაგან.

სიმართლე რომ ვთქვათ, ადრე, ყურანის ნაკითხვის მცდელობის დროსაც ვერ ასხვავებდა ერთმანეთისაგან ალიფს და მერთეგს.

უკვე ოხროხინედ ქცეული ჩვენი ნუსრედინი ფიქრობდა, რამხელა დააკლდა ჩემი მონათვლით მუსლიმანურ სამყაროს და როგორ ზეიმობს ჩემი შემატებით ქრისტიანული სამყაროო.

სიონში კი მონათვლისას განუწულ ნუსრედინ-ოხროხინეს იქედნური ღიმილით შესცქეროდა მღვდელი. ხვდებოდა ეს ჭკვიანი კაცი, რომ თუ საქმეს დასჭირდებოდა, ახალგამომცხვარი ოხროხინე უყოყმანოდ იელოველიც გახდებოდა და ბუდისტიც.

– ვაი, შენს პატრონს, უბედურს, – თქვა თუ გაიფიქრა ნუსროს ნათლობაზე სიონში მისულმა ზორბეგ ბაშიტაძემ, ახალნათლულმა პირჯვარი უკულმა რომ დაატრიალა.

ნუხდა ზორბეგი. ნუხდა, რადგან ნუსრედინ ალაჰადე მისიანი იყო.

უფროსი ბაბუა

ანექდოტით მინდა დავიწყო:

გაგანია სოციალიზმის დროს ერთს ჰკითხეს: თურქეთთან საზღვარი რომ გაიხსნას, რას იზამო და – ხეზე მოვასწრებ ასვლასო. რატომო? თურქეთისაკენ სირბილით მიმავალმა ხალხის ჯგრომ რომ არ გადამთელოსო.

აჭარლებს მაშინ თურქეთისკენ ყურებას გვწამებდნენ თუ გვაყვედრიდნენ. და ისე, კაცმა რომ თქვას, არ გქონდა საყურებელი თუ რა? პირადად ჩემი ორივე ბაბუა იქ განისვენებს და იმ ბრალდებით დაშინებულმა თუ სხვა მიზეზით, მათი საფლავები დღემდე ვერ მოვინახულე, როცა საზღვარი ოცდაათი წელია გახსნილია და საბჭოთა სისტემამაც ჩვენი ჭირი წაიღო, და ვინც რალაცებს გვწამებდა, იმ ჯგროში იყო, კინალამ რომ გადამთელეს!

რასაც ახლა მოგიყვებით, არც იმის მომსწრე ვარ და დანვრილებით არც არავის მოუყოლია ჩემთვის. ესაა, რაც გზადაგზა მესმოდა უფროსებისაგან ფრაგმენტებად და რაც ახლა აიკინდა ჩემს მესხიერებაში. მესხიერებას არ ვუჩივი, თუმცა მონათხრობში, შეიძლება, რალაც უზუსტობებიც

იყოს, მაგრამ მისი გადამონმება ახლა არც ღირს და ვერც შევძლებ, რადგან უფროსი თაობიდან თითქმის აღარავინ დამრჩა.

მოგეხსენებათ, აჭარაში მუჰაჯირობის ორი დიდი ტალღა იყო. ამან ყველაზე მეტად მაჭახლის ხეობის მოსახლეობა ჩაითრია. ამ ხეობაშია ჩემი სოფელი ჭანივრიც. ჭანივრში ორივე მუჰაჯირობის დროს თითქმის არავინ დარჩენილა, მაგრამ შემდგომში ცნობილი ამბების გამო (იქ შეპირებული სამოთხე, ჯენნეთი, არ დახვდათ) ზოგი უკან დაბრუნებულა, ზოგი მეზობელი სოფლებიდანაც დასახლებულა და სოფელიც შედგა (აღორძინების რა მოგახსენოთ). ამიტომაც აქ გვარების მრავალფერვნება: შაშიკაძე აქ 10-12 ოჯახია, ლომინაძე – 4 ოჯახი, ვასაძე და ავალიძე – თითო (?). ესაა ადგილობრივები. დანარჩენი – შემოსახლებული გვარების ოჯახები კი დღესაც, ძირითადად, თითო-ოროლაა: ფუტყარაძე და გვიანიძე (საფუტყრეთიდან და ჩხუტუნეთიდან), ჭანიძე – ერგედან, ბერიძე – აჭარისწყლიდან, დუმბაძე, ირემაძე და ნინიძე – მახუნცეთის თემიდან, სულ 30-35 ოჯახი.

მეორე მუჰაჯირობაზე მოგახსენებთ.

მამაჩემის ბაბუა ახმედიც სხვების ფეხის ხმას აპყოლია და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახით თურქეთში გადასახლებულა. ადგილი, სადაც ბინა დაუდვიათ, ჭაობიანი ზღვის სანაპირო ყოფილა. სიზმარით მახსოვს ბავშვობაში ღრმად მოხუცი ოსმან მსხალაძის ნათქვამი: ბეგი აბაშიძეები (სანჯაყ-ბეგები) ყოველ ღონეს ხმარობდნენ მუჰაჯირების ტალღის შესაჩერებლად, მაგრამ ბევრს მაინც რომ ვერაფერს გახდნენ, მათთან ერთად თურქეთში წასულა გენერალი ასლან აბაშიძეც. სარგებლობდა რა დიდი ავტორიტეტით თურქ მოხელეებთან, ის ცდილობდა, ლტოლვილები კარგად გილებზე მაინც დაესახლებინა.

ჭაობი მალარიის ბუდეა და ციებ-ცხელებას (ცხროს) იწვევს. მას ვერც ჩვენები გადაურჩნენ. ჯერ ოჯახის უფროსი, ახმედი დაავადდა და თვეზე მეტხანს სიცხით გათანგული ებრძოდა სიკვდილს. ამ დროის განმავლობაში ოჯახში ტრაგედია დატრიალდა: იმავე დაავადებით გარდაიცვალა ახმედის უფროსი ვაჟი, 26 წლის სულეიმანი, ჩემი ბაბუა. გარდაიცვალა მისი და ხატიჯე.

ახმედმა საბოლოოდ სძლია საშინელ სენს, მაგრამ ავადმყოფობას უკვალოდ არ ჩაუვლია – ახმედმა გარკვეული დროით მეხსიერება დაკარგა და როცა ეზოსთან ახლოს ორ ახალ საფლავს ხედავდა, კითხულობდა – ვისიაო და კარგახანს აზრადაც არ მოსვლია, ეკითხა გარდაცვლილი ორი შვილის შესახებ.

ახალგაზრდა ბაბუას კიდევ უფრო ახალგაზრდა, 16-17 წლის მეუღლე, სულთან ქონდარიძე დარჩა ამქვეყნად ახალშობილ ვაჟთან ერთად. მამაჩემი მაშინ სულ ექვსიოდე თვის იყო. ბევრი ტანჯვა-წამების შემდეგ გაუხარელი ოჯახი ისევ ჭანივრში დაბრუნებულა (ახმედს კიდევ ჰყავდა სამი გოგო და ერთი ვაჟი), იმ დაწყვეტილ ადგილს გამოირიდებია.

ის „დაწყვეტილი ადგილი“ სად იყო, დღეს არავინ ვიცით. მასთან ერთად ჩვენთვის დაიკარგა ჩვენი ბაბუას საფლავიც.

დრო ყველაფრის მკურნალიაო. ამას დაემატა მშობლიურ გარემოში დაბრუნება და ის, რომ უფროსი შვილის დაკარგვით შეჭირვებულ დიდ ოჯახს მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. დიდი ბაბუაც საბოლოოდ განიკურნა და შემდეგ დიდხანს იცოცხლა მის მეუღლესთან, გულფიდან ნაგერვადესთან ერთად. ის, მისი პირველი შვილიშვილის, ბავშვობიდან ობლად დარჩენილი მამაჩემის დაცოლშვილებსაც მოესწრო და ჩემს დაბადებამდე ცოტათი ადრე გარდაიცვალა.

ჰო, ოჯახი ჭანივრში დაბრუნდა-მეთქი.

მაშინ მეტად არეული დროება იყო არც თუ ისე დიდი ხნის წინ რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბებულ ბათუმის ოლქში. ბევრ სხვა სიავესთან ერთად იმატა ძარცვა-გლეჯამ და ყაჩაღობამ. ერთხელ გამთენიისას ახმედის ფანჯარასაც მიუკაკუნეს ყაჩაღებმა და კარის გაღება მოითხოვეს.

– რომელი ხარ? – შეეკითხა სახლის პატრონი.

– მე ვარ! – უპასუხა ერთ-ერთმა გარედან.

– ვინ შენ?

– მე ვარ, მე! – უკვე მუქარა გაისმა პასუხშიც. უფროსი თანასოფლელებიდან ბევრჯერ მომისმენია, რომ ახმედმა გადატენილი „მაჭახელას“ ლულა გაყო ფანჯრის დარაბაში (ისინი ამბობდნენ: ტუტულას გააყოფია თავიო), თავდამსხმელი მიზანში ამოიღო და დინჯად უთხრა:

– ეიდა ოდ-დურ, შენ თუ შენ ხარ, მეც მე ვარ!

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ახმედის ბოლო გამონათქვამი შემდეგ ფრთიან გამონათქვამად იქცა და სოფელში დღესაც გაიგონებთ.

ამ გამონათქვამის გარდა მისგან სახსოვრად დაგვრჩა ოქროსფერად მოსავადებულის ის „მაჭახელა“. თოფ „მაჭახელას“ ჩვენს ხეობაში კი ამზადებდნენ, მაგრამ დღემდე სულ მხოლოდ თითო-ორ-ოლაა შემორჩენილი. რამდენიმე წლის წინ ის ჩვენი ოჯახიდანაც გაქრა, ერთმა „სახლიკაცმა“ მალულად გაგვიყიდა მიზეზულ თანხად, არ იცოდა რა მისი ნამდვილი ფასი. რამდენი ვეფერე, რამდენი ვეხვეწე, რამდენი ვემუქრე, ვერაფრით ვათქმევინე, ვის მიჰყიდა ჩალის ფასად ეს მართლაც რელიქვია, უკან რომ გამომესყიდა. წასულ ადამიანზე ცუდს არ იტყვიან და მეც სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ ამ მართლა სახლიკაცის სახლკაცობა ბრჭყალებში ჩამესვა.

კიდევ რა დაგვიტოვა დიდმა ბაბუამ ჯიშისა და ჯილაგის გარდა? კიდევ დაგვიტოვა ერთი სევდიანი ამბავი და მეც ამ ამბავით დავასრულებ.

ნაადრევად დაქვრივებული რძლის სახლში გაჩერება, მაშინ საშაირო ამბავი იყო. ეს ერთი საუკუნის წინანდელი ამბავია და იმ დროს ბევრი ადათ-წესიც ჩვენში დღევანდელისაგან განსხვავდებოდა. ბებიასაც გამოუჩნდა ახალი „მუშტარი“, მასავით დაქვრივებული, მრავალშვილიანი და ასაკით საკმაოდ უფროსი უზეირ-ალა მსხალაძის სახით. დიდი ბაბუა წინ ვერ აღუდგა ტრადიციებს და ქონდარიძეთა სამართლიან მოთხოვნას, რომ ახალგაზრდა ქალს საიმედო პატრონი სჭირდებოდა. ახალგაზრდა მულებიც უწყობდნენ ხელს ამ ამბავს და ამბობდნენ, რომ ობოლი მამაჩემი მათთან, როგორც უმცროსი ძმა, ისე გაიზრდებოდა. ახალი ოჯახი მეზობელ სოფელ ქედქედში იყო და ჩვენს სოფელებს მხოლოდ პატარა მდინარე, დევოურა ჰყოფს. ახალი ოჯახიდან ჩვენთან ფეხით მოსვლას ოციოდე წუთი სჭირდებოდა და თანაც ეს ოჯახი ჩვენი ბაღჩის ერთი ნაწილიდან, რომელსაც ქედს ვეძახით, ხელისგულივით მოსჩანს.

დიდმა ბაბუამ ანდერძად დაიბარა, რომ მოვკვდები ქედზე დამასაფლავეთ, იქედან მის ეზოში გამოსულ ჩემს საყვარელ რძალს რომ ვხედავდეთ.

ანდერძს წინ ვერავინ დაუდგებოდა.

იაკობ ცრუბაგვლი

სკოლა-ინტერნატში ვსწავლობ.

გვიანი გაზაფხულის ცხელი დღეა. ქიმიის გაკვეთილი გვაქვს.

შუა გაკვეთილია.

ამ დროს კარებზე აკაკუნებს, კარს ალებს და გაკვეთილზე დასწრებას ითხოვს ჩვენი თანაკლასელი ჩემი სეხნია, მეტსახელად წუნა. ეტყობა, ბევრი უთამაშ-ურბენია. ერთიანად ოფლშია განუწული. გადმოჩეჩილი პერანგი მხოლოდ ერთ ღილაკზე აქვს შებნეული.

წუნა გამორჩეული ბიჭია!

რიიით?

კლასში ბევრი ზარმაცი გვყავს. მათ წიგნი ისე ეჯავრებათ, როგორც ლენინს ბურჟუაზია, მაგრამ წუნა ამაშიც მათ შორის უპირობო ლიდერია.

– შეიძლება? – გაკვეთილზე დასწრებას ითხოვს კარებთან მდგარი.

ყველა გავისუსეთ. გავისუსეთ იმიტომ, რომ ქიმიის მასწავლებელი დენვერი მეტად მკაცრი კაცი. ველით, როდის დიაქუხებს.

ვხედავთ, ჩვენდა გასაკვირად დენვერ მასწავლებელს გაელიმა, თვალები სიყვარულით აუჭუჭუუნდა და:

– წუნა! ქიმიას არ სწავლობ, არ სწავლობ, მაგრამ რომელიმე სხვა საგანს თუ სწავლობ მაინც?

შემოსულს მასწავლებლის დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხი არ აქვს და დაბნეული თვალებს აქეთ-იქით აცეცებს.

– აი, თუნდაც, ქართული ლიტერატურა, – აგრძელებს მასწავლებელი, – დავინყოთ ყველაზე მარტივით. აბა, მითხარი, ვინ დანერა „ვეფხისტყაოსანი“.

წუნას თვალები გაუბრწყინდა, რაც იმას მიგვანიშნებდა, რომ შეკითხვა მართლაც ეიოლა. მიგვანიშნებდა, მაგრამ:

– იაკობ ცრუტაველმა! – პასუხად წამოიკნავლა მან.

– იაკობ ცრუტაველმაო, კაცოოოო! თანაც ცრუტაველმაო! – ხარხარებდა მასწავლებელი და ნამეტნავი სიცილისაგან ცრემლების ღელეებიც ჩამოურბოდა ლოყებზე.

წუნა კი იდგა გაოცებული. უკვირდა, სწორ პასუხზე ასეთ სერიოზულ მასწავლებელს ამხელაზე რა ახარხარებსო.

ქერპანეჟ

საბჭოეთში სტალინის ეპოქა დასრულდა. ქვეყანას მმართველად ყველაზე დურაქი ბოლშევიკი, ხრუშჩოვი მოეწვინა. მალე მან „ოტტეპელი“ ანუ „დათობა“ დააყენა ქვეყანაში. თავისუფლებას დანატრებულმა ხალხმა ღრმად ამოისუნთქა. იმდენად ღრმად, რომ ბრაკონიერობასაც არად დაგიდევათ.

ტოფობა თევზის ქვირითობაა. ტოფობის დროს თევზები ქვირითის დასაყრელად მოზრდილი მდინარეებიდან უფრო მომცრო მდინარეებში შედიან. ეს გვიან გაზაფხულზე ხდება. ამ დროს თევზის ჭერა ყველგან იკრძალება. ჩვენთან კი „ოტტეპელი“ იყო და იმ ყველგანში არ შეედიოდით.

მდინარე დევოურაში მაჭახელადან შემოდოდნენ თევზები. ძირითადად ღამით. მათ დასაჭერად უფროსებთან ერთად თითქმის ვათენებდით დიდი და პატარა ბიჭები. მაშინ მე პატარებში გავდიოდი. დიდები დროის გასაყვანად ათას რამეს მოიფიქრებდნენ და ერთობოდნენ. ზოგიც დროს იხელთებდა და კუნაპეტ ღამეში მევლუდ ბიძიას განთქმული მაისის ბლის მოსაპარად ჩუმად გაიძურნებოდა.

სოფელში საოცარი საღის ბიძია გვყავდა, ჩემი გვარის, ჯიშის და ჯილაგისა. ამბობდნენ, ჯელობაში დიდი ვაჟკაცი იყო, ოლონდ, მე რომ დავიბადე, ის უკვე საკმაოდ ასაკოვანი გახლდათ. მაშინ ერთადერთი კაცი იყო სოფლად, რომელიც ჯერ კიდევ ცხენს დააგელვებდა. საოცარი საუბარი იცოდა, ემოციური, იუმორით გაჯერებული. საუბრისას თვალები ახალგაზრდულად უელავდა. მოყოლილ ამბებში ხშირად ჩაურთავდა თავისივე მოფიქრებულ ფრთიან გამოთქვამებს, ხალხურ ანდაზებს. ამბავს შესაკაზმავად ქართულის გარდა თურქულ ანდაზებსაც შეურევდა, რომლებსაც ჯერ თურქულადვე წარმოსთქვამდა და ქართულად იქვე თვითონვე გვითარგმნიდა. ზოგჯერ საკუთარ ლექსებსაც მიაყოლებდა ხოლმე, მაგალითად:

სწავლას ბევრი გაუზრდია,
რა დააშრობს ცოდნის ზღვასა,
ამდენი ხნის კაცი ვარ და
რაც არ ვიცი, ვკითხავ სხვასა.

მაშინ სოფელში 7-წლიანი სკოლა გვექონდა. ის მდინარე დევოურას მარცხენა ნაპირთან ხის ორ მომცრო შენობაში იყო განთავსებული. ერთი შენობა ორსართულიანი იყო და ერთიც – ერთსართულიანი. საღის ბიძია იმ დროს ამ სკოლის დარაჯად მუშაობდა. კომუნისტები რელიგიას კრძალავდნენ. მაჭახლის ხეობა კი რელიგიურობით ისედაც არ გამოირჩეოდა. სკოლის ერთსართულიან შენობას ღია აივანი ჰქონდა. როგორც ჩანს, კომუნისტების ჯინაზე, საღის ბიძია ღამით ამ აივანზე ფოსტს თუ პატარა ნოხს გაშლიდა და ყველას დასანახად ღამის სინათლეზე ლოცულობდა.

ერთხელაც, შედარებით უფროსმა ბიჭებმა მისი ამ ღამის მოტაცება გადაწყვიტეს. ვიცოდით, რომ ლოცვის დროს არც დალაპარაკება შეიძლება და არც დაუმთავრებლად ლოცვის მიტოვება.

საჭირო იყო ამ მომენტის გამოყენება.

შეთქმულებმა ერთი ყველაზე ფეხმარდი ბიჭი შეარჩიეს. ბიჭმა უკუნეთ ღამეში დევოურას ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე პატარა ხიდით გადაირბინა, აივანზე მდგარ ღამპას ხელი დასტაცა და ჩვენსკენ გამოენთო. უგულოდ მლოცველი საღის ბიძია კი არც ლოცვის წესებს დაგიდედათ. მან ლოცვა მიატოვა და:

– ქერჰანეჯ, ღამბა მეფაი! – იმხელაზე იყვირა, რომ სკოლის ეზოში მდგარი კაკლის ხის ფოთლები აშრილდა.

მას შემდეგ ბევრგან ვეძიებდი და ბევრს ვეკითხებოდი, თუ რას ნიშნავდა სიტყვა ქერჰანეჯ. ვერაფრით დავადგინე. მხოლოდ ახლახან მივაგენით მის განმარტებას ძველი ოსმალური ენის ლექსიკონში: ქერჰანეჯ – (გადატანითი მნიშვნელობით) კაცი, რომელსაც საკუთარ სახლში ჰარამხანა აქვს, ანუ ვისაც დედა, ცოლი, დები და გოგოები ჰყავს ცოტა იმნაირი!

იგი, ისი და მე

ამბავი პირველი

ის დროა, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები ვართ: იგი, ისი და მე.

იგი, ისი და მე განუყრელები ვართ. ერთად ვმუშაობთ, ერთ სახლში ვცხოვრობთ და სულ ერთად ვართ. მე და ისი ჩვეულებრივები ვართ. იგი – ცოტათი განსხვავებულია, რადგან ხშირად რაიმეს ნამეტნავი ამოჩემება იცის.

სუფრასთან ერთი კაცი გავიცანით. სუფრასთან ურთიერთობები მერეც გაგვიგრძელდა. იმ ერთ კაცს დავუმეგობრდით, თუ თითქმის დავუმეგობრდით კიდევ. იმ ერთმა კაცმა მრავალგზის გვთხოვა, ოჯახშიც მენვიეთ, ოჯახი დამიმშვენეთო. ოჯახიც გაიხარებს და მეზობლებიც უფრო დამაფასებენ, როცა ნახავენ, რომ თქვენისთანა კარგ, ჭკვიან, დიდებულ, გამორჩეულ, სახელოვან ადამიანებთან ვმეგობრობო.

მზე ზენიტს ახლად გადაცურებულისა. მეზობელ რეგიონიდან ვბრუნდებით. მანქანის საჭესთან იგია, ისი გვერდით უზის, რადგან საშინლად უყვარს წინა სავარძელში ჯდომა. უკან მარტო ვზივარ. ქალაქის შესასვლელს რომ მოვადექით, სადაც ის კაცი ცხოვრობს, იგი გვეუბნება, მოდით, ის კაცი დავბომბოთო.

მოვიდაო – ჩვენც.

მოვიდაო და დავბომბეთ კიდეც.

ზარზე კარი იმ კაცმა, ანუ უკვე თითქმის ჩვენმა მასპინძელმა გაგვიღო:

– ოოოოოო, ამათ ვის ხედავს ჩემი თვალები! – იმხელაზე იყვირა, გულგახეთქილი მეზობლები შეშინებული გამოცვივდნენ საერთო სახლის აივნებზე.

უკვე თითქმის ჩვენმა მასპინძელმა ამაყად გადახედ-გადმობედ-ახედა მეზობლებს და თვალებგაბრწყინებულმა და მალლა ხელებანუღმა გააგრძელა:

– ჭკვიანები, დიდებულები, გამორჩეულები, სახელოვნები, ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები...! – მერე სათითაოდ გადაგვეხვია და გადაგვკოცნა. მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ კი ფართოდ კარებგაღებულ ბინაში შეგვიძღვა და უკვე სრული მასპინძელიც გახდა.

– ახლავე მოვალ. – მოგვიბოდიშა უკვე მასპინძელმა სავარძლებში ჩასხდომისთანავე და ბინიდან ისე გავარდა, კარები არც კი მოუხურავს. მართლაც ორიოდ წუთში დაბრუნდა და შემოუძღვა თეთრ წინსაფრიან ქალბატონს, რომელსაც ფეხზე წამოვუდექით, გავეცანით და თბილად მოვიკითხეთ.

ორივე დატრიალდა. არც ნარდი გვითამაშია და არც კენჭობილა. თხუთმეტ წუთში სამეფო სუფრა გაიწყო.

– ვიცი, სამივე საუცხოო თამადა ბრძანდებით, – გვეუბნება მასპინძელი სუფრასთან დასხდომისთანავე, – მაგრამ დღეს მე უნდა გითამაძოთ. გითამაძებთ იმიტომ, რომ უფრო მეტად მოგეფეროთ, უფრო მეტად გამოვხატო თქვენი სტუმრობით გამოწვეული ჩემი სიხარული.

სუფრა ნელ-ნელა ეშხში შევიდა.

– ერთ სადღეგრძელოს ახლა მე ვიტყვი! – შუაში აწყვეტინებს მეორე თუ მესამე სადღეგრძელოს საუცხოო თამადას და კიდეც უფრო საუცხოო მასპინძელს იგი.

მე და ისი უხერხულად შევიშმუშნეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს. იგთან მაინც არაფერი გამოგვივიდოდა.

– მინდა ეს ოჯახი დავლოცო, სადაც ფეხი შემოვდგით, ეს ჭერი დავლოცო, – წარმოთქვა იგმა და უშუალოდ მასპინძელს მიმართა, – სადაც შენ გაიზარდე და შენი შვილები იზრდებიან. ამ ნალოლი-ავებ მშობლიურ კედლებს დაგილოცავ.

გაყვა და გაუტია. იგი კარგი მჭერმეტყველია და არც სიტყვა ნაქცევია. როცა, როგორც იქნა, ბოლოსდაბოლოს დაამთავრა სათქმელი, ალავერდი ჩვენთან გადმოვიდა.

ისიმ და მე ჩავთვალეთ, რომ ჩვენი რეგლამენტის დიდი ნაწილი იგმა შეიტყაპუნა და მხოლოდ სპიჩებით შემოვიფარგლეთ.

დიდი მადლობაო, მასპინძელმა. უპირველესად თქვენს ოჯახებს დავლოცავ და ყოველივე სიკეთეს ვუსურვებ, გაიხარეთო. ერთს დავამატებ ოლონდ. ეს ბინა სულაც არაა ჩემთვის მშობლიური, ჩვენი სახლი ნგრევაში მოჰყვა და ეს ბინა დროებით გვიქირავებს, სანამ ახალი სახლი აშენდებაო.

– უხ, შენი! – გავიფიქრე მე იგზე, მაგრამ ხმამალა არაფერი მითქვამს.

ისი კი ჩემზე მომთმენია და ამჯერად არაფერი გაუფიქრებია.

– ერთს ისევ მე ვიტყვი, – წამოიმართა მეოთხე, თუ მეხუთე სადღეგრძელოს მიმდინარეობისას იგი და თამადის თანხმობას, თუ ნებართვას არც დალოდებია, ისე გააგრძელა, – შვილები მინდა დაგილოცო, ჩვენო მასპინძელო. წელან ტელევიზორის წინ რომ ჩაცუცქულიყვნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. სათამაშოდ გარეთ ისე გაცვივდნენ, რომ მათი დღეგრძელება ვერ მოვასწარი. კარგები და სასახელონი დაზრდილიყვნენ. მარტო ოჯახი და კუთხე კი არა, მთელი ქვეყანა ესახელებინოთ. იმრავლეთ!

სადღეგრძელოს ისი და მეც შევუერთდით.

ჯერი მასპინძელზე მიდგა. მან ჯერ ჩვენი შვილები დალოცა, შემდეგ საერთოდ ყველა ბავშვი ადღეგრძელა და გააგრძელა:

– მე და ჩემი მეუღლე, თითქმის ათი წელია ცოლ-ქმარი ვართ და მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, შვილი არა და არ გვიჩნდება. იმედს არ ვკარგავთ. კაცი ხომ იმედით ცოცხლობს. ის ბავშვები კი, წელან ტელევიზორთან რომ ისხდნენ, მეზობლების ბავშვებია. ამ სახლში ფერადი ტელევიზორი მარტო მე მაქვს. ისინიც ხშირად მსტუმრობენ და საბავშვო გადაცემებს უყურებენ, – თქვა მასპინძელმა და დაჯდა.

მაგიდასთან მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

– უხ, შენი! – გავიფიქრე მე იგზე, მაგრამ ხმამალა არაფერი მითქვამს.

ისი კი ჩემზე მომთმენია და ამჯერადაც არაფერი გაუფიქრებია.

– ერთი კიდეც მინდა ვთქვა, – ვერაფრით დაოკდა იგი. მაგიდასთან დიასახლისი მოიწვია და სათქმელი გააგრძელა, – შესანიშნავი მეუღლე მინდა გიდღეგრძელო, მასპინძელო. ასეთი ახალგაზრდა, ლამაზი... არა, არა ქალბატონო, ნუ დაიმორცხვებთ, თქვენ მართლა მშვენიერება ხართ.

იგმა, როგორც იქნა სადღეგრძელო დაასრულა, მოზრდილი ყანნი პირში გადაიპირქვავა, ბოლომდე დაცალა და ალავერდი ჩვენთან გადმოვიდა.

ჩვენც დიდი ენთუზიაზმით შევუერთდით იგის წარმოთქმულ სადღეგრძელოს.

– გაგიმარჯოთ, ქალბატონო იმანო, – სამადლობელო სადღეგრძელო არანაკლები რიხით დაიწყო მასპინძელმა, – იხარე და იდღეგრძელე შენს მეუღლესა და შვილებთან ერთად...

მე და ისმა პირები დავაღეთ. იგმა კი, რომელსაც პირი თავიდანვე ისედაც სანახევროდ ღია ჰქონდა, მთქნარება დაიწყო და მას მასპინძლის სიტყვები ნანინასავით ჩაესმოდა უკვე. მასპინძელმა კი განაგრძო:

– ეს ქალბატონი ჩემი კი არა, ჩემი მეზობლის, ჩემი მეგობრის მეუღლეა. მისი ქმარი მეზღვაურია და ახლა ზღვაში იმყოფება. ჩვენს ოჯახებში სუფრა უერთმანეთოდ არ იშლება და ხმელეთზე რომ ყოფილიყო, ის ახლა ჩვენთან ერთად იქნებოდა ამ სუფრასთან. ჩემი მეორე ნახევარი რამოდენიმე დღით მშობლებთან წავიდა სოფელში და სუფრის გაშლაში დახმარება მეც ამ ჩემს ახლობელ ქალბატონს ვთხოვე.

– უუუუხ შენი, – ახლა უკვე ერთად გავიფიქრეთ მე და ისმა იგზე, მაგრამ მაინც ხმამალა არაფერი გვითქვამს.

ამბავი მეორე

ის დროა, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები ვართ: იგი, ისი და მე.

იგი, ისი და მე განუყრელები ვართ. ერთად ვმუშაობთ, ერთ სახლში ვცხოვრობთ და სულ ერთად ვართ. მე და ისი ჩვეულებრივები ვართ. იგი – ცოტათი განსხვავებულია, რადგან ხშირად რაიმეს ნამეტნავი ამოჩემება იცის.

ერთი მოსაყოლი, ადრე მოგიყევით. იგიმ რომ ამოიჩემა და ამოიჩემა...

მეორე მოსაყოლის ჯერი დადგა.

გორში ვართ, რესტორანში – იგი, ისი და მე.

– გვითამადე! რომც არა, ბოლოს მაინც წაგვართმევ თამადაობას და ბარემ თავიდანვე შენ დაიწყე, – ჩემი შენ ვითხარის პრინციპით მეუბნება იგი.

დავიწყეთ.

დარბაზში ხმაურია, რადგან სიგრძეზე გაშლილ მეზობელ მაგიდაზე ოცდაათამდე ადამიანი კამპანიობს და უკვე შეზარხოშებულნი არიან. თავიანთი მუსიკოსებიც ჰყავთ მოყვანილი და მედოლე მშვენიერ ბაიათს აბულებულებს:

მეც გამიცნო ერთმა კაცმა,
ნამდვილ ღვიძლ ძმად ჩამთვალა,
ფარგალივით მატრიალა,
ფანქარივით გამთალა,
მეორე დღეს ველარ მიცნო,
წინ ვედექი – თვალთანა,
მე კი ასე მეგონა,
სტუმრად ვარ ძმასთანაააა ...

ჩვენი სუფრაც ნელ-ნელა კრეფს სიჩქარეს.

– ერთ სადღეგრძელოს ახლა მე ვიტყვი! – შუაში შემანყვევტინა მეორე თუ მესამე სადღეგრძელო იგმა. დაწყებული სიტყვა მოვისხიბე. ვიცოდი, იგი რომ ამოიჩემებდა, მასთან მაინც არაფერი გამოგვივიდოდა.

იგი სადღეგრძელოს სათქმელად ღვინით გალიპლიპებული ჭიქით ფეხზე წამოდგა და მეზობელ სუფრას შეეხმინა:

– გორი და გორელები მინდა გადღეგრძელოთ, ძმებო. ასეთი კარგები რომ ხართ, ასეთი სახელოვანნი რომ ბრძანდებით, კაცობრიობას სწორუპოვარი კაცი რომ გაუზარდეთ.

გაყვა და გაუტია იგმა. იგი კარგი მჭერმეტყველია და არც სიტყვა ნაქცევია. სადღეგრძელოს ადრესატებსაც მოეწონათ ნათქვამი და ბოლომდე სულგანაბულებმა უსმინეს. როცა იგმა, როგორც იქნა, დაამთავრა სათქმელი, ალავერდი ჩვენთან გადმოვიდა.

ისმა და მე ჩავთვალეთ, რომ ჩვენი რეგლამენტის დიდი ნაწილი იგმა შეიტყაპუნა და მხოლოდ სპიჩებით შემოვიფარგლეთ.

დიდი მადლობაო, მეზობელ მაგიდელებმა. უპირველესად თქვენ გლოცავთ, გორელების დღეგრძელებაშიც გიერთდებით, ჩვენც დიდი სიამოვნებით ვადღეგრძელებთ მართლაც საამაყო გორელებს. ამას ასე იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენ, ვინც აქ ვსხედვართ, გორელები არა ვართ, ცხინვალელები ვართო.

– უხ, შენი! – გავიფიქრე მე იგზე, მაგრამ ხმამალა არაფერი მითქვამს.

ისი კი ჩემზე მომთმენია და ამჯერად არაფერი გაუფიქრებია.

– ერთს ისევ მე ვიტყვი, – წამოიმართა მეოთხე, თუ მეხუთე სადღეგრძელოს მიმდინარეობისას იგი და ჩემს თანხმობას, თუ ნებართვას არ დალოდებია:

– კიდევ ერთი სადღეგრძელოთი მინდა შეგეხმინათ ჩვენი მეზობელი მაგიდის წევრებო, – ხმამალა დასჭექა ფეხზე წამომართულმა იგმა და მეზობელი მაგიდის წევრები ჩვენზე უარესად გასუსა, – გორელები არა, მაგრამ ქართველები ხომ ხართ. ჩვენი საქართველო და თქვენი და ჩვენი ქართველობა მინდა დავლოცო. ვუსმენ თქვენს ქართულს, ვუსმენ თქვენს სიმღერებს და გული სიხარულით და სიამაყით მევსება. ჩვენი პატარა ქვეყანა რაოდენ მრავალფეროვანია. მისი ყველა კუთხე ერთმანეთისაგან ცოტათი მაინც განსხვავებული, მაგრამ ყველა ნამეტნავად ქართულია. მათი ერთობლიობა საქართველოს ერთ საოცარ თაიგულად ჰკრავს. კაცი რომ ქართველად დაიბადები, უკვე ბედნიერებაა. ქართველებს გაგვიმარჯოს!

სადღეგრძელოს ისი და მეც შევუერთდით.

ჯერი მეზობლებზე მიდგა.

მათ ჯერ ჩვენ დაგვლოცეს: საქართველოს, ჩვენს საყვარელ სამშობლოს გაუმარჯოს. თქვენ და ყველა ქართველს გაგიმარჯოთ. მართლა კარგები ხართ, გამორჩეულები, სხვებისგან განსხვავებულები, ჩვენთვის განსაკუთრებით საყვარლები. ამას ასე იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენ ებრაელები ვართო.

დარბაზში მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

– უხ, შენი! – გავიფიქრე მე იგზე, მაგრამ ხმამაღლა არაფერი მითქვამს.

ისი კი ჩემზე მომთმენია და ამჯერადაც არაფერი გაუფიქრებია.

კიდევ ორიოდ სადღეგრძელოს შემდეგ კი ვერაფრით დაოკებულმა იგმა ოფიციალტს ვაზა მოატანინა, ღვინით გაავსო, ადგა, ვაზა მალლა აღმართა და დაიწყო:

– ერთი კიდევ მინდა ვთქვა. ჩვენს შვიდიათასწლოვან ურთიერთობებს გაუმარჯოს, – ნათქვამი ცოტათი გაებერა, თუ გაებევრა იგის, – ყველასაგან გამორჩეულს, ქართველ ებრაელებს გაგიმარჯოთ! თუნდაც ამ ტერმინის გაჩენა რად ღირს, ქარ-თვე-ლი ებ-რა-ე-ლი, – დამარცვლით თქვა მან და განაგრძო, – ამით ყველაფერია ნათქვამი. საქართველო ხომ მეორე კი არა, თქვენი უპირველესი სამშობლოა. ეს იმაშიც კარგად გამოჩნდა, რომ როცა აღია დაიწყო და ნება დაგრთეს ისრაელში გადასახლებულიყავით, ფეხი არ მოიცვალეთ და არ მიატოვეთ საქართველო. აფერუმ თქვენს ქართველობას, აფერუმ თქვენს ებრაელობას, აფერუმ თქვენს ქართველ-ებრაელობას!

იგიმ, როგორც იქნა სადღეგრძელო დაასრულა, ღვინიანი ვაზა პირში გადაიპირქვავა, ბოლომდე დაცალა და ალავერდი ჩვენთან გადმოვიდა.

ჩვენც დიდი ენთუზიაზმით შევუერთდით იგის წარმოთქმულ სადღეგრძელოს.

დიდი მადლობაო, გვითხრეს უკვე ასაშლელად გამზადებულმა მეზობლებმა. მართლაც გასაოცარი სიყვარულით გვიყვარს საქართველო, მაგრამ ჩვენი რჯული და ადათი მოგვიწოდებს, მსოფლიოს მრავალ კუთხეში მიმოფანტული ებრაელობა ერთად შევიკრიბოთ აღთქმულ ქვეყანაში. რას იზამ, ჩვენც ამ რჯულს და კანონს ვემორჩილებით, რამაც შემოგვინახა დღემდე. ამ სუფრის ერთი ნახევარი ამაღამ მიდის ისრაელში და ამიტომ იკავებდნენ თავს ღვინის სმისას. მეორე ნახევარი კი ვაცილებთ მათ ამ დიდ გზაზე და ჩვენი სუფრაც ჩვენს ამ დროებით დაშორებას ეძღვნება. დროებით იმიტომ, რომ მალე ჩვენც დავტოვებთ ჩვენს საყვარელ საქართველოსო.

– უუუუხ შენი, – ახლა უკვე ერთად გავიფიქრეთ მე და ისმა იგზე, მაგრამ მაინც ხმამაღლა არაფერი გვითქვამს.



ქადთაგზა ანა სურბანიძე

* * *

მინების შემგროვებლო!
ჩამოიღე ზურგიდან გუდა,
შენ რომ სახლები აქციე ნახშირად,
იმ ოჯახების ნახშირებით უნდა ავივსო.

მოიხსენი სათვალე!
შენ რომ ათი წლის საშუა დაფლითე
მშობლების თვალნინ,
იმის თვალები უნდა ჩაგისვა.

ჩაყლაპე ენა,
დედის ენით გალაპარაკო!

ხორბლის ყანა რომ დაუნალმე, ორი წლის წინას
ეზოში ჭურვი დაუმსხვრიე, ფანჯრებზე – მინა,
გაქცევა სცადა ფეხშიშველამ, წინ დახვდა ორმო,
დედამ მიუსწრო უსწრაფესად – დედალმა ქორმა...
იმ დედა-შვილის ნახშირები
ცოდედად შენს ზურგზე
შენივე გუდით მოკიდულმა უნდა ათრიო.

სმენა დაიხშე!
თუმც შენ ისედაც დაყრუვდები განკითხვის დღეზე,
როდესაც ყველა ერთდროულად კითხვას დაგისვამს...

მინების შემგროვებლო!
შენი საფლავი ჩვილის ცხედრებს ამოუვსიათ...
და ახლა

ასეთ დიდებულს,
 ასე ღიადს,
 ასე მომხვეჭელს,
 შენივე დასამარხი მინა აღარ გაგაჩნია!

მზის სატკიპბრო

ეჰეი!
 გამიგონეთ ბალახებო,
 ეჰეეეი!
 გამიგონეთ ხეებო,
 ამომალებინეთ ჭაში ჩაკიდული
 ჩემი მკლავები!
 ნლებია
 ამ ობოლს ჩემ გარდა არვინ აკითხავს.
 პირველად რომ მივეალერსე,
 კატის მზერით ამომხედა, –
 ცივიც იყო და მიმზიდველიც, –
 ზურგზე ხელის გადასმაც რომ სურს პერიოდულად.
 კატასავით მეფიცებოდა,
 არ უთბებოდა მაინც სხეული.
 დედობის ინსტინქტი გამიმძაფრა.
 ძუძუ ვანოვე,
 ცრემლი მოგუნმინდე,
 თმები დავუვარცხნე,
 ვუმღერე,
 გულში ჩავიკარი,
 ხელი გადავუსვი...
 მერე გაიზარდა იმხელა,
 კედლებს აწყდებოდა,
 შიგ ვერ ეტეოდა,
 აღარ სურდა ჩემი სიმღერა.
 კაცი არ მოვიდა
 მისი დამლეველი,
 ნლები არა სჩანდა არავინ,
 დარდმა დააჩია,
 დარდმა ამოაშრო –
 გულის და ფიქრის მპარავმა.
 მერე შეერია ჭას სუნი ჭაობის,
 აღარ გამიკარა მზედობილი.

თათი ამიკრა ჭის წყალმა,
 კლანჭი გამომკრა.
 ახლა
 ვდგავარ და
 ხეებს ვეხვეწები,
 ამომალებინონ ჭიდან მკლავები...
 ადამიანს რომ ერთხელ კიდევ გახსენებოდა...

* * *

რა ფოთლებივით ცვივიან ადამიანებს ადამიანები?!
 ადამიანი ხომ განსაკუთრებული მცენარეა,
 მიწის ნიალიდან აღმოცენებული,
 მინაშივე ჩასაბრუნებული.

რამდენ გაზაფხულს მოესწრება?
 რამდენჯერ გამოისხამს ადამიანს?
 რამდენი ვინმე შერჩება ზამთრისპირ?

მოვა ვილაც მის უკანასკნელ ფოთოლთან და ფურირემივით შეაბლავლებს.
 ბენვზე გამოკიდული,
 კბილით სულდაჭერილი,
 მოთმინება ამონწურული
 მომლოდინე მიჯნურივით ჩაუფრიალდება კალთაში
 ერთი ადამიანის ბოლო ადამიანი ფურირემს.

განა ყველა მცენარე დედიშობილდება?
 კაქტუსი ხომ წინა ცხოვრებაში ამ წამსვლელ-მომსვლელი ფოთლებისგან შედგებოდა?
 იქნებ ვერ აიტანა მისი ტანიდან ადამიანების ცვენა და ისინი ეკლებად აქცია,
 რომ არც არასდროს წასულიყვნენ მისგან
 და არც არავინ შეჰხებოდა უდიერად.
 ვინ იცის...

უცნაური მცენარეა ადამიანი.
 არც კაქტუსი ჰქვია,
 არც უთხოვარი,
 არც ბაობაბი,
 არც დაფნა....
 თუმცა ყველა მათგანი დაძარღვულა და კოდირებულა მასში,
 ყველა მათგანი ყეფს!

* * *

რა ჩავიმღერო?

ვერც ერთი მოთმინება ვერ მოვიგე,

ყველა თმენა კუზად ამომეზარდა.

ჩამოივლიან გამვლელები,

ზოგი სიბრაღულით შემომცქერის,

ზოგი – ზიზლით,

ზოგი – ირიბად...

უმეტესი ამ სიმახინჯის ცქერით იკვებება,

უმეტესს ჩემი გამოზოგილი საკვები აინტერესებს.

მე ბრაზი მერევა და

ზურგზე მოკიდულ კუზს

ტომარასავით ვანარცხებ ძირს.

შუშუნებოვით ვარდებიან თმენის ზათქები,

მგზავრები ხელით ილუქავენ ყურის ნიჟარებს,

ამოიწურა მოთმინება,

და მეც ავდგები

ამონურვამდე გავასხვისებ –

გავცემ იჯარად!

რა ბედენაა,

საკუთარი მხრებით ათრევდე

მთელი ცხოვრების ნაკვინეტ ტუჩებს,

ფრჩხილებს, კალმის თავს...

ყველა წაგებული მოთმინება უკულმართია,

ყველა ანდაზა – კუზიანი.

ჭიბკოკონობა

წამო,

ფიჩხები შევაგროვოთ,

ჩალის ღერები,

შუა მინდორზე

დღეს კოცონი უნდა დავანთოთ.

უუჰ, რა ტკაცუნი გაუდის შეშას!

უუჰ, რა ტკარცალი გააქვს ცეცხლის მზეს!

აღს გადავანტეთ, მერე თუ გინდა

ზურგი აქციე და მიეფიცხე.

გინდა, ჭინკები დაინახო?

ეშმაკები და ქაჯები?
 გაქრი, საცერი მოიტანე,
 ამ სოფლის ნიაგ-ქარს აჯობე.
 საცერი მიიტანე შენს სახესთან,
 მყარად დაიჭირე მაჯები,
 მასში გაიხედე,
 უნმინდურნი
 ხედავ, როგორ დაალაჯებენ?
 ალისაო მალისაო,
 ჭიაკოკონლამისაო,
 კოცონს თავზე გადავახტი,
 ეშმაკების ბრალისაო,
 ანი რალა შემაშინებს,
 ანი რალა დამიშაოს,
 ალქაჯები ვნახე საცრით,
 მეც იმის ვარ გვარისაო.
 გან-გან, გან-გან განდევნილო,
 ცხრა მთის იქით, ბარისაო,
 ქვას და კლდეს ეყურებოდეს,
 აქ რომ დაესახლისაო.
 ჭიაკოკონლამისაო,
 განსანმენდელ თავისაო,
 სულს პეპლები შემასია,
 გული გამიხალისაო.

* * *

დღემ ჭამა ხორცი
 და ჩემი ძვალი დასახრავად მიუგდო ღამეს.
 თავგამოდებით ღრღნის ღამე ძვალს,
 ლოკავს და ამტვრევს,
 ხრტილს აკნატუნებს.

და სიბნელეში საზარელი ჩამესმის ხმები,
 გაყრუებულან ტყეები და
 ქვები კივიან,
 ტალღამ რომ ნაპირს მოახეთქა, ნავი კი არა,
 ჩემი ძვლებისგან აგებული მომცრო ტივია.
 ერთხელაც დავშლი ამ უკუნეთს
 მარტივ ხერხებად

და გავეკვრები ქრისტესავით
ტივის ხერხემალს.

შენ ახლა ხედავ,
მთვარესავით ამომდის სული
დენის წყაროდან გამოგლეჯილ ცის მონიტორზე.

თევზის ტირილი

შენ გინახავს თევზის ტირილი,
გაბმული გვალვებისას?

როცა მწვერვალებს რძე უშრებათ, ტყეებს იჩეჩენ,
და დამშეული მდინარე სულს ღაფავს, ხავილით,
მდინარეს უჩანს გულის ფსკერზე ამონვერილი,
ძუძუნანოვი, ნაფერები, თოთო ყვავილი...

თევზს რა ატირებს,
რა შიში კლავს,
რა მწუხარება?
მეც ხომ ვიტირებ
იმ ყვავილთან თუ კი გავივლი?!

* * *

მამაჩემო,
კლდეებზე მხტუნავ ჯიხვად რომ გამზარდე,
გესწავლებინა აკვარიუმის
თევზად ყოფნა.
ჩავიგუბებდი პირში წყალს,
შევჭამდი – პატრონის ხარჯზე
და პატრონის გემოვნება გახდებოდა ჩემიც.
გამოვიხედავდი აკვარიუმის შუშებიდან
და აკვარიუმის შუშები გახდებოდა ჩემი ზღვა.
ალარასოდეს მომინდებოდა
მეჭამა სხვა საკვები,
მყოლოდა სხვა პატრონი
და მეცხოვრა სხვაგან.
ახლა რომელ აკვარიუმში ჩავეტიო?
როგორ ვაქციო ეს რქა ლაყურებად?!

ნიჟარების მატარებელი

ადამიანები თვლიან, რომ ბედნიერი ვარ.

სახლიდან ყოველი გასვლისას ვიღებ ფერად ბუშტებს და
თმაში ვიმაგრებ ბოლოებზე განასკვეული ლენტებით.
თავად ვღებავ ბუშტებს სხვადასხვა ფერად.
თავდაპირველად ყველა თეთრია.

ნიჟარებს ვაგროვებ ქუჩა-ქუჩა,
მივიღებ ყურზე და ვისმენ თქვენს მღელვარებას.
რაზე არ წუხხართ, ხოლმე თქვენც...
ვის აგარაკი უყვია,
ვინ სამოგზაუროდ წასულა,
ვის საყვარელი გაუჩენია,
ვის უღვაში მოუპარსავს...
განა რა ჩვენი საქმე ესაა,
მაგრამ მაინც ვუსმენ თქვენს ხმაურსა და მძვინვარებას გზა-გზა ნაპოვნი ნიჟარებით
და აღარაფერი მაკვირვებს
გარდა ნიჟარის უცნაური ფორმისა.
ვუყურებ და ვცდილობ გავარკვიო,
რა ძალამ მოაქცია მთელი ქვეყნის მღელვარება ამ ერთ ციდა ხვეულაში...

მთელი ცხოვრებაა ცურვას ვსწავლობ:
ხან ზურგზე ვწვები,
ხან მუცელზე,
ხან ბაყაყს ვემსგავსები და ხან ძალღს,
მაგრამ რად გინდა –
საკუთარი თავიდან ვერ გამოვცურე.

მერე მამაჩემი?
რანაირი იყო –
ღმერთივით შავი,
კაცივით წმინდა...
მესტვირე იყო მამაჩემი,
კი არ უკრავდა,
დაანყობდა თითებს საკრავზე,
ათამაშებდა სულჩაუბერლად.
და იღვრებოდა მელოდია სანყალობელი...
მესმოდა მხოლოდ მე დაკვირის ხმა –
არ მიჭამია თეთრი გველი,
ღმერთმანი, მაშინ.

და როცა სული ჩაუბერა სტვირს, მამაჩემმა
შენყდა სიმღერა,
გამინყალდა გულში მერცხალი.

უმღერებელი სიმღერები,
დაუნერელი ლექსები,
დაუხატავი ნახატები
უცეკვებელი ცეკვები,
მოუქარგავი ტილოები,
გაუჩენელი ჩვილები,
ჩემს ერთ ნიჟარაში მოვაგროვე
ყველას გულის სათქმელს ვიგონებ,
ზღვაო, ნაპირთან დამიტოვე,
მოკითხვად,
ნიჟარების ვაგონი.

ყვავის სიმღერა

სანაპიროზე
მტრედი არა და არც თოლია,
მზის ჩასვლას ყვავი უმღეროდა,
– უსამშობლო ბოშა.
ხმახრინნიანი,
სევდიანად აპობდა ტალღებს,
ღმერთს პასუხს სთხოვდა.

შემოეხვია მზეს თავისი თბილი ხელები
და ყვავს თვალიდან ულოკავდა მდუღარე ცრემლებს.

მერე ნიავმა ფრთა შეასხა ბაბუანვერას,
მერე ნიავი ტაშს უკრავდა ბაბუანვერებს.

თვლემდა ხორშაკი,
კანს აცლიდა ქვიშიან ნაპირს
და კენჭებამდე გაუხეშდა
ქვიშის ხავერდი.

ყვავი კი იდგა,
ყელი მზისკენ წამოეწია,
სამადლობელო მისამღერი უთხრა ყვავური:
მზეო, იძინე, იძინე,
ამოეფარე გორას,

ზღვა საბნად შემოიკეცე,
ქარი არ იშლის ქროლას,
არ გადაგხადოს საფარი,
არ მიგიტვალოს ტოლად...

* * *

მზეს
ობოლ ჭაში
ჩაკიდული დარჩა მკლავები...
ონინარები
მოლოდინით
წელში ტყდებიან...

* * *

მე ახლა ვფიქრობ,
რამ შემატა ჩემს თმებს მზის სითბო,
მზის ელვარება, მზის ნავარდი
დალალებს შორის...
და გამახსენდა...
მთელი ბავშვობა
ჩემს თმას შენი თითები წნავდა.

* * *

წესი იყო და, – ავაგეთ,
წესი იყო და, – დავიტირეთ.
წესი იყო და, – დავარღვიეთ.
წესი აღარ იყო, –
უნესობა ვლამბეთ!

* * *

ჩემმა გულმა რომ
ფეხი აიდგას,
ხელს ჩავკიდებდი.

* * *

ის დრო დამიდგა
 კაცებს ასაკს ვუმალავდე,
 გულს – გატაცებას,
 ყურებს – გლახა ამბავს.
 შვეაფარებდე თავს ღრიჭო ფარდულში,
 თვალებს – სათვალეში,
 ზურგს – კედელთან.
 ამოდოდეს მთის ნვეროზე სიზიფე ხვნეშით,
 ამოზიდავდეს უძლეველ სიტყვებს
 და დამიყრიდეს ფერხთით ლექსებად.
 ცა იდგეს შემდგარი ჟელატინი,
 მზერწყული ამინდი იდგეს,
 და ვლვრიდე წყაროს წყალს ხელადიდან,
 უკვდავს და სამოთხის სითხეს.
 ის დროა ასაკი გადავმალო...

* * *

თოვლმიყრილ მიწას ან
 სხვენში გადანახულ სათამაშოს ჰგავს
 ვერახდენილი სიყვარული.
 როგორც კი სუსხი მოშორდება
 ჩამბალ ნიადაგს,
 ენძელა სკდება მკერდიდან მაშინ.
 და რამოდენაც არ უნდა გახდე,
 სულ ანგელოზის ფრთების ძალით
 გარბი სხვენისკენ.
 გაშვილებული შვილივითაა –
 ყველა სხვა შვილით ნაკლულ დედას
 სიბერეში რომ ქცევია ლანდად.

ბ-ს

რა მოგივიდა მეგობარო,
 ძმაო და სულო,
 რა სევდის ჩრჩილი შეჩვევია
 შენს გულს, მზეკაბანს?
 გახსოვს, ავდარს რომ ვაფიცხებდით,

ვწვრთნიდით ავსულებს?
 შეგვეძლო ერთად
 მთელ დღეს ფიქრის ჭალა გვეკაფა.
 ვინვერებოდით საკუთარი
 დილის მზებეზად,
 გადავდიოდით მზიდან – ხმაში,
 ხმიდან – სიტყვამდე
 შენ შეგძლებოდეს იმ ავსულებს ისევ შეება,
 მე – ბოლო ცაზე რომ აგიყვანდე.
 რა მოგივიდა მეგობარო,
 რა მოგივიდა?
 მსურს აგიყვავდეს გულში ია,
 სულში – ბელურა,
 მე სულს დაგინერ ხატებად და მელოდიებად
 თუნდაც გაკვრით და ბატიფიხურად...

* * *

ახლა ავდგები და
 წყევლასავით ჩამოვთლი ლოცვას
 „– შენი სული არ აგაძრო ღმერთმა“.
 გაჩენიდან ასე ვარ,
 არც წყევლა გამომდიოდა სრულად,
 არც ლოცვა.
 გამოვკიდულვარ ასე –
 ნახევრადმშრალი სარეცხივით,
 აულებელი სარეცხივით,
 თოკზე შერჩენილი სარეცხივით...
 გამონათებისას შეშრება თუ არა
 წვიმა რომ მოუსწრებს ხოლმე,
 არც მთლად გაშრობა ღირსებია,
 არც – დასველება.
 ვერც „მადლობა“ შევიყვარე,
 ვერც „ბოდიში“.
 „მადლობა“ ვალად დადებული პროცენტის სესხივითაა –
 იხდი, იხდი...
 როდის, როდის მიხვალ ძირამდე...
 „ბოდიში“ კიდევ საკუთარ თავთან
 მევალებათა,
 მთელი ცხოვრება ასწორებ და ფარავ ამ ვალს,
 ასწორებ და ფარავ...
 მაგრამ საკუთარი თავის ვალიდან ამოსვლა ყველაზე ძნელია.

ახლაც,
 როცა ვამბობ
 შენი სული არ აგაძრო ღმერთმა-მეთქი,
 ეს ლოცვა უფროა თუ წყევლა?
 წყევლა უფროა თუ ლოცვა?
 – რაცაა!

* * *

გისაყვედურო
 თუ მადლობა გითხრა,
 არ ვიცი,
 რომ არ მასწავლე
 ჩემი სიხისტის
 სიბლანტედ ქცევა,
 ძაბრში ჩანურვა...
 ო, რამდენ ღამეს ჩამოვკიდებდი
 კედელზე ჩარჩოდ
 ნახატებად კი მივაბჯენდი ჩემივე მზერას.
 ამოვიდოდნენ ენძელები ღამის კედელზე
 და მზერა იგი, პეპლებივით იფარფატებდა,
 ამოიღებდა ყვავილიდან ნექტარს მალევე
 და შეურევდა ჩემს სიბლანტეში.
 და მე ვიქნებოდი
 უფრო სასარგებლო
 უფრო ტკბილი
 უფრო ძვირფასიც...
 მაგრამ დიდია ალბათობა,
 რომ თაფლი კვლავ
 შაქარყინულის კრისტალი გახდეს.

* * *

ვინ
 გადანყვიტა
 დამხმარე სიტყვად
 შორისდებული?
 ერთი
 „ვაიმე“
 ბოლოს უღებს
 წინადადებას.

* * *

– ეჭეი!
 გულზე ხელებს გადებთ, მთებო!
 რა ბაგაბუგი გაგიდით,
 რანაირად ჩუხჩუხებს თქვენი სისხლი?!

* * *

შენ შეგიძლია მზემარხულევ ქუჩებს მოედო
 და საკუთარი ჯავშანივით დაგქონდეს სახლი?
 მოგდევდეს ქარი
 გკბენდეს ნვიმა,
 გცემდეს გრიგალი
 შიშველ კოჭებზე მათრახივით
 გშოლტავდეს ყინვა
 ურნაში ნაპოვნ პურის ყუას
 ცრემლში ანობდე
 მაინც არწივის ხმით ხაოდე
 შინა ვარ!
 შინ ვარ!?
 შენ შეგიძლია ნოემბრული
 თოშვა, კანკალი
 ნიგნის კითხვისას დაუფლებულ
 გრძნობებს აბრალო?
 გიღრენდეს მგზავრი
 ქვეითები
 ველომრბოლები
 მძლოლი
 ტურისტი
 მანანნალა
 ძალლი
 და მეფე
 ყველა
 ყველანი
 გაღიმებას მპარავენ
 ღმერთო
 ყველა
 ყველანი
 თავიანთი ლუკმისთვის ყეფენ

რაზედაც თათებს აპარებენ
ჩემსას და სხვისას
დორბლდადენილნი
პირწმინდად ყვლეფენ.
ვინც ამ ქუჩაზე
ტროტუარი
მიქცია საბნად,
ნუ შემოაცმევ
ცრუ მანტიას
იმ შიშველ მეფეს.
აჰა, დობილო,
მოგიტეხო მინდა, ეს პური...

* * *

აბა, რანაირი შვილი მე ვარ, მა?
სულ ვიცოდი რომ უკვდავების ვაშლი გქონდა ჩაკბეჩილი,
მაგრამ როცა შენმა თვალებმა
აღარ გამიღიმეს
უცებ დავიჯერე გარდაცვალების.
კივილმა გახია ცა.
ჩამოცვივდა გახეული ციდან ღრუბლები
და ჩვენი სახლის მისაღებში დახვავდა.
აღარც დაინურა და აღარც აორთქლდა.
რანაირი შვილი მე ვარ?
მოვდივარ შენს საფლავთან და
ისევ ვიჯერებ, რომ ის ვაშლი შენი ჩაკბეჩილია.
აბა რატომ მოვდივარ,
რას ჩავყუდებულვარ ახორკლილ მიწას,
რას ჩავშტერებივარ,
განა რა უნდა დავინახო,
განა ვინ უნდა დამიქნიოს ხელი?
განა არ ვიცი,
რომ
ის ვაშლიც
ადამიანის
ხერხემალზე
ამოიზარდა?
რომ მისი ტანი ძვლებია ჩვენი,
ნაყოფი – ხორცი,
წვენი – სისხლი,

თესლი – სიმრავლე.
 – აბა რაღაა მაშინ სიკვდილი?
 – ადამიანის გარდაქმნა
 ვაშლის ნაყოფად.
 ანუ
 ადამიანის ენერჯის
 ვაშლის ენერჯიად გარდაქმნა.

შვიდ მაისის წვიმა


ჩემს ბავშვობისას
 გაგვრეკავდა შინიდან, ნენე,
 დღევანდელ წვიმას სილამაზე მოაქვსო თქვენთვის.
 – თმის კოჭებამდე გაზრდა მოაქვს,
 და ბრწყინვალეობა,
 ამ დღესო წვიმას ხმაში, ფერში ბაჯალლო ერთვის.

და კისრისტეხით ვეშვებოდით მინდვრისკენ ყველა,
 წვიმა, მართლაცადა, მოდიოდა მინდორზე, როგორ...
 – ნახე, ჩემი თმა გაიზარდა...
 – ეე! ჩემი უფრო...
 – აბა, შენ ჩემს თმას შემოხედე...
 – ვაა! ბრწყინავს, გოგო!...

ტერფამდე კაბით, თმაგაშლილი,
 ვხტოდი მინდორში,
 წვიმას ვუშვერდი თავს და
 ლოცვას ვამბობდი სწრაფად,
 თმა დამიგრძელა, გამიზარდა მაისის წვიმამ,
 მერე უეცრად დამიმოკლდა მუხლამდე კაბა.

აღარც ის კაბა, აღარც ნენე, არც ის მაისი,
 ჩემს თმასაც ახლა შემოდგომის სურნელი ეცა,
 თუმც, მთელი დღეა თმაგაშლილი დავდივარ მაინც
 და გაბუტული ვაცქერდები გამომშრალ ზეცას.

და ვმღერი გულში:
 „შვიდ მაისის წვიმაო,
 თმაო, კოჭამდინაო...“



ქეთი ჭოდგორდი

ამსიმძიმე... ამსითეირე...

უფრო მაშინ,
ფანტაზიამდე რომ ვერ მიდიხარ,
შემდგარია ტკივილი,
თავის მარცხენა ნახევარსფერო უჩანს.
განზოგადების გაკვრა
უარესია...
როცა სეზონური და ესთეტიკაზე დამშეული ფერებით,
წარმოსახვაში ბუნება გაქვს ჩაყოლებული,
კეფიდან ვერ გაუშვებ,
ძირითადი იდეით ძილზე დევს და
შენ მით უმეტეს,
სიზმრის ბოდვაში ჩაგითვლიან.
გიჭირს, შაკიკის შუბლამდე გამოყვანაც,
არც მდნარია, ხანგრძლივი, ცივი ჩრდილებით...
ამსიმძიმე ფორმის,
თუნდაც სითეთრე,
თან როგორი მოკაკუნე ზმნებით,
ცვილის ჯავშნამდე როგორ გინდა დაძრა,
როცა უძილობის დროსაც,
საათის მხოლოდ სამ მეოთხედს ერევი...
ისინი?
თავისუფლები რომ არიან სხვის ტკივილებში?
მათი შეძახილებიც შეიძლება გაიტანო სამოტივაციოდ,
გაიტანო თავიდან,
ვენებიდან,
მთელი სხეულიდან, შენუხებული,
ისევ დნობით ან ნერვზე დაკიდების მცდელობით...
მაგრამ ასეა არსებობა,
ეგო – ტკივილიანი ესკორტივით...

თუნდაც, იღბლიანი უჯრედები,
 მუსიკალური შესაძლებლობით,
 ან ბროლის კვანძებით იხსნებოდნენ ყელიდან,
 ძირითადი მიზანი ხომ
 თავში ტრიალით,
 ქეშმარიტებისკენ გზის ჩამღერებაა და
 არა შემზარავი,
 ზოგადი კომფორტი.

* * *

და თუ ეს არაა ფიზიკა...
 ტკივილი სიმძიმემ
 ფსკერისკენ მიზიდა,
 იქ დარჩა...
 სიმშვიდე კი, მსუბუქად
 ზედაპირზე ამოდის
 და თავშეკავებული შემადგენლობით,
 მომავალი შრის წარმოქმნას იტყობინება.

ასე იყო ზუსტად –
 არანაირი ცდომილება,
 არსებობიდან ჩემს ქალობაში რომ ჩავიხედე.

ჰაერივით ანმყომ,
 წვიმებით ავიმხედრე მდინარე და
 გავატარე მთელ სხეულში,
 გამშრალი ყვავილების გადასარჩენად,
 ვიდრე წყურვილით დამნაშავედ მაღიარებდნენ.

კიდურები რჩება
 მიწასთან ახლოს,
 ლეროსთვის წყლისფერ ალიბს ისრუტავს.
 ყვავილები სიმსუბუქით ილტვიან ცისკენ,
 (ქარი ხომ მისუსტდა)
 უნდა ისუნთქონ, მიხსნეს...

და თუ დაცემის შემდეგ ადგომა
 ხასიათია და არა ფიზიკა,
 გვირგვინები იტყვიან,
 როცა იქნება დრო,

შუა წვიმაში ცეკვის დრო...
 როცა წალეკავს
 ფერების წყალდიდობა
 წარსულის ხედებს და
 შენთვის რომ მინდოდა
 სულის მისტიკა,
 გაშლას დაინწყებს
 ლავინზე ვარდებით...
 ამომხედე!

* * *

ესაა შენი არყოფნა,
 უხმო შეგრძნებებს მტვრის ქვეშ რომ ვაპნევ და
 მოსალოდნელ სიტყვებს ჭექა-ქუხილი მოაქვთ,
 შენ ნუ მოხუჭავ თვალებს!
 რომ მჭირდებოდი ბინდის პირზე –
 ფერფლი მებურა,
 ღამეც რომ ერთად გადაგვეტანა –
 სად იყო შენი არსებობა,
 ან კანზე ეკლების ამოფრქვევები.
 პირი ჩრდილისკენ რომ არ გებრუნა,
 დამეხსნებოდა გაუმართლებელი ბედ-იღბლის ქარი.
 როგორ არ ვეყოფოდი სიცოცხლეს,
 როცა დამხრჩვალიც,
 ზღვიდან ჩემი ფეხით მოვდივარ...
 ხედავ?
 როგორ დამინდო,
 წყალმაც როგორ ვერ გამომრიყა,
 მაშინ, როდესაც შენი სტიქიური შეგრძნებებით
 მოსვლას ვლამობდი.
 ესაა შენი არყოფნა – ჩემი ადამი –
 მხოლოდ ჩრდილებით შენახული, საგულდაგულოდ.
 ერთად კი,
 ჩვენი სიყვარულის
 თითოეული მოუსვლელი შესაძლებლობა –
 მოუსვლელი კენკრასავით
 ჩამომარცვლული...
 მოსალოდნელი წვიმის დროს მაინც,
 ნუ გაამყარებ ასეთ არყოფნას,
 გთხოვ, ნუ დახუჭავ თვალებს!

შამინდო შესვენებებით

შეწყობილი დიალოგია
 ჩვენი სულიერი კომპოზიცია,
 მე სულ ვსაუბრობ,
 შენ – მეთანხმები...
 არც ერთი გრამით მეტი უჩვეულობა,
 არც ერთი ამინდი შეუსაბამო,
 სიმბოლიზმი უნიფორმასავით...
 ისე კი, სულ რამდენიმე სიტყვის მოქნევაა საკმარისი,
 რომ გაგიკვირდეს...
 როგორ შეიძლება ამდენ ცისფერში,
 წამიერი შემღვრევა?
 სიმრგვალე მუხლებს მოგაგონებს,
 სითეთრეს – გამორეული სახამებელი.
 უმნეობა გინდა?
 შესამჩნევია,
 ერთი ტონით გაღიაება,
 როგორც ხავერდზე
 ხელის გადასმა,
 საპირისპირო მიმართულებით...
 იმ სანყის წერტილზეც დაბრუნება,
 ღერძს რომ გულისხმობს,
 სამყაროს შემოტარების მცდელობით,
 უკლიმატოს ხდის ტილოზე
 ნისლებს და
 როცა გაზაფხულის გამოტოვება,
 თვალეში სიცისფრის გადარბენით მოიღრუბლება,
 მოდი და ნუ განვიმდები,
 ნუ განვიმდები...

* * *

მისტიკა არაა? – უკედლობას კი არ ჩივი,
 მარცხიდან ამოღებული რესურსივით,
 პლასტიკურობაზე ანატომიას აწყობ და
 მერე ჰორიზონტს ისე გრძნობ,
 თითქოს არ გენახა, ან დაივიწყე.
 არადა, არაა არც ერთი უცხო.
 იმ ხელებივით...

შეხედე, მათ იციან,
 სიახლოვე როგორ მოგგვარონ,
 სადაც დროს უფრო მეტად ვეხებით –
 ახლობლებგამოცლილ ხნიერ სამყაროს.
 რა იოლია მოცემულობა,
 შეხებამდე გული რომ გაგიტყდეს,
 შენი წილი სულის ფერწერას ამაყ სევდაზე შეაყენებ,
 ფონში – ბრაზის ელვარებით,
 რომელსაც ყვავილები უყეფენ
 აბრეშუმის ტონალობამდე, ანტრაქტამდე...
 და მერე ისევ ხელები,
 მათ იციან,
 სამყაროს აღქმის საიერარქიოდ,
 საყრდენად კედელი კი არა, სიყვარული იყო,
 გახსოვს?
 მსუბუქი, უცაბედი სიხარულივით...

* * *

მეხსიერება შენ მხრებზე მზერისას
 ფორიაქს მინთებს,
 რომელიც სიყვარულს კი გულისხმობს,
 მაგრამ მეხსიერებაა,
 შიგადაშიგ მოტკბო ფილტრით და
 ნერვების შესაბამისად, ვერ ვენდობი.
 თვალს გააპარებ, ფეხიც დაგიცდება და ხელების იმედზე როგორ არ დავრჩე.
 ნათითურებზე შეხებისას
 თუ თითოეული განცდა შეირხა,
 ლირიკას რომელი ერთი მივანერო?!
 ემოციას იმ დათქმულ მისამართზე გავუშვებ,
 შენ რომ უნდა მოხვიდე და ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად,
 ქუჩას სახელი შეუცვალონ...
 მერე არ იჩენს თავს,
 ყოველი ვერშემდგარი შეხვედრის სევდა და
 ხავსზე მოჭიდებას რომ ვერ ეგუება,
 ის სიყვარული –
 უკან დაბრუნების მცდელობებიდან
 ამოკრეფილი სინათლე,
 რომელიც მუჭებში დუმილის ჭერით უნდა მოვიდეს,
 ღმერთმაც მხოლოდ ამით იცნოს და
 მხრებზე ფორიაქი,

უკვე აბსტრაქტული უღელივით შემიმსუბუქოს...
 ესეც კმარა იქ,
 სადაც შეიძლებოდა არსებობა სიბნელის მხრებით, უსასრულოდ,
 სადაც წლებია მზისგან ვნათდებით
 და ბნელი შუშდება
 ნახნაგებში არეკლილი ადამიანით.

* * *

იმ სიცივისაა,
 წამიდან რომ შლის მარადისობას,
 თქვი და ჩრდილიც კი არ გაუქრება,
 თუ ეს სივრცულ ესთეტიკას დასჭირდა.
 წარსულის თავშლით პოეზიას რომ შეეფაროს,
 ეპიზოდურად, ხედვის ლირიულ რეფორმებს,
 სიტყვებს შორის დაყოვნებით ამოიხრებს,
 სწორედ ამიტომ,
 რაც სხეულში წერია და
 ვიდრე ყელიდან გაქრებოდეს,
 იმ გადამწყვეტ ბგერებზე
 დადის და უთითებს ღმერთი,
 ასე აჩვენებს, გზა რომ არსებობს...
 სხვანაირად, აბა როგორ აიტანდა სიტყვების
 პათოლოგიურ შეთქმულებას?!
 ნებისყოფა მორჩილებამდე თუ წაუვიდა,
 მეტი რაღა თავშეკავება...
 სულის საყვავილე ისტერიკაზე,
 ამდენ გაზაფხულში
 შთაგონებას რომ მაშინვე
 ჰერბარიუმით გადაიხვევს და
 მოსურნელო სიმშრალეს აკმარებს
 დაბზარულ ლარნაკებს...
 ნახე,
 როგორ გამოიყურება
 თითოეული მისი ვერსია,
 თითოეულის ყოველი მცდელობა
 ხომ მხოლოდ იქითაა მიმართული,
 რომ წასული სიყვარული შეცდომაში არ ჩაენეროს,
 თორემ, ისე...
 ცაც კი მოახერხებს ჩაღვრილი სიტყვის გაოცებას.



პუნი სადვაროძე

ბიშპ

დედაჩემი გეიშა იყო, ანუ გეისია.

ისიც პოეტი ყოფილა ჩემსავით. გენები მისგან გამომყოლია. ნეტა ამის ნაცვლად ვინმეს მისი ლექსები ეანდერძა ჩემთვის. მის სულში მაინც ჩავიხედავდი... მაგრამ, დედაჩემის საუნჯე მამაშენმა მიითვისა...

მამაჩემიც მამაშენმა მოკლა. რადგან, წინდადნინ გამოართვა მამაშენს ფული და მიძუაგეს აუქციონზე გამოტანილ დედაჩემის ქალწულობაში მასზე მეტი ფული გადაიხადა.

მამაშენს არ ეყო თანხა...

დედაჩემი ძვირად ფასობდა...

მანამდე მცირედად მოკვებულს თმა და დასვეს სარკის წინ. იმაზე ადრე კი, ვარდის წყალში აბანავეს, ანუ განბანეს და ახალი ცხოვრებისთვის შეამზადეს. ეს ამბავი ნისუში მოხდა, ვარდობისას. დედაჩემი მაშინ მაიკო იყო, მანამდე კი, ინიციაციის ცერემონიალი ჩაუტარეს და სანამ გეიშა გახდებოდა ხუთჯერ შეუცვალეს ვარცხნილობა.

თითიეული თითო საფეხური იყო გეიშობამდე...

ჰოდა, იმას გიყვებოდი, მამაშენის ნაცვლად მამაჩემმა იყიდა-მეთქი, მისი ქალიშვილობა და მეც ჩავისახე...

მამაჩემი ჩაით მონამლეს...

პირდაპირ საძინებელში შეუგზავნა მამაშენმა მონამლული ჩაი. დედაჩემს ჯერ კიდევ ეძინა ყვავილების ფურცლებით მოფენილ სანოლზე. კედელზე კი, მამაშენის ნაცვლად, მამაჩემის ხელით გახდილი კიმონო ეკიდა... იმან ყველაფერი დაინახა... მაგრამ, არაფერი უთქვამს. რატომ? კიმონოა და იმიტომ. მერე რა, რომ დიდი ხანი არჩევდნენ და თან ძალიან ძვირიც გადაიხადეს... კიმონოს არ ჰქონდა ენა, არც ყური და მიტომაც ვერ გაიგო დედაჩემის საზარელი კვილი, როცა მამაჩემს პირიდან ქაფები წამოუვიდა...

დაიწყო ქაოსი.

უეცრად კიმონოზე ამოქარგულ გველეშაპსაც კი მოეღრიცა კისერი და სანოლისკენ გადმოიხარა. ლამის დედაჩემს დაბრალდა მისი მონამლვა, მაგრამ მამაშენმა იხსნა... საგანგებოდ მოაკვლევინა ის, ვისი ხელითაც მონამლული ჩაი შეაგზავნა საძინებელში.

დედაჩემი დეპრესიაში ჩავარდა. მაგრამ თავის მიზანს მაინც არ უღალატა და ერიკაეს ცერემონიაზე ღირსეულად წარსდგა. იმ დღეს მას პირველად შეუღებეს ორივე ბაგე, მანამდე კი, მხოლოდ ერთ, ზედა ტუჩს უღებავდნენ ყმანვილქალური უბინოების ნიშნად... დედა იმ დღეს გეიშა გახდა,

ყველაზე ღირსეული გეიშა გეიშათა შორის. მამაშენი კი, მის მფარველ დანნად გადაიქცა. მამაშენი მეცენატი იყო...

დედაჩემი ბებიაჩემმა დაწყევლა, მამაჩემის დედამ. იქნებ ამიტომაც დასნეულდა და გადაყვა ჩემს მშობარობას... არ ვიცი... მხოლოდ ის მითხრეს, რომ ჩემი აღზრდა მამაშენმა ითავა. თუ კი ამას ასე შეიძლება ეწოდოს. უბრალოდ, მიმაბარა ერთ გამზრდელს და სამუდამოდ მიმივიწყა. ან კი, მე რაში ვჭირდებოდი, როცა დედაჩემის უმმთავრესი საუნჯე – ლექსები მას ჰქონდა სულის საამებლად მიტაცებული...

ჩემი გამზრდელი დედაშენის მეგობარი აღმოჩნდა. ისინი ერთად სწავლობდნენ პოეზიის სკოლაში. ჩვენ ერთ კვარტალში ვცხოვრობდით, გვერდიგვერდ და სათამაშო ბალიც საერთო გვექონდა. იქნებ არც გახსოვს, როგორ გვიკითხავდნენ საიგესა და მაცუო ბასეს პანანკინტელა ლექსებს, როგორ გვიმღეროდნენ ყვავილების საგალობელს და გვაძინებდნენ ერთად ფართო ჰამაკში. იქნებ არც მე მხსომებოდა ყოველივე, მაგრამ შენმა ტურჩებმა სამუდამოდ ამიბნიეს თავგზა. მაშინ, ჯერ კიდევ, ძალიან პატარები ვიყავით. ისეთი პატარები, რომ კვლავ ერთად გვაძინებდნენ შუადღით ბაღში... ჰოდა, ერთხელ მძინარემ ვიგრძენი შენი ტურჩების შეხება, რას აკეთებ-მეთქი, გკითხე და არ ვიციო, მიპასუხე... მეკი ვიციოდი, რადგან არაერთხელ მინახავს ჩვენს სახლში ჩუმიად შემოპარული მამაშენი, რომელიც ჩემს გამზრდელს კოცნიდა... ჰო, მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რომ მამაშენი ჩემს გამზრდელს ყვარობდა ჩუმიად...

ეს თუ არა, იქნებ ყვავილებისგან გაკეთებული იკებანები გახსოვდეს მაინც, რომლებზეც ვანთებდით სანთლებს და ნავებივით ვაცურებდით მდინარეში... ან იქნებ ის, როგორ გვიხაროდა ალუბლების აყვავილება და მის თოვალში პეპლებივით ფარფატი? არა? ვაი, როგორი უბედური ვყოფილვარ თურმე... ნუთუ მარტო მე შემოვიჩინახე ასეთი რუდუნებით ნამყო და შენ კი დაივიწყე? არა, არა მჯერავს და შენც ნუ შეეცდები სანინაალმდეგო დამიმტკიცო.

ვერაფრით დავიჯერებ, რომ წლებმა ჩვენი დაცილებაც დაგავიწყა. მაშინ მე შვიდი წლისა ვიყავი, შენ კი ხუთის. დიდხანს იდექი მინის დახურულ კარებთან და საგარეოდ ჩაცმულს მიქნევდი ხელებს. თვალებიდან ცრემლები მოგდიოდა ლაპალუბით და ეზოში გამოსვლას ლამობდი. დედა კი არ გიშვებდა. მაშინ ისევ მევიმარჯვე და უკან გამოვექეცი გამზრდელს. ხელის კვრით შემოვალე კარი და ჩაგეხუტე... მერე ისევ დაგვაცილეს, ჯერ ადრეაო, ამბობდა ძიდა და არც ერთმა ჩვენთაგანმა არ ვიცოდით, რა იყო ადრე... ეზოში გასულთ დედაშენი გამოგვეყვა უკან, ჩემს წინ ჩაიმუხლა, შუბლზე მეამბორა და მითხრა: – მამამისი დედაშენს ყვარობდა, მასაც ეყვარები, ნუ გეშინიაო... მერე, ძალიან გვიან გავიგე მისი ნათქვამის არსი და მთელი ჩემი მომავალი ამ ერთი სიყვარულისთვის დავგეგმე...

მხოლოდ შენი სიამისთვის შევისწავლე ოკიისას სიასმენზე დაკვრა...

მხოლოდ შენთვის შევისწავლე პოზია და წარმოსახვაშიც ყოველი ლამე შენთან კეკლუცობასა და ლაპარაკში გავათენე...

მხოლოდ შენთან საცეკვაოდ დავიღალე მუხლები ათასგვარი ცეკვის შესწავლისას...

მხოლოდ შენთვის მოვიღერე ყელი და ბუღბუღსაც კი ვაჯობე გალობაში...

არც ყვავილები დამიტოვია უყურადღებოდ. იკებანების კეთებაც შენმა სიყვარულმა მაიძულა ყველაზე უკეთ... რადგან შენ ყველაზე საუკეთესო გეიშა გეკუთვნოდა და ის, მე უნდა ვყოფილიყავი აუცილებლად...

და აი, მე ვდგავარ ეხლა შენს წინ ჩაის სახლში სხვა გეიშებთან ერთად და ველოდები ვისი ქალწულობა უნდა იყიდო მიძუაგეს აუქციონზე...

გახსოვს, პატარაობისას რომ გვასწავლიდნენ: „სრულფასოვნებას არა აქვს საზღვარი... ვარდი არ შეიძლება იყოს ძალიან წითელი, ლილია – ძალიან თეთრი და ბუღბუღსაც კი არ ძალუძს იგალობოს ყველაზე უკეთ...“ მაგრამ, მე მინდა, რომ დღეს მაინც ვიყო შეუდარებლად კარგი მოსაუბრე,

უნაკლო მომღერალი, საუკეთესო მოცეკვავე და მოარაკე... რომ წაგიკითხო ყველაზე საუკეთესო იაპონური ლექსები, რომ დავუკრა სიასმენზე და აკორდებად ავილო შენი ყოველი ამოსუნთქვა... ეხ,ნეტა წუთით მაინც ჩაგახედა ჩემს გულში და დაგანახა ჩემი თვალუნვდენელი სამყარო, რომელიც მაინც ასე ძალიან მეცოტავება შენთვის... არ მილაღატო! არ გაგინყრეს ღმერთი და არ აგერიო სხვაში, თორემ ჩემი ხელითვე გავიმზადებ სამსალას და დავლევ. მე დედაჩემზე ძლიერი ვარ... მე არ დავწვები სხვასთან, მე ჩემში ქალი მხოლოდ შენთვის გამოვზარდე, გესმის, მხოლოდ შენთვის...

შენ კი ზიხარ რბილ სავარძელში ჩაფლული და ყვავილების სურნელოვან ჩაის მიირთმევ. იქნებ ჩემს ნიშანს ელოდები? ვიცი, რომ აუცილებლად გიამბობდა დედაშენი ჩემზე. ვიცი, მაგრამ მე არა მსურს საკუთარი თავის გაყიდვა, მე ხომ ღირსეული ქალი ვარ და ამიტომაც ვცდი ჩემს ბედისწერას...

გელოდები...

უკვე მესამე ფინჯანიც დაასრულე და ძლივს ასწიე თავი მაღლა. სუნთქვა შემეკვრა და ისედაც წვრილი თვალეები ლამის სულ დამინვრილდა... მერე არაფერი მახსოვს... როგორც წესი, ბევრი ვისაუბრე და ჩემი ტალანტით აღფთოვანებულთა კომპლიმენტებიც შევიფერე. არც განაფულ სხეულს უღალატია ცეკვისას, აი, სიმღერის დროს კი ამითრთოლდა ცოტათი ხმა, მაგრამ მივხვდი, რომ ამან უფრო მეტად სასურველი გამხადა...

მერე ყველანი ოთახებში გაგვანანილეს... მე ჩემს ოთახში შევედი, რა თქმა უნდა. ავანთე სურნელოვანი სანთლები და დავინყე ჩაის მომზადება. ჩემი იკებანები ისეთი თანაგრძობით მიცქეროდნენ, ვგრძნობდი, რომ ჩემზე მეტად უფროთხოდით სული... ამ ლამისთვის მთელი ცხოვრება ვემზადებოდი. ყოველ ღამე ვწვებოდი შენთან ოცნებაში და დაუფიქრებლად გეძლოდი... ახლა კი რატომღაც შემეშინდა... დავიბენი... ჩემივე გაკეთებული ჩაი მოვსვი და და ცოტათი მოვიკეთე. გამოვრთე შუქი და მხოლოდ სანთლებით აციმციმებულ ოთახს შევეფარე. არ მსურდა, მანამ გამსკდომოდა გული, სანამ შენს ნაცვლად სხვას დავინახავდი... მინდოდა საკუთარი ხელით მომეკლა თავი...

კარებმა გაიჭრიალა და დერეფნიდან შემოსულმა სხივმა წუთით გაანათა ჩემი სახელდახელოდ მოჩითული კიმონოს ზურგი. მერე ისევ დაბნელდა. დაჩოქილმა წამოვიწიე და თვალდახუჭული დავდექი მოსულის წინ. არავინ უწყის, როგორ მეშინოდა თვალეების გახელა... მაგრა სხვა გზა არ მქონდა და გავახილე. ჯერ წელიდან ავაცოლე მზერა და ნელ-ნელა ავედი მკერდამდე... მკერდთან გავჩერდი, ძალა აღარ მეყო და გავიტრუნე. სუნთქვას დავუგდე ყური და თან ჩემს წინ მდგომის სურნელი შევისუნთქე... შემეძლო დამეფიცა, რომ ჩემს წინ შენ იდექი. თავი მაღლა ავწიე და ჩემზე უფრო წვრილ თვალეებში ჩაგხედე. ოდესღაც, შენზე ერთი თავით მაღალი ვიყავი. ახლა კი ზევით მიცქეროდი და მაკვირდებოდი. ალბათ, ისევე, როგორც მე.

ტანში სასიამოდ გამაჟრჟოლა და დავინყე იმის გაგეკეთება, რაც არაერთხელ გამიკეთებია ფიქრებში. ხელები მაღლა ავწიე და ყელთან შეკრული ღილების გახსნა დავინყე, მოგიღეღე ყელი და მცირედად აღინლულ მკერდზე გეამბორე... მერე ყველაფერი თავისთავად მოხდა. ორივეს არაერთხელ გვისწავლია ამ ლამის თითოეული დეტალი, მაგრამ ორივესთვის პირველად ხდებოდა დღეს ყველაფერი და ამიტომაც ვლელავდით. ფრთხილად გაგხადე წელს ზევით და წესისამებრ გავჩერდი. ახლა შენი რიგი იყო და შენც დაინყე... მერე შიშველები ჩავნექით ვარდის ფურცლებით სავსე ცხელ აბაზანაში და მთელი ცხოვრების ნაგროვები ვნება ერთად ამოვაფრქვიეთ... აბაზანის შემდეგ საწოლში გადავინაცვლეთ და გათენებამდე ვისუბრეთ პოეზიაზე...

მერე იყო ერიკაეს ცერემონია. დედაჩემის მსგავსად შემიღებეს წითლად ტუჩები. მაღლა ამინიეს თმა და შემიკრეს წითელი ბაფთით... იმ დღეს მე გეიშა გავხდი. ყველაზე ღირსეული და ძვირად ღირებული გეიშა.

მერე შენ ისევ დაიკარგე ჩემი ცხოვრებიდან. გავიგე საზღვარგარეთ წასულხარ სწავლის დასასრულებლად. ერთი წლის შემდეგ ცნობილ პოლიტიკოსად დაუბრუნდი ქვეყანას. მე არც ერთი დღე

მიმიტოვებისარ. ყველა კლიენტის ნაცვლად შენ წარმოგიდგენდი ხოლმე და ამით მაინც ბედნიერი ველოდებოდი შენს დაბრუნებას...

მერე დაბრუნდი...

საუკეთესო გეიშები თქვენს დასახვედრად აეროპორტში წამოგვიყვანეს. იქედან კი პირდაპირ რესტორანში.

საუკეთესო წვეულება იყო....

ეს ესაა დასრულდა.

მე დღეს შენი გეიშა ვიყავი. სულ რაღაც ერთი საღამო გავატარეთ ჩაის სმასა და ლექსების კითხვაში, მერე ათიოდ წუთი ვუკრავდი სიასმენზე და ყვავილების საგალობელს ვმღეროდი. კონფერენციის შემდეგ კი მცირედ წავიხემსეთ და ერთადერთხელ ვიცეკვეთ...

სულ რაღაც ექვსი საათი და თორმეტი წუთი ვიყავით ერთად...

ახლა მივაბიჯებ შინდისფერ დერეფანში ოქროსფერ ხალიჩაზე რეგისტრაციისკენ, სადაც სრულად უნდა ავლნუსხო დრო, რომელიც შენ მოგიძღვენი, რათა თვის ბოლოს უკლებრივ ყველაფერი ამინაზღაურო ფულით.

რა სისულელეა, როგორ უნდა ავუხსნა იმ გამოჩერჩეტივულ ბუღალტერს, ყოფილ გეიშას, რომ მხოლოდ ექვსი საათი და თორმეტი წუთით ვერ შემოვფარგლავ შენთვის ჩემი ცხოვრებიდან გამოყოფილ დროს...

მივაბიჯებ და ძალიან მშურს იმ სასარეცლე გეიშის, რომელიც წვეულების შემდეგ შენს მკლავებში აღმოჩნდება. ყველაზე ახალგაზრდა და საუკეთესო ავარჩიე შენთვის. შენი შესაფერი...

სამწუხაროა, რომ მე ველარასოდეს დავწვები შენთან, ეს ხომ ჩემი ღირსების საკითხია...

დევისყელი

დევისყელის ტყეში, ამ გამთიან, ყურებამდე გათხუპნილი და კბილებჩაშავებული იჯდა ბაბილო და ბალანწარას იმუჭავდა პირში. სახლიდან უკითხველად გამოტანკუნებული, დილის ცვარ-ნამით ისე გალუმპულიყო რომ სიცვიისგან აზინზრიქებდა. მისი მუუხელთებლობის გამგნებმა კაკამ, ადრიელა შეიტყო ციცაქს არყოფნა და გაჩლაგნული ბილიკით გამეესხრიკა. ერთი ორჯერ ფეხიც უუცურდა და დეეჟღვერთა ძირში, მარა ბალანას მაინც მალე მიაგნო. ჯინქვა-ჯინქვით წამეყვანა სახში და იმნამალა გაღუშტა. თიბილი წყალი გადაავლო ტანზე და ჭინჭებში გამოკვართულს თვალები ამუუკოცნა, გულზე მიიხუტა და იქვე, გამყრობილ მოხუცს შუუწვინა ლოგინში.

ბადიშის დუუჯერლობით შეშინებული დიდნენე გატრუნული ინვა სანოლში და დასხრუკვილ თითებს უჩუმარა იფშენეტდა. ამ ბალნის შემყურეს, მისი განიავქარებული ახალობა ახსენდებოდა და თუ რამე კაი იყო ქვეყანაზე, ყველაფერი მისთინ ემეტებოდა. ყოველ ღამე გვერდით ინვენდა და უყვებოდა გაგონილ თუ მოგონილ ამბებს დევისყელზე... ბაბილოს კი, ზღაპრები კი არ აძინებდა, პირიქით-ბალწურ ტვინს უფუნგავდა, საჩეჩელივით აწინკნიდა ნერვებს და მთელი ღამე მონალეუ-ლივით დახეტილობდა ტყეში, აფრთხოდა ფასკუნჯებს, დგებოდა დალის ნაკვალევში და ბანაკნის ხიდზე ჩამობმულ საქანელაზე ოცნებობდა... ხედავდა დიდნენე რომ, რაც არ უნდა მეეყოლა, არაფერი აშინებდა ციცას. პირიქით – უფრო და უმფო უღვივდებოდა მათი ნახვის სურვილი და გათენებისთანავე, კისრიტეხით გარბოდა დევების გამოქვაბულისა თუ ნამუხლარისკენ.

უფროსებზე გულმოსული ბაბილო დასმუტვილი იჯდა ლოგინში და დასიმსულ თათუნებს იცვამდა... რაფერც ადრე, ახლაც ტყიდან უდროოდ მობრუნებაზე იბუსებოდა და გარეთ ყურებაში იჭიკარტავდა თვალებს. კაკა გვერდით ედგა. ბუჯერივით აბურდულ თმებს უწნავდა და დასაჭირნებ-

ლით უმაგრებდა თავიდუღზე. ბაბილო სიმწრით იწირებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის განინდებოდა დუბში, რომ დევისყელის სიღრმიდან წამოსული ხმები მეესმინა ... ესენი კი გარეთ არ უშვებდნენ. ციცაქს თვალების უცნაური ჭიმჭიმი და ჭირჭვალი აშფოთებდათ. მარა იცოდნენ, რომ ჭიპზე ვერ გამეზამდენ და მის ნებას აყოლილნი, ბუხარში შეძრუმნებულებით გასუსულიყვენ...

გამოხდა ხანი და ასე, ზღაპარ-ზღაპარ, თვალსა და ხელს შუა გამოშხვართალდა ერთხელაც ბაბილო და გოგვებთან ერთად, სიცილ-კისკისით შეერია დევისყელის ტყიფვს. სოფლის მოფუჩნილი ციცაქების შემხედვარე, აჰ, უთავსაფრო გურჯი გოგვები, მართლა დაღვივით თავზარს ცემდენ კაცებს. ამ ადგილების გარდიგარდმო, ნადირს კი არა, ჩიტსაც ვერ დააფრთხოდა ვინმე. არ ვიცი, ქალების შელოცვით იყო თუ მიწის მადლით, მარა ამდენ და ამდენნაირ ყვავილს, რაც აქ იყო, ჰადმენ ვერ ნახავდი ერთად. მართლა სამოთხეს გავდა აქავრობა, სამოთხეს, რომელსაც ჯოჯოხეთის რკალივით გარს ერტყა დევისყელი...

ერთხელაც დიდნენემ დევებზე და ყვავილებზე დეინყო ლაპარაკი. ბაბილო ფიქრებით აყვა... ვითომ იმ დღეს ყვავილების მომცრეობა იყო. თარინანინაათ მოეფინენ გოგვები ტყეს და საქმეს შუუდგენ. ზოგი კალათში აგროვებდა, ზოგიც – კალთაშიც. ყველას მისი ყვავილი ჰქონდა დაგულვილი. მათზე წილი მზის ამოსლისხან იყარეს და ახლა მთავარი იყო, შორიახლო შეფარებულ მათ მპირებლებს კარგად გეერჩინ, ვინ რომელ ყვავილს აგროვებდა...

მიუხედავად იმისა, რომ ცხრა მთას იქით იყო გურჯი ქალების მუუხელთებლობის ამბავი გავარდნილი, მაინც გამოჩნდებოდა ვინმე მოსასაბლი. მართალია, კარგად იცოდნენ თურქებმა, რომ გურჯი გოგვები მარტვად გურჯების იყო, მაინც უჭიმჭიმებდნენ შორიდან თვალებს და ამით იყაჟირებდენ გულს. სწორედ ამიტომ იყო, რომ შენკეპილი თოფებით დადიოდენ ჩვენებური კაცები. ქალები კი ხან ლექსებით, ხანაც-ლოცვებით იგერიებდნენ მათ...

„ანაკლაო, ბანაკლაო,
ნუ მიყურებ, ჩაგაკლაო“

მღეროდა ბაბილო და სიცილით აგრძელებდნენ გოგვები:

„ხომ არ გინდა გიგითხარო,
ჩემი ხელით სასაფლაო?“...

...ყოველთვის, როცა დიდნენე დევებსა და მზეთუნახავებზე ყვებოდა, ბაბილომ იცოდა, ვისაც გულისხმობდა დევებში... ყვავილების მომცრეობაც მათზე გამარჯვების აღსანიშნავად ტარდებოდა. ძველები ამბობდნენ, რომ ამ დღეს, ავი სულები მიწა-მიწა მიძრებიან და რამდენი თვალნაჭირავიც შეერთდება, იმდენი დევი მიწამტვერდებაო... ამიტომაც იყო, რომ ასე გულდასმით აგროვებდნენ ყვავილებს და რიტუალის ჩასატარებლად ბანაკნას ხიდისკენ ეზიდებოდნენ. ყველა მისას ჭუჭკავდა. მათი მპირებლები კი ხიდის გადაღმა იდგნენ და ყოველდამე ნაზმანებ ციცაქებს გაფაცვიცებით აციცქირდებოდნენ.

ბაბილო, სანამ ყველა თავის ნახელსაქმარს მოჭუჭკავდა, პირველი ჩეეკიდა კლდეზე და სუროს გრძელი ტოტი ამოათრია. მას მიყვენ სხვა ციცაქებიც. ყველა უსულით ენიკებოდა და როცხა ხვიარების ამოღებას მორჩენ, ნაპირველა მიყვენ და თავიდან ბოლომდე ყვავილები ჩაანნეს მათ. სანამ გოგვები საქმობდენ, გაღმაში ბიჭებმა კვარის ჩირაღდნები დაანთეს და ხოხვა-ხოხვით ჩევდენ ლელეში. წყალი ზოგან მუხლამდე წდებოდენ, ზოგან – კოჭამდე. ჰოდა, ასე, ყველა ერთად, ხორუმულად ჩამწკრივებული გეემართენ მდინარის აღმა დევების დასაფრთხოთ. გოგვებმაც გამარჯვების ყიჟინა დასცეს. ბიჭებმა შენკეპილი თოფები დაცალეს და როცხა ჩირაღდნები ჩაქრა და ნაფოტებმა ხრჩოლვა დეინყეს, ყველა გოგომ თავისი ყვავილიანი ხვიარა დევისყელის ხიდზე გადმოფინა...

მზეო შემოე ჩემ სანათში
 გულისნორმა დაიხანა,
 ნახე ჩემი მოჭუჭკული
 საქორწილო საისხანა...

ამდერდენ ციცაები და ხელიხელჩაჭიდებული, ცისარტყელასაცით მორკალული დადგნენ ბანაკნას ხიდზე... ფეხებით სუროები ეჭირათ. ერთი სული ქონდენ, აღმიდან როჲს დაბრუნდებოდნენ ბიჭები და ხიდის ქვეშ გაძრებოდნენ. სნორედ მაშინ უნდა გედეყარენ გოგვებს ეს ხვიარები წყალში. ბიჭებს კი ზუსტად უნდა გეეგნენ, რომელი იყო მათი თვალნაჭირავის ნახელავი რომ მეორე დილით, მათი ტანტრაბის მოაჯირზე დეეხვედრებიენ გადაკიდული ხელის თხოვნის საპირწონედ... მანამდე კი საცალფეხო ხიდზე ზეცისკენ ხელაპყრობილნი იდგენ ციცაები და აკანკალებულ მუხლებს ძლივად იმაგრებდნენ. ვაი, თუ ვინმეს აცდენოდა ფეხი და დევსქელის ხახაში ჩავარდნილიყო... გოგვები ერთმანეთს აგულიანებდნენ და ისევ მზის საგალობელს მღეროდნენ:

მზეო, წინ-წინ გიმიძეხი,
 უკუნისგან დიმიცავი
 სიკვდილამდე ჩემი ბუდე
 იყოს შენი სალოცავი.
 მზეო, წინ წინ გიმიძეხი...
 მზეო, წინ წინ გიმიძეხი...

და მაშინ, როიცხა დევისყელიდან მობერილმა ნიავმა კვარის ანახჩოლი ხიდამდე მეფტანა, ბაბილო მიხტა, რომ ბიჭები ახლოს იყვენ. გოგვებს თვალთ ანიშნა რომ მზისკენ აღმართული ხელები დაბლა დეეშვენ და ხიდზე დამჯდარიყვენ.

მზეო ხიდქვეშ მოარულთან
 შენი სხივით გადამფსკვენი,
 დეეებისგან გაასუფთე
 ჩვენი დევისყელის ფსკერი...
 მზეო, მასთან გადამფსკვენი...
 მზეო, მასთან გადამფსკვენი...

ლოცულობდნენ ციცაები და ხიდქვეშ გამომძვრალ ბიჭებს თავზე აყრიდნენ ყვავილებით მონწულ სუროებს...

...და მხოლოდ მაშინ, როცხა გოგვებმა ყვავილების მომცრევის რიტუალი გაასრულეს, კალთები ეკეცეს, სახელოები ეკოტავეს და რაფერც წესი ითხოვდა, ხის ქერეჭებზე დაანთეს საკმეველები, თარინანინათ წანარნარდნენ სახლებში...

დანარჩენი ბიჭების საქმე იყო...

სახლში დაბრუნებულ ბაბილოს შუბლი ოფლისგან ჰქონდა დათქორილი. თმებში ბალახები აბურდოდა და ლუხი ხელები უკანკალებდა. ოდაში, ბუხართან დიდი ქვაბი იდგა ცხელი წყლით. იმფერი დაღლილი იყო, რომ წყლის დასხმაც ეზარებოდა. უცებ თავში რაცხა გუუჭიხდა და გვერდით ოდაში გევდა. გამხმარი ყვავილედეებით სავსე კალათა პირდაპირ ქვაბში გამოაპიქვავა და თავადაც იმწამალაი ქვაბში ჩაცურდა. თბილმა წყალმა გონება დუუბინდა და მალე ჩეეძინა. ქვაბში წყლის გაგრილებამდე დარჩენილა და მაშინ გაღვიძებია, როცხა უსიამოვნო შეგრძნებამ შეაზორზოლა.

თვალეები გაახილა და თავი რატომღაც სახლის ნაცვლად დევისყელში ხევში გაჩხერილად იგრძნო. შორიახლო დევიც დალანდა... კივილი დააპირა, მაგრამ ხავილი აღმოხდა. ვერ მიხდა ჰაფთკენ წესულიყო. ვერც ის გაარკვია, ზეფთკენ რაფერ აბობლებულიყო ხიდზე, რომ სახლისკენ გამოქცეულიყო. სასონარკვეთილმა ლოცვა დეინყო:

დევისყელში გაპეჭილი
იყო შავი დევსქელა,
ღმერთო, შენ რომ შეაშინე,
გულმა მაშინ დეფსვენა.
ღმერთო, შენ რომ შეაშინე,
გულმა მაშინ დეფსვენა...

ტირილის სულზე იყო მისული ბაბილო, როფცხა მისი თვალნაჭირავი დეინახა ხიდზე მისკენ ჩამოკიდული. ვაჟს ხელში ციცაფს ყვავილებფსგან მონწული სუროფს ტოტი ეჭირა. ბაბილო სიხარულით გადგლაფუნდა წყალში და საბელივით ჩამოგდებული სუროფსკენ ეფნინა, მარა ვერაფრით მინვდა. ქვედან კი დევი მობობლავდა და მისთინ გუუგებარ ენაზე რაცხაეფ ბლაოდა. ბაბილოს ცრემლები ახჩობდა და ამ უკუნეთ ლამეში შველას მთვარეს ეხვენებოდა:

მთვარეფ, შენი მზის სხივი ვარ,
ჩავარდნილი დევის ხრამში,
შენ გისხამდი ჭიქით ბადაგს
სანამ ჩემთვის დევისხამდი
გთხოვ, უბეში შიმიფარე,
ან განმინდე დევისყელი,
ავი ძალის ძევალი ვარ
თავი ველარ დევისსენი...

ბაბილომ იგრძნო, რომ მთვარემ თხოვნა შეეყურა და პანაზე გამოანათა. ამ დროს მისმა თვალნაჭირავმაც აანთო კვარი და დევისყელის სიღრმისკენ, წყლის საპირისპიროდ გუუნათა ხევი. ციცამ შიშველ ტანზე ზედან ჩამოგდებული სურო შემეფხვია და კვარის შუქს მიყვა. მირბოდა გამწარებული და ფეხდაფეხ ესხრიკებოდა დევი...

ცოტაც და სტაცებდა ხელს...

ცოტაც და...

ღმერთო, დევის ლუემად ნუ მქნი
მომარიდე მაქციებს,
გინდა, ჩემი სული მოგცე?
სირინოზად მაქციე.

...და, იმწამალაფ, ჩვენი ბაბილო სირინოზად გადაიქცა. გაცოფებულმა დევმა უფრო ხმამალლა დეფწყო ღრიალი და ნაბიჯებს უმატა. მიცურავდა თეფზქალად ქცეული ბაბილო დევსქელის ვინრობებში და წყლის სიმაღლე თანდათან მატულობდა... ვერაფერს მიმხდარიყო ბაბილო. მხოლოდ მისმა თვალნაჭირავმა და დევმა იცოდა წყლის მატების მიზეზი. თურმე დევი ხევში გაჩხერილიყო და აი, პანანკინტელაზე მონანწკარე წყარო ჯერ ლელესავით დიდებოდა და ათორმეტ მეტრამდე აწეული, გავეშებულ მდინარეს ემსგავსებოდა...

ძალიან მალე პირამდე ამეფსო დევისყელი და ჩვენი სირინოზი თვალნაჭირავთან ამოგდო ნაპირზე. გახარებულმა ბიჭმა ხელები მოხვია ბაბილოს, მარა ვერაფრით წამოაყენა. გოგო მიწაზე ეგდო და თევზივით სხარტალებდა. შეშინდა ბიჭი და სხვა რომ ვერაფერი მეფიქრა, ხელში ახუტპვილი წეყვანა სახლში და ისვენ იმ წყლიან ქვაბში ჩაანვინა...

* * *

იმ ღამით, მთელი სოფელი ბაბილოს ეზოში იყო მოჭუჭკული. ზოგი ამბობდა რომ ბალანას ღამე ალი დეეცაო, ზოგმაც – თვალნაკრულიაო და ხან რაათ უხროლებდენ და ხან რაათ... ათასი ამბის მომყოლედი დიდენეა თავბედს იწყევლიდა გამობლაყვებისთინ....

დილით გაღვიძებულ ბაბილოს კი ღამიდან, ნასიზმრალის გარდა, არაფერი ახსოვდა. მარტვაჲ იმაზე წუხდა, რომ მხოლოდ სიზმარში დაქალებულა და გაღვიძებული ისვენ პანაი ციცაჲ იყო... ჰოდა, ამიტომაც, ისვენ უკითხველაჲ გეეტანკუნა ტყეში. ადრინდელზე უფრო შორს მგდარ ბალანწარაზე ევდა და იმაზე დაწყდა გული, რომ ამდენი წვალების მერე, ვინმე არ მუუტაანდა ყვავილებით მოწნულ სუროს ხვიარას ხელის თხოვნის სანაცვლოდ...

არ გადგვპართულდა!

ჩემო ქვეყანავ, არც უძლები შვილი ვყოფილვარ და არც შენგან განგებაჲ მიგდებული. ვიცი და მჯერავს, რომ ციციელდაცემულს, გიგიჭირდა აჭარაზე მოჭიდება და ამიტომაც ადვილაჲ აგაგლიჯეს ჩვენი თავი მკერდიდან. ჰადმენ ხომ არ წევსულვართ? ისვენ იგზე ვიყავთ, ზუსტად იგზე, ჰაცხან მთავრდებოდი თუ იწყებოდი... იმ ალაგზე დაყუყვილს, გულისყური შენს მკერდზე გვქონდა მოდებული და გისმენდით, გისმენდით რომ არ დაგვიწყნოდი, არ დაგვიკარგნოდი და არ გადავქართულებულიყავთ.

იმხანობაჲ, როცხა შენთან დარჩენილები პანაზე მაინც ვითარდებოდნენ, ჩვენ, აჭარლებს, რწმენას გვისხვაფერებდნენ, გვარ-სახელს გვართმევდენ, შენ თავს გვაგინებდენ და მათკენ გვაგულიანებდენ...

ობოლი ბალნის არ იყოს, ჩვენც იმას მივეთბეთ და მივეგულეთ, ვინცხამ დიგვიყვავა და შენგან ათხლეშილ იარებზე სალბუნი დაგვადო... კი მივეთბეთ, მარა იმათი ძუძუჲს ძე გვემუჲვა, ხელების სითბო ვერ ვიჩემეთ, ენასაც ვერ გუუგენით დიდხან...

ჩვენდა ჭირად, რამდენჯერაც გეფჯგიმეთ და გუუძალიანდით, იმდენჯერ ჭიაყელასავით გაგვწყვიტეს და მიწაზე მიგვასრისეს. თუმცა, გამჩენის წყალობით, იმდენი კი ვიყავით, ერთი ხელის მოსმით ვერ ამოგვიძირკვეს... უფლის ნებით, ისევ ამეყვარეთ, ამოვფუფუნდით, ამოვდინდით მიწიდან და შენიდან გულდებულებმა, საზღვრები შეამოვანგრიეთ. მოვეათ, მარა შიშველი ხელებით და გულში ჩეგეკარით, ყიაზე ჩამოგეკიდეთ და კალთაზე ეგენეპეთ დარცხვენილებმა. დარცხვენილებმა მეთქი იმიზა ვამბობ, რომ ბოლომდე არ გვეყო ძალა და იქ, ლელიგალმა, მთიგალმა და გულიგალმა, ყველაზე კაჲ და გულიანი ქართველებით სავსე, ერთი დიდი საქართველო დავტიეთ. ახლა იმათ იმედზეა დარჩენილი ჩვენი ეკლესია-მონასტრები, ციხეები თუ გულდაგულ გადებული ხიდები... ღმერთია მოწმე, არც აქამდე წავხდენილვართ და არც ამის იქითობას წავხდებით, მთავარია, ერთმანეთი არ გადაგვიქართულდეს!



სოფიო დღონძი

დე პრესია

გაზაფხულზე დეკემბერი გიდგას
და ზამთრისფრად შეგვერცხლია თმები,
ფერმკრთალია მტვრიანი მაგიდაც,
ზიხარ, ზიხარ, გცივა ველარ თბები...
დადუმებულ პიანინოს ჩრჩილი
მოსდებია, ისე როგორც კეთრი,
შენს სახეს კი კაეშანი ჩრდილავს
თეთრი, თეთრი შავზე უფრო მკვეთრად
მოსჩანს სახე, რომელზედაც სული
ვერ ჩაუცვამს გაშეშებულ სხეულს,
მხოლოდ კატა გიმზერს გასუსული,
შენ კი ფურცლებს, დამწვარს და დახეულს...
გარეთ თოვს და ისე უხვად ბარდნის,
გეგონება, შენი ფიქრის თავსხმა,
რა რთულია, შემოქმედის ვარდნა
ზეციდან და მერე მისი დახსნა
სიკვდილისგან მიწიერის განცდის,
ტყვეობისგან, სადაც არ არს შვება,
ბედისწერას ახლა თუკი არ სცდი
და არ ძალგის მასში გადაშვება...
ხოდა ახლა ზიხარ ცარიელი,
ცვარიელად, გვამიერად, ხმელად,
ღმერთსაც აღარ ეძახი და ელი,
მოიბეზრე ყველაფერი, ყველა...
გაზაფხულიც თითქოს დაზაფრული
აისვეტა მაგ თვალების თაღთან,
იქნებ დაღლილს მოგერიოს რული

და უფალი ჩამოგიჯდეს თავთან...
 და ეს ძილი, უტკბილესი ძილი,
 გარდასახავს ზამთრის შავ-თეთრ სიზმარს
 და ლექსები უკვე სახეცვლილი,
 აღარ გძულს და მგონი კიდეც გიყვარს?...
 შენ კი ახლა ზიხარ ცარიელი...

ემსპრომტი შვილს!

შენია მაისი, დაისი, აისი,
 შენია ყოველი, რაც ღვთისგან შობილა,
 ბელურა, რომელიც უბეში ჩავისვი
 უმწეო, ცახცახა და დედიშობილა...
 შენს ბაგეს დედის რძის სურნელი საამო
 ასდის და ეღვრება ნიკაპთან ნექტარი,
 შენია ყოველი დილა და საღამო,
 შენ ჩემი სიცოცხლე გახადე ნეტარი.
 შვლის ნუკრს რომ ედრები ნუშისებრ თვალებით,
 ღიმილიც მზის სხივებს ჩამოჰყვა თითქოს და
 „გიშრისთვალება, ნუ გაითვალები“
 მახსოვს, დიდი ბებია იტყოდა...
 შენია, ეს მინა, ეს წყალი, სამყარო
 შენს ხალას ღიმილზე ასე რომ კრთებიან,
 მსურს შენი ზეციდან ღრუბელი გავყარო
 და მერცხლებს მოვუხმო ფარფატაფრთებიანს
 და ბუდე, რომელიც მე შენთვის დავწანი,
 მოვექსოვე, დავლამბე ნაირფერ ქარგებად,
 და იავნანას ჩაგაცვი ჯავშანი
 მაღლით შეგმოსე, რაც არ იკარგება
 ამ ქვეყნის ნარ-ეკალს გაივლი იოლად
 მოვუხმო ლოცვებში ფეხმძიმე მარიამს,
 დავუცდი, ღვთის ძალას ვითარცა იონა
 სერაფიმების მეცხრე ცის არიას...
 ღვთის მაცნევ, გაბრიელ ხარებით მახარე,
 დიდება შენს სახელს, წმინდაო მარიამ
 ბედნიერების არ მწამს სხვა მხარე,
 ო, ავე მარია, ო, ავე მარია...
 შენია მაისი, დაისი, აისი,
 შენია ყოველი, რაც ღვთისგან შობილა,
 ბელურა, რომელიც უბეში ჩავისვი,
 უმწეო, ცახცახა და დედიშობილა.

* * *

დაობლებულა სახლი, ეზო-კარი და ოდა,
 უნაფეხურო თოვლზე ფიფქიც ფრთხილობს და კრთება,
 სიოც არ იძვრის ახლა, უნინ რომ ქარად ჰქროდა,
 მზეც ესვენება სოფლის, თანდათან ნება-ნება...
 საკვამურიდან ლადარს, ლაფავს, ამოსდის სული,
 იქვე, მეზობლის ძალლი ისევ აგრძელებს წკავნკავს,
 მისტირის თავის პატრონს, რომელიც ცხოვრობს ქალაქს
 და მოლოდინით დალლილ მინას ქექავს და კანრავს...
 დაობლებულა სახლი, ეზო, კარი და ოდა,
 ჰაერიც გაჟღენთილა სურნელით მარტოობის,
 ხავსმოდებული სახლი, თითქოს ილიმის ოდნავ
 ვერშესამჩნევი ცრემლით და კაემანით ობლის...
 დაუმეგობრდა სევდა, მაინც მედიდურ კოლხეთს,
 წარბაზიდული უმზერს, მთვლემარე სოფლის შარას,
 იქნებ დაბრუნდეს კაცი,
 იქნებ დაბრუნდეს კაცი,
 იქნებ დაბრუნდეს ჩქარა!...

* * *

იყო წვიმა, ცეცხლის წვიმა, მერე წარღვნა...
 გადავურჩი ამგვარ სიკვდილს, როგორც ნოე,
 ცისარტყელა აკიაფდა მაღლა ცაზე,
 როცა გპოვე, სიყვარულით მოგიპოვე...
 კიდობანი შენი თბილი მკლავებია,
 სულს რომ მითბობს, ნეტარებას მაზიარებს,
 ასე ძლიერ ჯერ არავინ მყვარებია,
 მაგ ამბორით რომ მიშუშებ ძველ იარებს,
 ასე ძლიერ ჯერ არავინ მყვარებია,
 ასე ძლიერ ჯერ არავინ მყვარებია,
 ზოგჯერ გარეთ, ქარიშხალი, ქარებია,
 შენს წინაშე, კვლავ რომ ამეფარებთან,
 ღმერთო ჩემო, ეს რა ურჩი ქარებია?!...
 იყო წვიმა, ცეცხლის წვიმა, მერე წარღვნა,
 გადავურჩი, ამგვარ სიკვდილს როგორც ნოე,
 ცისარტყელა აკიაფდა მაღლა ცაზე,
 როცა გპოვე, სიყვარულით მოგიპოვე...

* * *

მე ვემსგავსები დანაცრულ ბუხარს
 და სამათხოვროდ ხელგანვდილ ყმანვილს,
 ნუთისოფელო, ვტირი და ვწუხვარ,
 რომ სულზე ღილებს მანყვიტავ, მაცლი.
 და თითქოს თავზე მექცევა ზეცა,
 შურისძიებას მიქადის ზევსი,
 გზებს უთავბოლოდ ვკეცავ და ვკეცავ,
 ამოება გამხდარა წესი!..
 თუმცა ოდითგან ყოფილა ასე,
 ეს წესი წესად თანაგვდევს ყოველ
 ჩვენთაგანს ბილნი ვნებებით სავსეს
 და ვემსგავსებით თანდათან ცხოველს.
 გვშია და სტომაქს ვინაყრებთ მხოლოდ,
 სულიერ შიმშილს გაურბის სული,
 მე ვემსგავსები მეზადეს ბოლოს,
 რომელიც ბაღნარს, ვერ რწყავს, ვერ უვლის...
 მე ვემსგავსები დანაცრულ ბუხარს
 და სამათხოვროდ ხელგანვდილ ყმანვილს,
 ნუთისოფელო ვტირი და ვწუხვარ,
 რომ სულზე ღილებს მანყვიტავ, მაცლი...

* * *

ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა,
 შეაკრთობს ხეებს, კვლავ უმიზნო ურჩი ხეტებით,
 სულის ნიმფებმა გამოსტაცეს ბახუსს ფიალა
 და მოაჩვენეს უდაბნოს მზეს ლურჯი ხედები...
 ეს მერამდენედ აურია აურზაურით,
 შრიალ-შრიალით, ზათქა-ზუთქით კედლებს აწყდება,
 აღარ მაკვირვებს, აღარ მტანჯავს დღეს ეს ხმაური,
 რომ არ იდარებს, არც ამაზე გული არ მწყდება...
 აქ, ამ ქაოსში, მე ყინულის ლოდებს ვაგროვებ,
 ვათბობ ჩემს მკლავზე, სისხლის არც თუ მკვეთრი დინებით
 და ვულკანებად ამოვხეთქავ უკვე ნაგროვებს,
 დღეს პოეზიის ცეცხლის წვიმად ჩამოვდინდები...
 ო, ეს ქარები, კვლავ იქროლოს რექვიემებად,
 თუნდ „ტარანტელა“ წაუცეკვოს წყალთა ბილიკებს,
 დღეს მე და ვინჩის „ცრუ ღიმლი“ მეიმედება,

ჩუმი მდინარეც ადიდდა და ლალად ლიკლიკებს...
 ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა,
 მუზაც დამიფრთხო სუსხიანი, ცივი ხელებით
 და ეს ლექსებიც ფანტელეზად ააფრიალა,
 მე კი უმიზნოდ, უგზო-უკვლოდ დავეხეტები...
 ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა...

* * *

დამესიზმრა... მეხვეოდა თოლიების გუნდი
 და ავყევი ზეცისაკენ ფრინველების წყობას,
 ჩემო კარგო, თუ ოდესმე ისევ დამიბრუნდი,
 დავივიწყოთ სამუდამოდ სიძულელი, წყრომა...
 დამესიზმრე... ამ სიზმარში გიპოვე და გაქრი,
 ავედევნე საძებნელად შენკენ ქარებს აშარს,
 ღამით მთვარემ მომანათა ძველისძველი ქრაქი,
 შენი გზისკენ არაფერი, არაფერი არ ჩანს...

* * *

ნამთვრალევი და გაღეშილი წვანან ხეები,
 წვიმა კი დარდით ანაცრემლი ქუხს და აწვიმებს,
 მეხი კი ცაზე, გაოცებით განახევები,
 ჭექა-ქუხილით აფრთხოვს ღალ და ამაყ არწივებს.
 განაცრისფერდა, მოიქუფრა ზეცა ნალველით
 და ყველაფერი დაემსგავსა მიწას სევდიანს,
 დღეს ბულბულების გალობასაც უკვე არ ველი,
 დღეს მარტოსულნი კვლავ ირჩევენ მარტოდ ხეტიალს...
 მალე ნაცარი დაეყრება დანთებულ კოცონს,
 ისევ ფაცი-ფუცს მოჰყვებიან მთებზე ქარები,
 ჩემს სულს კი ღელვა, ჩუმი შფოთი მით უფრო მოსწონს,
 ვიდრე სამყაროს საფლავის ქვას შევეფარები...

* * *

ლექსი მანვალებს, ქარბუქიან ფიქრებს ამიშლის,
 ვიცი, მშფოთვარე ღამეებიც მაფარებს საბანს,
 მზე რომ ამოვა, აიტაცებს დედა თავის შვილს
 და ცისარტყელა გამოკრთება, როცა პირს დაბანს...

დედა, მიშველე! ლექსი უნდა ამოვთქვა, თორემ
 ბობოქრობს სევდა, უშობელი კვდება აზრები,
 მდინარე დგება, ხახას იშრობს და ხდება მდორე
 და ლაბირინთში უგზო-უკვლოდ დავიარები...
 ლექსი მანვალებს, ვულკანებად ამოვა მგონი,
 ვიმშობიარებ ამ ცხრა თვეზე ნამწიფებ ვარამს,
 ვიცი, რომ კვლავაც დამიფარავს მაღალი გონი,
 ლექსის სინმინდე ნაცოდვილარ ცხოვრებას ფარავს...
 ლექსი მანვალებს, მას სიმშვიდეც ამოაქვს შფოთიც,
 ვხედავ ბეთჰოვენს ჩამოანვა თითებზე დაღლა,
 ნიკალასა და გალაკტიონს შეარქვეს ლოთი,
 მათი სტრიქონი სინანულად დამტირის ახლა...
 ლექსმა მომიხმო, ჩამომიჯდა საწოლზე თავად,
 იქნებ ლექსია, ან მე გავხდი ძალიან ავად?!

ბოლბოთის ღამე

ვიდრე განთიადი ღრუბლებში სჭვიოდა
 და სანამ ზეთისხილს დაეტყო ცისკარი,
 იესოს ნალურსმნი ხელები სტკიოდა,
 პილატემ იხილა ზმანება, სიზმარი...

გამეფებუღიყო დუმილი, სევდა,
 სისხლი ემჩნეოდა მიწას განწმენდილს,
 ბრბო კი, უგუნური, ღრმა ძილში თვლემდა,
 იუდა დასტიროდა მის სულს, წარწყმენდილს...

მახსოვს ის ღამე, ის ღამე თეთრი,
 სიცარიელე, სიცივე სულთა,
 იქ, ქვაფენილზე მჯდომარე პეტრე
 მამლის ყვირლზე ასე რომ სწუხდა...

მწუხრი იყო და უკუნი ღამე,
 გაბნეულიყო ქარში „თერთმეტი“,
 ყოველი სიტყვა, ყოველი ჩქამი
 იმ ღამით იყო უკვე ზედმეტი...

დათრგუნულიყო პროკურატორი,
 დაბანილ ხელებს სისხლით იშრობდა,
 დილით რომ იყო, ის ორატორი
 ღამეულ სინდისს ვეღარ ითბობდა...

ვინანე, რადგანაც აღმოვჩნდი ბრბოში
და ჩემშიც ყველას ლალატი ვიცან,
მეც წილი მედო ცილსა და ჭორში,
რომ ამ ბრბოს წესს და კანონებს ვიცავ...

იყო აღრევა, გრძნობათა ლელვა,
ზღვა სინანულის ჩამონვა ბინდი,
შეიძრა მინა, გამოკრთა ელვა,
მხოლოდ გოლგოთა მოსჩანდა მშვიდი...

ვიდრე განთიადი ღრუბლებში სჭვიოდა
და სანამ ზეთისხილს დაეტყო ცისკარი,
იესოს ნალურსმნი ხელები სტკიოდა...
შემინდე, უფალო, – რაც იმ დღეს გითხარი...

* * *

ძალიან მცივა, მაგრამ სუსხი სულ არ მანუხებს,
ჩემში სისავსით იჟლინთება ვეება მთვარე,
მინდა, გავექცე მობეზრებულ ყოფის მარნუხებს,
რომ გამითენდეს ალიონი, მშვიდი, ცისმარე...
ახალშობილის შემეცნებით ვიშვე თავიდან,
შევსვა ბოლომდე სატრფიალო ლექსები თასით,
განახლებული ჩემს სანადელს ფინიშს გავიტან,
რომ დავაფასო ყოფიერში „არ ყოფნის“ ფასი...

იუდას მონოლოგი

ნაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ახლა!
შემჯავრდა ჩემი უმადური მოდგმა და ჯიში!
ვერ ვუძლებ ტკივილს, რაც იმ ღამის სინანულს ახლავს,
ვწყევლი იმ წუთებს, რომ ამ ქვეყნად დაცემით ვიშვი!
მე ვგმობ ჩემს ბაგეს, რადგან უფალს შეჰკადრა კოცნა,
იმავე ბაგემ იცრუა და გაჰყიდა მხსნელი,
რატომ არ გასკდა დედამინა მაშინაც, როცა
ოცდაათ ვერცხლით რომ ავივსე მემრუშე ხელი!
შენდობას ვერა, ვერ შეგკადრებ უფალო, რადგან
ვერც წმინდა ტრაპეზს შევექეცი კრძალვით და კდემით,
არა ვარ ღირსი, წმინდა მინას მე ფეხს რომ ვადგამ,
დავპატარავდი ერთ ღამეში დავბერდი, ვკვდები...

ვიცი, რომ მერე მატიანეც შემრაცხავს მტრად და
 შთამომავლობა გაიხსენებს იუდას კრულვით,
 თურმე რამხელა ბოროტების ჩადენა მნადდა,
 სისასტიკეა, მკერდში მიცემს უგვანო გული...
 წაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ამ წამს,
 ასე რომ გაქრა წმიდა სული, ფარფატა მტრედი,
 ჩემი სიცოცხლე მსურს მივანდო თოქსა და ბანარს,
 სადმე ხეზე მსურს ჩამოვკიდო ჩემივე ბედი...
 წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი...

* * *

ქარმა გაფანტა ფოთოლთა და ყვავილთა გროვა
 და ჩემი ფიქრი გადაღლილი ნისლებში ათევს,
 ვიცი, რომ ბაღში განახლების წუთებიც მოვა,
 მე კი ლოდინი, მოთმინება დღეს ისევ მმართებს...
 შენთან შეხვედრის მოლოდინით გავყურებ ფერდობს,
 ქარში კი მხოლოდ ყვავილების სიმღერა ისმის,
 ვიცი, რომ ამგვარ გამოძახილ ხმებს უნდა ვენდო,
 თუნდ ჰორიზონტზე დამაბნევლად მოსჩანდეს ნისლი...

* * *

რალა მოვუხერხო ზამთრის გულის ფეთქვას,
 თოვლით გადამტვრეულ ტოტებს,
 ბებერ, შემოდარცვულ, შიშველ ატმის ხესთან
 უკვე გაზაფხული გოდებს...
 რალა მოვუხერხო ფესვებს, უკვე გამხმარს,
 მობეზრებულსა და დაღლილს?
 როს ჩუმად იშუშებს ტკივილებს ახლა
 ზამთარგამოვლილი ბალი...

* * *

მიდიხარ, ფეხდაფეხ მიგყვები,
 ლანდივით დაგდევ და მალულად
 ვიჭრები შენს საწოლ ოთახში
 შენს მკლავზე რომ თვალი მივლულო
 შენს სუნთქვას ჩემს სუნთქვად გარდავქმნი,
 ჩემს სხეულს შენს სხეულს მოვაცვამ,

და თითებს შენს ხელზე ჩამოქნილს
შევყურებ ვითარცა ავაზა
სიმშვიდე დაკარგულ თვალებში,
ჩინივით მაკლდება სიმორცხვეც
ჩვენ გვნუსხავს ვნებების თარეშით
მოჯადოებული სიცოცხლე
მოდიხარ, მე ისევ მოგყვები,
მოვდეგ და ვევენები ქარიშხალს,
ვით მნათე, გზამკვლევი მოგვების
არ გტოვებ, შენთან ვარ, მხარიმხარ.

* * *

შემომადნა ზამთრისაგან ნასესხები თოვლი,
დაიგრგვინა გაზაფხულის ნაწამებმა ელვამ,
ახლა მინდა, რომ შევიგრძნო დასაბამი ყოვლის,
ახლა მინდა გადამედოს ტალღებისგან ღელვა...
შემოფრინდეს ჩემს სარკმელში მოლულუნე მტრედი,
ანტიკური საოცრება შევიმეცნო მითად,
არ ვირწმუნო დანერილი ბედისწერა, ბედის
უხმაურო ხმაურისგან რომ ავანყო რითმა...
შემომადნა გაზაფხულის ანაცრემლი თრთვილი,
მომენატრა გარიჟრაჟის სიოს ნაზი თრთოლა,
ამ შეუცნობ სანუთროში შუქ-ჩრდილებით ვივლი,
სანამ ქვეყნად ავბედითი აღსასრული მოვა...

სამართველი

ბაბუა და ბებია,
ეს რამხელა მთებია?!
გაოცებით ვუყურებ,
მწვერვალს თოვლიც სდებია.

ეს ამდენი ჩუხჩუხა
მდინარეც კი დავთვალე,
ბებოც შემომეშველა,
გაიკეთა სათვალე.

ხან მთაში ვარ, ხან ბარში,
ყველაფერი მახარებს.
ლამაზო საქართველოვ,
გულს უნათებ პატარებს.

ცრუპენტელა კოლო

შემპირდა და მომატყუა,
კოლომ, ცრუპენტელამ.
ასე მითხრა, ვიმეგობროთ
ამ ეზოში ყველამ.

მაგრამ თვითონ დაივინყა,
და გატეხა ფიცი,
დამკბინა და სადღაც გაქრა,
სად, არავინ იცის.

კოლოვ, ასე რად დამკბინე
ცხვირზე, ხელზე, ფეხზე?

თუკი ვინმემ გაგაბრაზა,
ჯავრს ნუ იყრი ჩემზე.

ერთხელაც თუ მოკალათდი
ჩემს კულულა თმებზე,
ალარასდროს დაგპატიჟებ,
დაბადების დღეზე.

სიზმარი

დედიკო და მამიკო,
ეს სიზმარი არ იყო,
ლამით ცაში გავფრინდით,
მე, ლუკა და მათიკო.

ვითამაშეთ მთვარეზე,
ვარსკვლავებთან ვიფრინეთ,
და ცის ყველა კუთხეში,
ვიბტუნეთ და ვიციინეთ.

თურმე, ჩვენი ლოგინი,
შეკაზმული რაშია,
დღე მინაზე დავქრივართ,
ლამით – მაღლა ცაშია.

მზეო

ნეტავ ასე მაღლა ცაში,
ვინ დაგკიდა, მზეო?
იქნებ მინდა გეთამაშო,
შენთან მოვიდეო.

მოგიტანო ნაყინი ან
ტკბილი ორცხობილა,
და დავინყოთ ბედნიერად,
ეს მზიანი დილა.

ჩემთან ერთად გაიღვიძე,
ყოველ დილით, მზეო,
ღრუბლებში ნუ იმალები,
გამინათე დღეო.

მეგობრობის ქართი

მელაკუდამ მამლაცინნას,
 გაუგზავნა ბარათი,
 გულით სთხოვა, რომ მათ შორის,
 მორჩეს დავა, კამათი.

„გთხოვ, შემინდო, მაპატიო,
 წარსული ნუ გაბრაზებს,
 აი, ნახე ჩვენს ძმობაზე
 ხალხი შექმნის არაკებს.“

ბევრი კარგი ამბავი ხომ,
 პატივით იწყება?!
 დიდსულოვანს ვიცი შეგნევს,
 წარსულის დავინწყება.

მეგობრობის, პატივების,
 გავაფორმოთ ქარტია,
 დღეს ხომ მიტევების დღეა,
 დღეს თოთხმეტი მარტია.

წვიმის ექსპერტი

დარია თუ ავდარია,
 მაინც მიყვარს თამაში.
 წვიმის დიდი ექსპერტი ვარ,
 დამერწმუნეთ ამაში.

რომ იცოდეთ, ყველა ამინდს,
 აქვს თავისი ადათი,
 ნანვიმარზე ტყიდან მომაქვს,
 სოკოები კალათით.

იქვე ჩიტი ჭყუმპლაობს,
 წყლის პატარა გუბეში,
 მისთვის გადანახული მაქვს,
 მზესუმზირა უბეში.

თუკი დიდი წვიმა მოვა,
 ადიდდება მდინარე,

ნის ფესვები გაიღვიძებს,
წამოწოლილ, მძინარე.

თუ არ იცით ახლა გეტყვით,
დიდება და პატარებს,
თურმე ღრუბელი რომ ბრაზობს,
წვიმას მუცლით ატარებს.

სანუშარი თოვლის ბაბუს

მე თუ სახლში არ ვიქნები,
დედას ასე ვუთხარი,
როცა მოვა თოვლის ბაბუ
თქვენ დაუნთეთ ბუხარი.

გაათბეთ და დააპურეთ,
არ გაუშვათ დაღლილი,
ძალიან გთხოვთ, დამელოდოს
დაუმაღეთ მარხილი.

შემპირდით, რომ გამაღვიძებთ
თუ სიზმრებში ვიქნები.
ბალიშის ქვეშ მეც მაქ მისთვის
ზამთრის თბილი წინდები.

ჩემი ბებო

მე ისეთი ბებია მყავს,
აუხდენელს რომ აგიხდენს.
მუდამ იმის ფიქრში არის,
ყველა ნატვრა რომ ამიხდეს.

როცა მსტუმრობს, თქვენ გგონიათ,
მოსანყენად ვიცლი წამით?
სულ მზად არის მეთამაშოს,
გული გამიხაროს რამით.

დიდ სცენაზე გავაცოცხლეთ
ხან ფლამენკო, ხან ბოლერო,
ვუკრავთ კასტანიეტებზე
თავს მიმშვენებს მე სომბრერო.

ზარმაცი ფისო


ნუ ზარმაცობ, ფისუნია,
 რად ვერ დათმე ძილი,
 თაგვმა ისევ მოიპარა
 ჩვენი ეზოს თხილი.
 არ ინძრევი, კოტრიალობ,
 და ნეზივრობ, ფისო,
 ასე მუდამ ძილისგუდას
 მტრადაც ვინ ჩაგთვლისო?

მხატვარი

გუშინ ძლიერ მოვინდომე,
 და მოვხატე კედლები.
 ნეტავ, ასე რად გაბრაზდნენ?
 ვერ ვგებულობ, ვერ ვხვდები.
 გაგონილა, ყველაფერზე
 მუდამ ჭკუის სწავლება?
 ნუთუ, ფიქრობთ, მართლა მომწონს
 თქვენი ასე წვალება?
 ყველაფერი განა ჩემი
 სიჯიუტის ბრალია?!
 ეს იმიტომ ხდება ხოლმე,
 ჩემთვის რომ არ გცალიათ.

მარიკუნა

მარიკუნა ჩემო გოგო,
 ჩემო ფუცუნცულა.
 იცი გუშინ შენი კატა,
 სახლში არ მოსულა.
 მე და ბებოს მის ლოდინში
 არ გვეძინა ღამით.
 იქნებ შენთან წამოვიდა,
 გულს ვიმშვიდებთ ამით.
 სად ვეძებოთ, სად წავიდა,
 მოვლილი და სუფთა?!
 ასეთ მანანნალა ფისოს
 ტელეფონი უნდა.



ნოდარ გასიდაძე

რბს მოზიგა დაპითაო...

იმ წელს ნაადრევად დაგვიზამთრდა. თოვლ-
მა ჯერ მთებიდან გადმოგვხედა, შემდეგ თანდა-
თანობით დაბლა დაეშვა და, ბოლოს, ჩვენს სო-
ფელშიც ჩამოაღწია.

დილით, თვალი რომ გავახილე, არემარე საო-
ცრად გამოცვლილი მეჩვენა. ხეები თოვლით იყო
შემოსილი. ქარი თოვლის ფანტელებს ფანჯრის
მინაზე აყრიდა. ოთახში საშინლად ციოდა. უკვე
რვის ნახევარი იყო – ჩემი ადგომის დრო. ერთ
საათში სკოლაში უნდა წავსულიყავი. პირველ
გაკვეთილზე საკონტროლო წერა გვექონდა ქარ-
თულ ლიტერატურაში. ვიცოდი, ორიანი არ ამც-
დებოდა და გადავწყვიტე, თავი მომევაადმყოფე-
ბინა. ვიფიქრე, რა სჯობია ასეთ ამინდში თბილ
ლოგინში წოლას, თანაც ორიანს ავიცდენ-მეთქი.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ დაბლი-
დან მამის ხმა მომესმა:

– მამუკა, ბიჭო, დღეს სკოლაში წასვლას არ
აპირებ?

მე ხმა არ გამიცია. ახლა ჩემს წინაშე კვლავ
წამოიჭრა დილემა – წავსულიყავი სკოლაში, თუ
მთელი დღე ლოგინში ვწოლილიყავი.

ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და ოთახში
დედაჩემი შემოვიდა.

– შვილო, სკოლაში არ დაგაგვიანდეს, – მი-
თხრა მან.

– დედა ავად ვარ, სიცხე მაქვს, – ძლივს გასა-
გონად წავილულულუდე.

დედამ შუბლზე ხელი დამადო და წამოიძახა:

– უი, მოგიკვდეს დედაშენი. შეხედე, როგორ
შანთივით გახურებია შუბლი! ყველაფერი მა-
მაშენის ბრალია. გუშინ იმ თოროხაპან წვიმაში
რომ წისქვილში გაგიშვა, გაცივდებოდი, ახა რა.
ახლა რა ვქნა მე? ექიმი მაინც იყოს ახლოს, –
მოთქვამდა დედა.

– დედა მცვივა, – ვთქვი და უცებ ვინანე: „ად-
რე სიცხე მოვიმიზეზე, ახლა კი მცვივა-მეთქი,
ვამბობ“, – გავიფიქრე გუნებაში, მაგრამ როგ-
ორც შემდეგ გავიგე, არ შევმცდარვარ. ზოგჯერ
თურმე კაცს შეიძლება ორმოცი გრადუსი სიცხე
ჰქონდეს, მაგრამ მაინც აციებდეს. შემდეგ დე-
დამ თერმომეტრი მოიტანა და სიცხის გაზომვა
მთხოვა. თერმომეტრის დანახვაზე შიშმა ამიტა-
ნა, ვიფიქრე, ახლა კი ჩავვარდი-მეთქი.

– მაგას სიცხე კი არა, თვალწარული ექნე-
ბა, – დამასვა დიაგნოზი ბებიამ, – როგორ ვერ
მოვიფიქრეთ, გუშინ წისქვილიდან რომ ამოვიდა,
მაშინვე უნდა გვეხრჩოლებინა. – დაასრულა ბე-
ბიამ თავისი სიტყვა და ფლოსტების ფლატუნით
გარეთ გავიდა. მას დედაც მიჰყვა. მე დრო ვიხელ-
თე, საწოლიდან გადმოვძვერი და თერმომეტრი
ელექტროლუმელს მივადე. როცა ვერცხლისწყა-
ლი ორმოც გრადუსამდე ავიდა, იგი ისევ გავირ-
ქე ილიაში და ლოგინში ჩავნექი. ამ დროს ბე-
ბიამ ასტმით ნაკვერჩხალი შემოიტანა და ზედ
ფიჭა დააყარა, რომელსაც ჩვენ ფუჭს ვეძახით.
მე კი მისი წინადადებით საწოლზე წამოვჯექი,
თავზე საბანი გადავიხურე და კვამლში გავეხვიე.

ბოლოს, როცა ფიჭა დაინვა და ბოლვა შეწყდა, ისევ ლოგინში ჩავნექი. – ხომ გიკლო, შვილო? – მკითხა ბებია და პასუხის მოლოდინში დამაშტერდა. მე მას თვალი ავარიდე და ვუთხარი: – არა-მეთქი; თუმცა უმჯობესი იყო, დადებითი პასუხი გამეცა, რადგან, ბებიას ამბავი რომ ვიცოდი, სანამ არ „მომარჩენდა“, არ მომეშვებოდა.

დედაჩემმა თერმომეტს დახედა და მაშინვე სიცხის ნამალს დაავლო ხელი, მაგრამ ბებია არ აცალა:

– ჰაიტი! ჰაიტი! ბალანას ოდნავ თავი წამოსტკივდება და იმწამსვე ნამალს დაავლებთ ხელს. არ გვექონდა მასეთი ნამლები, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ცოცხალი ვართ. აგერ 90 წლის ქალი გავხდი და წამლის გემო არ ვიცი, ახლა კი დაიბადება თუ არა ბალანა, წამლებით ახრჩობთ, – სხაპასხუპით ჩამოალაგა ბებია.

– ეს ბალანა თვალნაცემია, შენ კი მწარე წამლით გინდა მოარჩინო, – შეცვალა თავისი პირველი დიაგნოზი ბებია.

მინდოდა მეთქვა: საიდან იცი, რომ წამალი მწარეა, შენ ხომ იგი არ გაგისინჯავს-მეთქი, მაგრამ დუმილი ვარჩიე, მე ხომ „ავად“ ვიყავი.

ახლა ბებია თავთან მომიჯდა და შელოცვა დამიწყო. თან თავზე ხელს მისვამდა, დროდად-

რო მიბერავდა და ჩიფჩიფებდა: „ვინც ამ ბალანას თვალი აცემა, მის თვალეში ნაცარი, ლახვარი“... – და ბოლოს მიაკერებდა, – „გუუსკდა მისი თვალის კაკალი“, შემდეგ კი მაგრად დაამთქნარებდა – დახეთ როგორ ეკიდება, ნამდვილად თვალნაცემიაო.

ამასობაში მეზობელი ქალებიც მოვიდნენ. ზოგი რას ურჩევდა დედაჩემს და ზოგი რას. ყოველი მათგანი თავის აზრს გამოთქვამდა:

– როგორ დაკარგვია ფერი ბავშვს, – ამბობდა ერთი.

– თვალეები სულ ჩაცვენია, – იმეორებდა მეორე.

– ჩანს, მაგრად გაციებულა, – ბანს აძლევდა მესამე.

ჩემს ავადმყოფობაზე იმდენი ილაპარაკეს, რომ მეც ეჭვი შემეპარა. სარკეში რომ ჩავისხედე, მართლაც ავადმყოფს ვგავდი, თანაც რალაც შემახურა. ახლა ნამდვილად ავად ვიყავი. მთელი დღე არაფერი მიჭამია. საღამოს სიცხემ 39 გრადუსამდე ამიწია. თავბრუ მეხვეოდა და გული მერეოდა. ახლა კი ვნანობდი ჩემს საქციელს, მაგრამ გვიანლა იყო. სწორედ ჩემისთანებზეა ნათქვამი: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ერთხელ, ბავშვობისას

(ნამდვილი ამბავი)

მამაჩემი ნადირობის მოყვარული კაცი იყო. ზაფხულში თევზაობდა, ზამთარში კი ფრინველებზე და კურდღლებზე ნადირობდა. ამიტომ პატარაობიდანვე მეც გამიჩნდა ნადირობის სურვილი. სულ იმაზე ვფიქრობდი, როდის გავიზრდებოდი და მეც დავიწყებდი ნადირობას.

ჩვენი სოფლის დაწყებითი სკოლა რომ დავამთავრე, სწავლა მეზობელ სოფელში არსებულ რვანლიან სკოლაში გავნაგრძე. აქ ზოგიერთი მოსწავლე, და მათ შორის ჩემი თანაკლასელებიც, თოფგადაკიდებული სკოლაშიც კი მოდიოდა – ერთ მხარეს ჩანთა ჰქონდათ გადაკიდებუ-

ლი, მეორე მხარეს კი თოფი. მამაჩემს ვთხოვე, ჩემთვისაც მოეცა ნადირობის უფლება, მაგრამ ნურას უკაცრავად – ჯერ თოფის სიგრძეც არა ხარ და რა დროს შენი ნადირობააო. ვიცოდი, მამაჩემს ვერაფრით დავიყოლიებდი და ყოველდღე თოფს ვეზომებოდი. მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს მამამ ფანჯარა შეაღო ფრთხილად და მითხრა: – აი, ეგერ სუროზე შაშვი ზის და აბა შენ იციო. ვესროლე, მაგრამ ჩიტი უვნებლად გაფრინდა, ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ სროლის დროს მარცხენა თვალის ნაცვ-

ლად მარჯვენას ვხუჭავდი, სწორედ იმ თვალს, რომლითაც სამიზნე ჩიტისთვის უნდა გამესწორებინა. ეს მამაჩემმა შენიშნა და მას შემდეგ ნამდვილ მონადირედ ვიქეცი, მაგრამ მამა ეზოს გარეთ არ მიშვებდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ეზოდან გასვლა არც მჭირდებოდა, რადგან ჩვენი სახლის ირგვლივ სუროიანი ხეები იდგა, რომლებიც ქარისგან იცავდნენ სახლს, ზამთარში კი სუროს შაშვები და ჩხართვები ეტანებოდნენ და მეც დროდადრო ვნადირობდი მათზე.

ახლა სწორედ იმის შესახებ მინდა გიამბოთ, თუ რამ შემაძულა ნადირობა.

ზამთრის ერთ საღამოს ეზოში ვიდექი. ცივი ქარი ქროდა, მაგრამ ზამთარს უკვე ყავლი გაუდიოდა. უცებ რაღაცამ შხუილით ჩამიქროლა ცხვირწინ და საბძლის უკან ქვასავით დაეშვა. მივხვდი, ეს ტყისქათამი იყო. მამაჩემისგან მქონდა გაგონილი, რომ იქ სველ ადგილას ეს ფრინველი ეტანებოდა. მამა შინ არ იყო. თოფს ხელი დავავლე და თავქუდმოგლეჯილი ეზოში გავვარდი. ბებიაჩემმა მომაცხა: – ბიჭო, სა მიგაქვს თოფი, რაიმე მარცხი არ მოგივიდესო. მე მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ფრთხილად საბძელში შევედი და უკანა მხრიდან მეჩხრად აჭედილ ფიცრებს შორის ვიჭვრიტებოდი და ადგილს ვზვერავდი. ერთ ადგილას თოვლი ამომშრალი იყო. სწორედ აქ შევნიშნე ჩემი საკბილო. იგი გაუნძრევლად იჯდა ჩემკენ ზურგით. ბოლოს, როგორც იქნა, შემოტრიალდა და მაშინვე თოფი დავახალე. კვამლში ვერაფერი გავარჩიე, არ ვიცოდი, მოვკალი თუ არა. სწრაფად გამოვვარდი საბძლიდან და ბოსტნისკენ გავიქეცი, სადაც მოკლული ფრინველი მეგულებოდა. ნანადირევი იმავე ადგილას დამხვდა, სადაც იჯდა. სწრაფად დავავლე ხელი და სახლისკენ გავიქეცი. ჩემი და კარებთან იჯდა და დილით მამაჩემის მიერ მოკლულ შაშვს პუტავდა.

– ჰა, გამომართვი, – ვუთხარი თავმომწონედ.

– დააგდე მაქ და მერე გავპუტავ, – მითხრა მან.

მეც ასე მოვიქეცი. იმავე წამს საიდანლაც ჩვენი კუდბომბორა კატა გამოვარდა, დაავლო

პირი ჩემს ნანადირევს და მოკურცხლა. მე ყიყინით გამოვუდექი, მაგრამ კატას რას დავენეოდი, იგი სწრაფად შეხტა სახლის ზემოთ ბორცვზე და, როცა თავი საგულეში დაიგულა, ჩიტის „გაპუტვას“ შეუდგა. ბრაზმორეულმა თოფს ხელი დავავლე და კატა ნიშანში ამოვილე. იგრი-ალო თოფმა და ჩემი ნაფერები კატა, რომელსაც ღამით ლოგინში ვინვენდი, ფრინველთან ერთად ეზოში გადმოვარდა. საბრალოს თვალეები ღია დარჩენოდა და თითქოს მე შემომყურებდა თვალცრემლიანი და მეუბნებოდა: ისეთი რა დაგიშავე, სასიკვდილოდ რომ გამიმეტეო.

მის თვალებს ვერ გავუძელი, ოთახში შევევარდი და თავი ბალიშში ჩავრგე.

ის დღე იყო და თოფიცა და ნადირობაც ჭირივით შემძულდა. ერთი წელი ისე გავიდა, რომ თოფს არ გავკარებოვარ. მაგრამ ცდუნებამ მაინც წამძლია, საკუთარ თავს ვერ მოვერიე.

ჩვენი სახლის გვერდით, ორას მეტრში გვექონდა ერთი პატარა ყანა, რომელსაც მარცხენა მხრიდან ნიფლის ტყე აკრავდა. აქ თითქმის ყველა სახის ნადირი ბინადრობდა. როგორც კი სოფელში თოვლი გაშრებოდა, აპრილის თვიდან, ამ ყანის თესვას ყველაზე ადრე ვინწყებდით.

იმ წელს, როცა მე უკვე მერვე კლასის მოსწავლე ვიყავი, სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანდა. სექტემბრის ერთ საღამოს მამამ თქვა: – ჩვენს ყანაში ჭყინტი უკვე შემოვიდა, მაგრამ რად გინდა, დათვი შეეჩვია და ანადგურებსო. იმ დღიდან დაწყებული იგი თავისი ბერდანკით ხელში, თითქმის მთელი ღამე ელოდა ნადირს, რომ სიცოცხლეს გამოესალმებინა, მაგრამ, მის ჯინაზე, ათი დღე ისე გავიდა, რომ დათვი არ გამოჩენილა.

ერთ დღეს მამაჩემი ბათუმში წავიდა ბაზარზე ხილის გასაყიდად. ვიცოდი, იგი ორი დღე მაინც დარჩებოდა. ამიტომ პირველივე საღამოს თოფს ხელი დავავლე და ეზოში გავედი. ბებია იქვე ეზოს გვიდა. დამინახა თუ არა, მომაცხა: – ბიჭო, სა მიგაქვს თოფი, რაიმე მარცხი არ მოგივიდესო. მე მის სიტყვებს ყური არ ვათხოვე, იქვე სარეცხ მაგიდაზე ხელცული დავინახე, იგიც ქამარში გავირჭე და ყანისკენ გავემართე. უკვე

ბნელდებოდა. მამისგან ვიცოდი, რომ დათვი ტყიდან შემოსულიყო ყანაში. იქვე ყანის ბოლოს მდგარ თხმელის ხეზე ავცოცდი და გაფაციცებით ვუცდიდი დაუბატიებელ სტუმარს. გავიდა დაახლოებით ერთი საათი და დაბლა დაცვენილი წიფლის ხმელი ფოთლების შრიალი მომესმა. ამას მოჰყვა ფიჩხების ლანალუნი. ყურადღება დავძაბე და სიბნელეში დავინახე დიდი ბანჯგვლიანი დათვი. შიშისგან თმები ყალყზე დამიდგა. თოფი მოვიმარჯვე და აკანკალებული ხელებით დავუწყე ლოდინი ნადირის მოახლოებას, მაგრამ მთვარე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული და ბნელოდა. იგი მხოლოდ მთებს ანათებდა და დაბლა არ იყო ჩამოსული. მალე მთვარემ ჩვენამდეც ჩამოაღწია და არემარე გაანათა. დათვი უკვე ჩემგან სულ ახლოს იყო და სიმიანდებს ლანალუნი გაუდიოდა. თოფი მოვიმარჯვე და ვესროლე. კვამლში ვერაფერს ვხედავდი. შემდეგ დავინახე, რომ დათვი ღობეს გადმოახტა და თხმელას, რომელზეც ვიყავი ასული, მაგრად დაეჯახა და შეაზანზარა. შემდეგ ვხედავ, დათვი კაცივით ამოდის ხეზე (მაშინ დათვი თუ ხეზე ადიოდა, არც კი ვიცოდი). ახლა უკვე შიშმა მართლაც ამიტანა. გასაქცევი გზა არსად მქონდა. შიშისგან ისე დავიბენი, რომ თოფში მეორე ტყვიის ჩადება და ხელმეორედ სროლა დამავინწყდა. ამასობაში დათვმა უკვე თითქმის ჩემამდე ამოაღწია. უცებ გამახსენდა, ქამარში გარჭობილი ხელცული და იგი მოვიმარჯვე. როგორც კი ჩემს ახლოს ერთი თათით ჩაეჭიდა თხმელის ტოტს, მე ხელცული თათზე მაგრად დავკარი. დათვი ღრიალით დავარდა ძირს და დაგორდა. თითქმის ორასი მეტრი ასე გორვაგორვით ჩავიდა ლელეში. ცოტა ხნის შემდეგ, როცა დავმშვიდდი, ხიდან ჩამოვედი და სახლისკენ გავიქეცი.

– რა ქენი, ბიჭო, რას ესროლე თოფი, – მითხრა ბებია.

– დათვი დავჭერი-მეთქი.
– მერე, სად არის იგი, – მითხრა მან.
– ლელეში ჩავგორდა და არ ვიცი, როგორ არის დაჭრილი-მეთქი.

მეორე დღეს, სადილობისას, მამა ბათუმიდან ამოვიდა. ბებია და დედა დაჯდომა არ აცალეს და ჩემი გუშინდელი ამბავი მაშინვე ჩაუკაკლეს.

მამაჩემმა მითხრა, კაი გადარჩენილხარ. ამოდენა კაცი გავხდი და დათვი მე არ მომიკლავსო.


მამამ ერთი საათი შეისვენა, ისადილა და მაშინვე წავიდა დაჭრილი დათვის საძებრად. სისხლის კვალმა იგი ლელემდე ჩაიყვანა. აქ დაჭრილს წყალი დაელია, გაღმა მხარეს, ლელის პირას მდგარ წიფელთან ასულიყო და იქვე მის ძირში თქვენი ჭირი წაეღო.

ლელიდანვე მამამ დამიძახა: ხელცული, ჩემი სანადირო დანა და გოდორი ჩამოიტანე და ჩამოდიო.

მამამ დათვი იქვე გაატყავა, ხორცი დაჭრა, გოდორში ჩაალაგა და ზურგზე წამოიკიდა, ნაწილი ხორცისა იქვე დატოვა და წავიდა, მე კი მითხრა: აქ იყავი ხორცი ძალღებმა არ შეჭამონო. მეორე გზაზე მამამ დარჩენილი ხორციც წაიღო და მე ტყავის წაღება მთხოვა. იგი ისე მძიმე იყო, რომ სვენებ-სვენებით ძლივს ავიტანე შინ.

მამამ მეორე დღეს დათვის ხორცი ბათუმში წაიღო, გაყიდა და მასში აღებული ფულით მე და ჩემს დაძმებს ტუფლები ამოგვიტანა, ოჯახისათვის კი სხვადასხვა საჭირო ნივთები შეეძინა.

ჩემი „საგმირო“ საქმე მაშინვე მოედო მთელ სოფელსა და სკოლას. კლასის ხელმძღვანელმა მითხრა: აქამდე კარგად სწავლობდი, ახლა კი ალბათ მთელ დღეებს ნადირობას მოანდომებ და სწავლას უკლებო, მაგრამ მეცხრე კლასში მე სასკოლო ინტერნატში ვცხოვრობდი, სოფლიდან მოშორებით და ნადირობის საშუალება არ მქონდა.



დუიჭი პირანდელი

ქვეპრო

ზეთისხილის მოსავალიც ხვავრიელი მოვიდა. ნისლს კი შეეშალა ხელი ყვავილობისათვის, მაგრამ მაინც დაიხუნძლნენ ხეები წინა წლის დარად, შეიბუთქნენ ნაყოფით.

ლოლო ძირაფას მრავლად ედგა ზეთისხილი კვოტე ა პრიმოსოლეს მამულში და დროულად დაეჭირა თადარიგი: სარდაფში ხუთი ძველი მოჭიქული ჭური რომ მაქვს, წელს დასაწერი ზეთის შესანახად არ მეყოფაო და სანტო სტეფანო დი კამასტრაში, სადაც ჭურებს ამზადებდნენ, მეექვსე, უფრო ტევადი ქვევრი შეუკვეთა წინდანივე: მალალი, მკერდამდის რომ მისწვდენოდა კაცს, გვარიანად მუცლიანი და დიდებული – პირდაპირ იღუმენად რომ დასდგომოდა დანარჩენ ხუთს.

დიდი მიხვედრა რად უნდა – იქაურ მეთუნესაც წაეჩხუბა ამ ქვევრის გამო. მერედა, ვის აღარ წაეკიდებოდა ხოლმე დონ ლოლო ძირაფა?! სულ არაფრის გულისათვის, აი, თუნდ კენჭი რომ ჩამოვარდნოდა ყორეს ან ჩალის ღეროს გამოც, მჭექარედ დასძახებდა, სასწრაფოდ ჯორი შემიკაზმეთ, ქალაქს მივიჩქარი სასამართლოში სარჩელის შესატანადო. ჰოდა, შტამპიანი ქალაღებისა და ადვოკატთა გასამრჯელოს გადამკიდე, ხან ერთისა და ხან მეორის მომჩივანი და ხარჯის მარად ყველას მაგივრად გამლები, ლამის გაღარიბებულიყო კიდეც!

ამბობდნენ, კვირაში ორ-სამჯერ მისი დანახვით დაღლილმა იურისკონსულტანტმა, როგორმე თავიდან რომ მოეშორებინა, ლოცვანისოდენა წიგნაკი აჩუქაო – სამოქალაქო კოდექსი, ანი თავად რომ გადაექეჯა და დამოუკიდებლად მოეძებნა იმ დავათა იურიდიული საფუძველი, რომლებზეც სარჩელის შეტანას აპირებდა.

უწინ ისინი, ვისაც ემდუროდა, გამოჯავრებით, ჯორი შეკაზმეთ, ჯორიო, თუ გასძახებდნენ, ახლა, ცნობარს ჩახედეთ, ცნობარსო, ეუბნებოდნენ.

დონ ლოლოც მყის მიუგებდა:

– აბა, რას ვიზამ! მეხს დაგატეხთ ყველას, მაძაღლებო!

ახალი, ლამაზი ქვევრი, რომელშიც სულ წკარუნა და წკრიალ-წკრიალა ოთხი ონცა გადაეხადა, სარდაფში ადგილის გამონახვამდე დროებით მარანში განათავსეს. ბიჭოს, რა ქვევრი იყო! მსგავსი თვალს არასოდეს ენახა. მაგრამ მაჭრისა და უმზეო-უჭაერო ადგილისათვის სახასიათო მკვეთრი და მწკლარტე სუნით გაჯერებულ, აი, ამ მღვიმეში განთავსებული კი საოცარ სიბრალულს იწვევდა.

ზეთისხილის ბერტყვა ორი დღის დაწყებული იყო და დონ ლოლო მთლად შმაგსა ჰგავდა, რადგან ვეღარ გაეგო, სად ყოფილიყო, რომ არაფერი გამოჰპარვოდა, პირველი ვისთვის მი-

ეხედა – მბერტყავებისათვის თუ მეჯორეთათვის, დატვირთული ჯორებით ცერცვის ახალი მოსავლისათვის საჭირო სასუქი რომ მოეტანათ ფერდობზე გროვა-გროვად დასაყრელად. სულ ცოფებს ყრიდა, მეხს დაგატეხო, ემუქრებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს, თუნდ ერთი ზეთისხილიც, აი, ერთი მარცვალის ზეთისხილიც რომ დამაკლდესო – გეგონება, დაბერტყვამდე სათითაოდ დაეთვალა ხეებზე მარცვლები! – ან თუნდ დაყრილი სასუქის გროვები ერთიმეორის ტოლი რომ არ იყოსო. თეთრი გაცრეცილი ქუდი ეხურა, პერანგის სახელოები იდაყვამდე აეკეცა, მკერდი გაელელა, ოფლი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა სახეავარვარებულს. აქეთ-იქით გარბი-გამორბოდა, თან მგლურ თვალებს აბრიალებდა და ნამდაუნუმ გაფიცებით ისრესდა გაპარსულ ლოყებს, ხეშეში წვერი თითქოს უმაღვე რომ ამონვერვოდა განაპარსზე.

მესამე დღე იწურებოდა... სამ გლესს უკვე დაესრულებინა ზეთისხილის ბერტყვა. მარანში შევიდნენ, თავთავიანთი კიბე და ხალა რომ დაეტოვებინათ სახვალოდ და... ადგილზე შედგნენ, ეს რა დაინახეს! ახალი ლამაზი ქვევრი გატეხილი იყო, თითქოს მუცლის ცალი ვრცელი მხარე ვილაცას ერთიანად მოეტეხოსო.

– ნახე, ნახე!

– ვინ ქნა, კი მარა?

– ბიჭო, ბიჭოოო! არ გინდა ახლა ეს დონ ლოს უთხრა?! არადა სულ ახალთახალი ქვევრი!

ყველაზე მეტად რომელსაც შეეშინდა, იმან, კარები გავიხუროთ, ეს ჩვენ-ჩვენი კიბე და ხალა გარეთ კედელზე მიყუდებული დავტოვოთ და დროზე წავიდეთ აქედანო.

მაგრამ დანარჩენი ორიდან ერთ-ერთმა არ მოუნონა:

– გადაირიეთ? დონ ლოლოსთან ეგრე? მერე მართლა ეგონება, რომ ჩვენ გაუტეხეთ. მოიცათ ერთი წამი!

მარნის წინ გავიდა, ხელები პირთან წრესავით მიიბჯინა და დაიძახა:

– დონ ლოლოო! ეჭვი, დონ ლოლოოო!

აი, დონ ლოლოც! ფერდობის ძირას იდგა, სადაც სასუქს ცლიდნენ. ჩვეულებისამებრ გა-

ფიცებით იქნევდა ხელებს, დროდადრო გაცრეცილ თეთრ ქუდს შეისწორებდა. ხანდახან ისე ძლიერად ჩამოიფხატებდა, მერე კეფიდან თუ შუბლიდან ველარ იძრობდა. დაისის უკანასკნელი ელვარება თანდათან ქრებოდა ცაზე და საამური სიგრილისა და მყუდროების ფონზე, ნელი-ნელ რომ ეშვებოდა სოფლის თავზე საღამოს ჩრდილებით, თვალსა ხვდებოდა ამ მარად გაშმაგებული კაცის ხელების ქნევა.

– დონ ლოლოო! ჰეი, დონ ლოლოოო!

ზემოთ რომ ამოვიდა და გატეხილი ქვევრი ნახა, კინაღამ სულ გადაირია. ჯერ იმ სამს მივარდა; ერთ-ერთს ყელში სწვდა და კედელთან მიაყენა ყვირილით:

– ღეთისმშობლის კალთა გამინყრეს, თუ არ გაზღვევინოთ!

მაგრამ, როცა დანარჩენმა ორმა გლესმა, აღელვებისაგან ფითრი და ელდა რომ გადაჰკვროდათ სახეზე, მტკიცედ ჩაავლო ხელი და გააკავა, ახლა საკუთარი თავისკენ მიმართა მთელი ეს სასტიკი გააფთრება: გაცრეცილი ქუდი ძირს დაანარცხა, ღანვები დაიხოკა, მინაზე ფეხის ცემას მოჰყვა და ისე სანყალობლად აღმუვლდა, როგორც გარდაცვლილ ნათესავს დასტირიან:

– სულ ახალთახალი ქვევრი! ოთხონციანი! ჯერაც უხმარი!

უნდოდა გაეგო, ვინ გაუტეხა. ნუთუ თავისით გატყდებოდა?! ნამდვილად ვილაცამ თუ გამიტეხაო ჯიბრით ან შურით. კი მაგრამ როდის? ანდა როგორ? არავითარი კვალი, რომ ვინმეს ძალით დაემტვრიოს, ქვევრს არ ეტყობოდა. ნუთუ გატეხილი მოიტანა სანარმოდან? არა, გამორიცხულია! ზარივით წკრიალა ხმა ჰქონდა მოტანილზე!

შეატყვეს თუ არა გლესებმა, პირველმა გაგულისებამ ოდნავ გადაუარაო, ნელ-ნელა თხოვნა დაუნყეს, დამშვიდებულყო. ქვევრის გამთელება შესაძლებელია, ცუდად როდია დამტვრეული, ერთი მთლიანი ნაწილი აქვს მოტეხილი. კარგი ხელოსანი ისე შეაკეთებს, ახალს ჰგავდესო. აგერ არ იყო ძი' დიმა ლიკაზი თავის მიერ გამოგონილი სასწაულებრივი ნებოთი, რომლის

დამზადების საიდუმლოსაც საგულდაგულოდ ინახავდა?! ისეთი ნებო ჰქონდა, რომ დაიჭერდა, მერე ჩაქუჩითაც ველარ დააშორებდი შენებებულ ნაწილებს. ჰოდა, ოღონდ დონ ლოლოს ესურვა და, ხვალ დილით, ირიჟრაჟებდა თუ არა, მოვიდოდა ძი' დიმა ლიკაზი და ქვევრიც ხელად წინანდელზე უკეთესი იქნებოდა.

დონ ლოლო ერთხანს უარობდა მათ წინადადებას, ფუჭია, არ ღირს, მაგას აღარაფერი ეშველებაო, მაგრამ ბოლოს კი დაჰყვა რჩევას. მეორე დღეს, სისხამზე, იყივლა თუ არა მამალმა, პრიმოსოლეში მხრებზე ხელსაწყოებით სავსე კალათამოკიდებული ძი' დიმა ლიკაზი გამოცხადდა.

გვერდმრუდი მოხუცი იყო, ასწლოვანი სარკინოზული ზეთისხილის დარად დაგრეხოდა და დაკოჟრებოდა სახსრები. სიტყვას მაჯაგანით თუ ამოსძალავდით მხოლოდ. ამრეზილობასა და მჭმუნვარებას დაებუდა მის უსახურ სხეულში, ან კიდევ უნდობლობასაც, რომ ვერავინ შეძლებდა გაეგო და ჯეროვნად დაეფასებინა მისი, როგორც, მართალია, ჯერ პატენტის არმქონე, მაგრამ მაინც საჩინო გამომგონებლის დამსახურება.

დაე, საქმემან ჩემმან წარმომაჩინოსო, ამბობდა გულში ძი' დიმა ლიკაზი. ჰო, კარგად უნყოდა, ცხრა თვალი და ცხრა ყური უნდა გამოება, ნებოს დამზადების საიდუმლო რომ არ მოეპარათ მისთვის.

დონ ლოლომ ერთხანს იჭვნეულად აათვალიერ-ჩაათვალიერა მოსული.

– მაჩვენეთ, ერთი, ეგ ნებო! – უთხრა „გამარჯობის“ ნაცვლად.

საკუთარი ღირსების გრძნობით სავსე ძი' დიმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

– საქმეში იხილავთ.

– კარგი გამოვა მერე?

ძი' დიმამ კალათი მინაზე დადო. იქიდან წითელი ჩითის გაცრეცილ ცხვირსახოცში შეხვეული რალაც ამოიღო. ნელ-ნელა დაუნყო გახსნა. ყველანი გასუსულიყვნენ და ცნობისნადილით მისჩერებოდნენ. ბოლოს, ზონარით დამაგრებული

ყურებ და ხიდგატეხილი სათვალე რომ გამოჩნდა, ძი' დიმამ ღრმად ამოისუნთქა, დანარჩენებს კი სიცილი წასკდათ. აინუნშიაც არ ჩაუგდია. ჯერ თითები შეინმინდა, მერე სათვალე აიღო, ცხვირზე მოირგო, კალოზე გამოდგმულ ქვევრთან მივიდა და გულისყურით დაუნყო შემოწმება.

– კარგი გამოვა, – თქვა პასუხად.

– მარტო ნებოს მაინც ვერ ვენდობი, მირჩევნია, რკინის საბანდითაც დააკეროთ! – თავისი პირობა წამოაყენა ლოლო ძირაფამ.

– მაშ, კარგად ბრძანდებოდეთ! – ამაყად მიუგო ძი' დიმამ. ნელში გაიმართა და კალათი კვლავ მხრებზე მოიგდო.

დონ ლოლომ მკლავში ხელი სტაცა:

– ააა, მაშ, მიბრძანდებით, არა, თქვენო ყოყლოჩინა უდიდებულესობავ? რას ჰგავს თქვენი საქციელი, კი მარა? რავა იმპერატორივით მდიდგულებით! ცეცხლი რომ წაგიკიდოთ კაცმა, ნატისუსალი არ აგივათ და, უჯიათობის ცხენზე რომ შემსხდარხართ, ხომ არ დაგავინყდათ, რომ ზეთი უნდა ჩავასხა მე მაგ ქვევრში, ზეთი? ზეთი კი ჟონავს! ერთ კილომეტრზე რომაა გატეხილი, ნებო ეყოფა მაგას?! საბანდითაც მინდა დაეკეროს. ნებოც და საბანდიც. აქ მე ვწყევტ, რა გაკეთდეს.

ძი' დიმამ თვალეები მოჭუტა, ტუჩები კუმტად მომუნა და უკმაყოფილოდ გადააქნია თავი. რავა ყველა ერთმანეთს ჰგავდა, კი მაგრამ?! აი, ახლაც უარი უთხრეს იმ სიამოვნებაზე, რომ პირნათლად, მალაპროფესიონალურად, ხელოვნების ნიმუშით შეესრულებინა საკუთარი საქმე და ყველასთვის დაემტკიცებინა თავისი ნებოს ღირსება.

– თუ პირვანდელივით ზარვივით წკრიალა ხმა არ ექნეს ამ ქვევრს... – დაიწყო ნელა.

– არაფრის გაგონება არ მინდა! – უმაღლა გააწყვეტინა დონ ლოლომ, – საბანდი! ფულს გიხდით ნებოსა და საბანდში. რამდენი უნდა მოგართვათ?

– თუ მარტო ნებოთი...

– ვეჟო, ჯიბრზე ხართ, კაცო?! ბიჭოოს! – წამოიყვირა ლოლო ძირაფამ, – გასაგებად ვლა-

პარაკობ? საბანდითაც მინდა დაეკეროს-მეთქი. მაშ, ფასზე გაკეთებულზე მოვრიგდებით. თქვენთან დასაკარგი დრო არა მაქვს.

უთხრა და მამულში მომუშავე გლეხების მისახედად წავიდა.

ბოლმითა და წყენით აღვსილი ძი' დიმა შეუდგა საქმეს. რკინის წვრილი საბანდის გასატარებლად ქვევრსა და მონატებს ნაწილზე სვრეტელათი გაკეთებულ თითოეულ ფორზე ბოლმა და წყენა ემატებოდა. ბურღის რუხრუხს მისი სულ უფრო და უფრო გახშირებული და ხმამალალი ბუზღუნის ერთვოდა. ბრაზისგან სახე გალურჯებოდა, თვალებიდან კი ცეცხლსა ყრიდა. ბურღვას რომ მორჩა, უდიერად ჩააგდო სვრეტელა კალათში. მონატეხი ნაწილი ქვევრს მიადო, შეამოწმა, თანაბარ დონეზე, ერთმანეთის შესატყვისად თუ იყო ფორები. მერე რკინის წვრილი საბანდი საკვანეტათი იმდენ ნაჭრად დაჭრა, რამდენი ნაკერიც უნდა დაედო და დასახმარებლად ზეთისხილის მბერტყავ ერთ-ერთ გლეხს დაუძახა.

– გულს ნუ გაიტეხთ, ძი' დიმა! მედგრად! – უთხრა გლეხმა, მისი ნირწამხდარი სახე რომ დაინახა.

ძი' დიმამ გაბრაზებით მოიღერა ხელი. გახსნა თუნუქის კოლოფი, რომელშიც ნებოს ინახავდა, ოდნავ შეარხია და ასნია ასე რხევა-რხევით მაღლა ცისაკენ, თითქოს უფალს სწირავსო, რაკი ადამიანებს არ ესურვათ ამ ნებოს ღირსების აღიარება. მერე თითით ნელ-ნელა წაუსვა გარშემო ნებო მონატებს ნაწილსა და ნასკდომს. ბრტყელტუჩა და რკინის წვრილი საბანდისაგან წინდანინ გამზადებული ნაჭრები აიღო, ქვევრის ღია მუცელში ჩადგა და გლეხს უთხრა, მონატეხი ნაწილი ისე მოადეჭურს, როგორც მე ვქენი ცოტა ხნის წინო. ვიდრე საბანდით დაკერებას შეუდგებოდა, ქვევრის შიგნიდან გამოსძახა გლეხს:

– გასწიე, აბა! გასწიე, რაც ძალი და ღონე გაქვს, მოაძრე, აბა, მონატეხი! ჰა, მაშ, აღარა სცილდება, არა? ჰოდა, შეურცხვეს ნამუსი, ვისაც ამ ნებოსი არა სჯერა! აბა, ერთი, დაჰკარი! ჰაა,

წკრიალებს თუ არა ზარივით, ააა? თან შიგნითა ვარ და მაინც როგორა წკრიალებს, ბიჭო-ბიჭო-ოო! წადი ახლა და უთხარი შენს ბატონს!

– ეჰ, ვინც ზევითაა, ის წყვეტს, ძი' დიმა, – ამოიხვნეშა გლეხმა, – ვინც ქვევითაა კიდევ, სულ იჩაგრება რალა. დააკერეთ საბანდით, დააკერეთ!

ძი' დიმაც შეუდგა დაკერებას. რკინის წვრილი საბანდის თითოეულ ნაჭერს ორ-ორ გვერდიგვერდ ფორში ატარებდა, ერთს – ნაბზარის აქეთ, მეორეს – ნაბზარის იქით, მერე კი ბრტყელტუჩათი ბოლოებს უძახავდა. მთელი ერთი საათი მოანდომა საბანდით დაკერებას. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ქვევრის შიგნით მყოფს. მუშაობდა და თან ბედის სამდურავს ამბობდა. გლეხკაცი კი იდგა იქვე ქვევრთან და თითო-ოროლა სანუგეშო სიტყვას ეტყოდა ხოლმე გარედან.

– აბა, ერთი, დამეხმარე, გამოვიდე! – უთხრა ბოლოს გლეხს ძი' დიმამ.

მაგრამ ჭური რამდენადაც განიერი იყო, იმდენად ვიწრო ყელი ჰქონდა. ეს კი ველარ შეემჩნია ცხელ გულზე ძი' დიმას. ჰოდა, ბევრს კი ცდილობდა, მაგრამ ველარ გამოდიოდა გარეთ. გლეხი კიდევ იდგა არხეინად და, ნაცვლად იმისა, დახმარებოდა, იბჟირებოდა სიცილისაგან. დატყვევებულყოფი, დატუსაღებულყოფი საკუთარი ხელით გამთელებულ ქვევრში ძი' დიმა და, სხვა რა გზა იყო, მის გამოსაყვანად ახლა ქვევრს თულა გატეხავდნენ... ხელმეორედ და საბოლოოდ.

სიცილ-ხარხარსა და შეძახილზე დონ ლოლოც მოვიდა. პირგამეხებული ვეფხვივით ბრდღვინავდა ქვევრში გამომწყვდეული ძი' დიმა.

– გამომიშვით! – გაჰყვიროდა, – გამოსვლა მინდა-მეთქი, გეყურებათ? ახლავე! დამეხმარეთ, კაცო!

სახტად დარჩა დონ ლოლო, თვალებს ვერ უჯერებდა.

– რანაირად, კი მაგრამ?! შიგნით როგორ დარჩა?! საკუთარი ხელით გამომწყვდია კაცო, თავი?!
 – რანაირად, კი მაგრამ?! შიგნით როგორ დარჩა?! საკუთარი ხელით გამომწყვდია კაცო, თავი?!

მიუახლოვდა ქვევრს და მოხუცს ჩასძახა:

– დამეხმარეთო? მერედა რანაირად დაგეხმაროთ? სიბერემ სულ მთლად გამოგაჩერჩეტათ? შიგნით როგორ ჩარჩით, კი მაგრამ? წინდანინ არ უნდა გაგეთვალისწინებინათ? აბა, სცადეთ! ცალი ხელი ამოყავით ჯერ... ემაგრე! ახლა თავი... ჰოოო... მაგრე არა, ნელა, ნელა! დაბლა დანიეთ... მოიცათ! მაგრე არა! დაბლა, დაბლა... მაინც როგორ ჩარჩით შიგნით, ბიჭოს?! ახლა ქვევრს რა ვუყო? მოიცათ, დამშვიდდით, დამშვიდდით სუყველა! – გარშემო ყველას ისე დაუნყო დამშვიდება, გეგონებოდათ, თავად კი არა, მართლაც ისინი ყოფილიყვნენ დასაწყნარებელი. – გასკდა თავი! დამშვიდდით ყველანი! ესეც ახალი სადავო საქმე!.. ჯორი მომგვარეთ, ჯორი!

მოკაკული თითებით ქვევრზე დააკაკუნა. მართლაც რომ ზარივით წკრიალა ხმა გამოსცა ჭურმა.

– იფ, იფ, გენაცვალე! როგორ წკრიალებს ახალივით!.. აქ დამელოდეთ! – ჩასძახა ტუსალს, – შენ კი წადი, ჯორი შემიკაზმე! – მიმართა გლეხს, თან შუბლი მოიქეჯა თითებით და თავისთვისლა წაიბუტბუტა: „ეს რას გადავეყარე, კაცო! ქვევრია ახლა ესა?! ქვევრი კი არა, ხათაბალაა, რალა! გაჩერდით! გაჩერდით-მეთქი!“ და ჭურს მივარდა შესამაგრებლად, თორემ გაცეცხლებული ძი' დიმა მახეში გაბმული ნადირივით ფართხალებდა შიგნით და არყევდა.

– ასეთი საქმე ჯერ არ მახსოვს, მეგობარო. ადვოკატმა უნდა გადაწყვიტოს. მარტო ვერ მივიღებ გადაწყვეტილებას. ჯორი მომგვარეთ სასწრაფოდ, ჯორი! წავალ და მალევე დავბრუნდები, დამელოდეთ! თქვენსავე სასიკეთოდ ვამბობ... მანამდე კი მშვიდად იყავით, წყნარად! მე ჩემის მხრივ მივხედავ საქმეს. თუმცა მანამ, სანამ ჩემს უფლებებს დავიცავ, ჯერ საკუთარ მოვალეობასაც აღვასრულებ. ინებეთ: გასამრჯელოს გიხდით, ერთი დღის გასამრჯელოს, ხუთ ლირას. საკმარისია?

– არ მინდა, კაცო, არაფერი! – გამოსძახა ძი' დიმამ, – ოღონდ აქედან გამოვიდე და მეტი არაფერი მინდა.

– გამოხვალთ, გამოხვალთ. მაგრამ მანამდე სამუშაოს აგინაზღაურებთ. ინებეთ ხუთი ლირა.

უილეთის ჯიბიდან ხუთი ლირა ამოიღო და ქვევრში ჩაუგდო ძი' დიმას.

მერე კი, როგორც ყურადღებიან მასპინძელს შეეფერება, ჰკითხა:

– ნასაუზმევი ბრძანდებით? საჭმელი მართვით ახლავე! არ გინდათ? თქვენი ნებაა, თუნდ ძალლებს გადაუგდეთ! მთავარია, მე ჩემი მოვალეობა მოვიხადო.

გლეხებს დაავალა, საჭმელი მიეცათ ძი' დიმასთვის. მერე ჯორზე შეჯდა და გააქვექვეჯა ქალაქისაკენ. ვინც კი ხედავდა, ეგონა, საგიჟეთში მიდიოდა დასარჩენად, ისე გაშმაგებითა და ახირებულად იქნევა ხელებს.

საბედნიეროდ, ადვოკატის მისაღებში დიდხანს ლოდინი არ მოუხდა, თუმცა კარგა ხანს მოცდა მოუწია, ვიდრე ადვოკატი მონათხრობის მოსმენის შემდეგ სიცილისაგან ამოისუნთქავდა. მისმა სიცილმა გააღიზიანა დონ ლოლო:

– სასაცილოს რას ხედავთ, უკაცრავად? თქვენ რა გენაღვლებათ, ბატონო, თქვენი ხომ არაფერი დაშავებულა, ჩემი ქვევრია.

ადვოკატი ისევ ხითხითებდა და უნდოდა, დონ ლოლოს ერთხელაც მოეყოლა მომხდარი, რომ ცოტა კიდევ ეხარხარა გულიანად. „მაშ, ჩარჩა, არა? თავისი ხელით გამოემწყვდა, ხომ? და თქვენ, დონ ლოლო, რას ითხოვთ მისგან? რომ ჭუ... ჭურ... ჭურში იჯდეს... ჰა, ჰა, ჰააა... ჰო, ჰო, ჰო... რომ იჯდეს ასე ჭურში, ოღონდ თქვენ ქვევრი არ გატეხოთ, არა?“

– უნდა შეველიო ქვევრს? – ჰკითხა მუჭებშეკრულმა ლოლო ძირაფამ, – ზარალიც მე ვნახო და დამცირებაც მე მხვდეს?

– არა, თუ იცით, ერთი, რა ჰქვია ამას? – ჰკითხა ბოლოს ადვოკატმა, – ამას ეწოდება პიროვნებისათვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვა!

– თავისუფლების შეზღუდვა? მერედა, ვინ შეუზღუდა? – წამოიძახა ლოლო ძირაფამ, – თავის თავს თვითონ შეუზღუდა თავისუფლება! ჩემი რა ბრალია?!

ადვოკატმა აუხსნა, რომ ორ შემთხვევასთან ჰქონდათ საქმე. ერთი მხრივ, დონ ლოლოს დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული, რათა პასუხისმგებლობა არ დაკისრებოდა პიროვნებისათვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვაზე. მეორე მხრივ, ხელოსანს უნდა აენაზღაურებინა ის ზარალი, რაც მის გამოუცდელობასა თუ დაუდევრობას გამოეწვია.

– უჰ! – შვებით ამოისუნთქა ლოლო ძირაფამ, – ანუ ქვევრის საფასური უნდა გადამიხადოს!

– კი, ოღონდ არა ახალი ქვევრის ფასი, – აღნიშნა ადვოკატმა.

– რატომ, კი მაგრამ?

– ო, ღმერთო ჩემო, იმიტომ რომ გატეხილი იყო!

– გატეხილი? არა, ბატონო. ახლა მთელია და მთელზე უკეთესიც, თავადვე ამბობს. ახლა ეგ რომ დავამტვრიო, ველარ გავამთელე. ხომ დავკარგავ ქვევრს და ეგ არის, ბატონო!

ადვოკატმა დაარწმუნა, რომ ამ გარემოებას გაითვალისწინებდა და იმ ფასს გადაახდევინებდა ხელოსანს, რაც ახლანდელი მდგომარეობით ღირდა ჭური.

– მართლა, – ურჩია ბოლოს, – სანამ გატეხდეთ, ჯერ თავად მას შეაფასებინეთ ქვევრი.

– დიდი მადლობა! კარგად ბრძანდებოდეთ! – მიუგო დონ ლოლომ და ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა ადვოკატის კაბინეტიდან.

სალამოს პირს შინ მობრუნებულს ქვევრის გარშემო მომხიარულენი დახვდნენ გლეხები. სახლის მოდარაჯე ძაღლიც შეერთებოდა მათ მხიარულებას და სულ ხტუნვა-ხტუნვითა და ყეფით გამოხატავდა სიხარულს. ძი' დიმასაც გულს მოფონებოდა, დამშვიდებულიყო, და განა მარტო დამშვიდებულიყო, თითქოს გემოც კი გაეგო თავს გადახდენილი უცნაურობისათვის და გულდანყვეტილთათვის ჩვეული ოდნავ დანებბანარევი სიცლით იცინოდა ამ ამბავზე.

ლოლო ძირაფამ გასწი-გამოსწია ყველა, წინ გადაიხარა და ქვევრში ჩაიხედა:

– ოჰო! კარგად ხარ მანდ?

– იცოცხლეთ, გადასარევად! სუფთა ჰაერზე, – უპასუხა ძი' დიმამ, – შინ ყოფნას აქ მირჩევნია.

– სასიამოვნოა. რა უნდა გითხრა: ოთხი ონცა დამიჯდა ეს ქვევრი. რას იტყვი, ახლა რა იქნება ამის ფასი?

– ჩემიანად თუ უჩემოდ? – კითხვითვე ამოსძახა ძი' დიმამ.

სოფლელებს სიცილი წასკდათ.

– სიჩუმე! – იყვირა ლოლო ძირაფამ, – ორიდან ერთი: ეგ შენი ნებო ან მართლა ანებებს ან ვერაფერსაც ვერ ანებებს და მატყუარა ხარ. თუ მართლა ანებებს, ეს ქვევრი ახლანდელ მდგომარეობაში გარკვეული თანხა უნდა ღირდეს. რა დაჯდება ეს ქვევრი ახლა? შეაფასე შენ თვითონ!

ცოტა ხანს ჩაფიქრდა ძი' დიმა და მერე მიუგო:

– გეტყვით: ჩემთვის იმის ნება რომ მოგეცათ, რომ მარტო ნებოთი დამენებებინა, როგორც მე მსურდა, ჯერ ერთი, აქ არ ვიჯდებოდი და ქვევრის ფასიც დაახლოებით იგივე იქნებოდა, რაც სულ ახალი ღირდა. ახლა კიდევ, ამ საბანდით რომაა დაკერებული, მაგას შიგნიდან თუ გავუკეთებდი მარტო და ან რა ლამაზი ეგაა ან ფასიც განა რა უნდა ჰქონდეს?! რაც დაჯდა, იმის, ასე, მესამედი თუ ეღირება ახლა.

– მესამედი? – ჩაეკითხა ლოლო ძირაფამ, – ერთი მთელი ოცდაცამეტი ონცა?

– ან ნაკლებიც, მეტი – არა.

– კი, ბატონო, – უთხრა დონ ლოლომ, – იყოს, როგორც ამბობ, ერთი მთელი ოცდაცამეტი ონცა გადამიხადე!

– ბატონო? – ვითომ ვერ გაიგონა ძი' დიმამ.

– გავტეხ ქვევრს, რომ გამოხვიდე, – უპასუხა დონ ლოლომ, – შენ კი, როგორც ადვოკატი ამბობს, იმდენს გადამიხდი, რამდენადაც შეაფასე, ერთ მთელ ოცდაცამეტი ონცას.

– მე გადაგიხადოთ? – ჩაიცინა ძი' დიმამ, – ხუმრობთ, არა, ბატონო ჩემო?! ვიჯდები აქ, სანამ არ გავახსენდები მიქელგაბრიელს.

თქვა და ძველი, ფერგადასული პატარა გლარჯის მილი ამოაძვრინა ჯიბიდან, მოუკიდა და გააბოლა, ქვევრის ყელიდან უშვებდა კვამლს.

განყრა დონ ლოლო, ბოღმა მოანვა. ძი' დიმას რომ ჭურიდან გამოსვლა აღარ ნდომებოდა, ეს

კი არც მას გაეთვალისწინებინა და არც ადვოკატს. ახლა რა ექნა, როგორ გადაენწყვიტა საქმე? ერთი პირობა, კინაღამ კვლავ შესძახა, ჯორი მომგვარეთ, ჯორიო, მაგრამ გადაიფიქრა, შებინდდა, გვიანიყო ანი.

– აჰა, მაშ, ეგრე, – გამოსცრა, – ჩემს ქვევრში, გინდა, დასახლდე, ხომ? აგერ, ყველანი მონმე ხართ, მე მზად ვარ, გავტეხო ჭური, მაგრამ თვითონ არ უნდა გამოსვლა, იმიტომ რომ არ ამინაზლაუროს ქვევრის საფასური. რაკი ეგრეა და მანდ ყოფნა ურჩევნია, ნავალ ხვალ, ვუჩივლებ უნებართვო ბინადრობისთვის და იმის გამო, რომ ჭურის გამოყენების საშუალებას არ მაძლევს.

ძი' დიამა ჯერ გლარჯის კვამლი გამოუშვა პირიდან, მერე მშვიდად მიუგო პასუხად:

– არა, ბატონო. თქვენთვის ხელის შეშლა არაფერში არა მსურს. განა მე მიხარია აქ ჯდომა? გამომიშვით და ნავალ სიამოვნებით. მაგრამ ფულის გადახდა... ვერას დიდებით, ბატონო ჩემო, გამორიცხულია.

ბოღმა ისე მოეგვინა ყელში დონ ლოლოს, ქვევრისთვის ნიხლის კვრა დააპირა გაცეცხლებულმა, მაგრამ შეიკავა თავი. ორივე ხელით მოეხვია ჭურს, ჩაეხუტა, თრთოდა და ოდნავ შეარხია ქვევრიც.

– ხედავთ, რა არაჩვეულებრივი ნებოა?! – გამოსძახა ძი' დიამა.

– ციხეში ხარ გამოსამწყვდევი! – ხმას აუწია ლოლო ძირაფამ, – ვინ გააფუჭა საქმე, მე თუ შენ? შენს გამო მე უნდა ვიზარალო? გაგძვრეს

მანდ სული შიმშილით! მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს!

უთხრა და გასცილდა იქაურობას. დილით გადახდილი ხუთი ლირა არც გახსენებია. ამ ხუთი ლირით ძი' დიამა იმ საღამოს გლეხებთან ერთად მოლხენა გადანიყვიტა, რაკი მომხდარის გამო სოფლელებსაც შეჰგვიანებოდათ შინ წასვლა და ღამის გასათევად დონ ლოლოს მამულში, ღია ცის ქვეშ, კალოზე რჩებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იქვე სამიკიტნოში წავიდა ცოტა სასმელსაჭმლის საყიდლად. მათდა ბედად ბრდღვიალა მთვარე ამოსულიყო ცაზე და დღესავით ანათებდა არე-მიდამოს.

გვარიანი ღამე იყო, ჩაძინებული დონ ლოლო ყურისნამღებმა ჟრიამულმა და ჟივილ-ხივილმა რომ გამოაღვიძა. ოდის აივნიდან გადმოიხედა და რას ხედავს: მთვარით განათებულ კალოზე ლხინი გაუმართავთ ჭინკებს – შეღვინებულან სოფლელები, ხელი ხელში გაუყრიათ ერთერთისათვის და ცეკვავენ ქვევრის გარშემო; ძი' დიამა კი მღერის ჭურიდან ბოლო ხმაზე.

მეტად ველარ გაუძლო გულმა დონ ლოლოს. გაშმაგებული ხარავით დაეშვა, გამოექანა და – შეკავებაც ვერავინ მოასწრო მისი – ჰკრა ხელი ქვევრს, დააგორა დაბლა ფერდობზე. წავიდა ქვევრი თავქვე, აუტყდათ სიცილ-ხარხარი შეღვინებულ გლეხებს... ფერდობზე ერთ-ერთ ზეთისხილს დაეჯახა ჭური და იქცა ნამსხვრევებად.

აჯობა ძი' დიამა.



ტარიელ ფუტკარაძე

ილიას „განდეგილის“ ზეპირი და ქვეზეპირი

...ამპარტავანი, საწყალობელი, უიდეო, უპიროვნო, ბრმა ფანატიკოსი, ეგოისტი, ბოროტი, უსაქმო მლოცველი, ლაჩარი, თვითმკვლეელი, დაცემული, დამარცხებული, დაღუპული, არაქრისტიანი¹... კრიტიკოსთა უმრავლესობა დღემდე ამ ტერმინებით „ამკობს“ ბეთლემელ მწიროს, არადა, ჩემი აზრით, თავად ავტორი – წმინდა ილია მართალი – ბეთლემელ მწიროს ღვთის კაცად ხატავს (რომელიც რწმენისათვის მოკვდა!) და შთამბეჭდავად აღწერს XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში **ზნეობრივ დაღმასვლას**; წმინდა ბერის ფონზე პოეტი თანამედროვეთ (თუ მომავალ თაობებს) სთხოვს, ნუთისოფელში ხორციელი ვნებების დათრგუნვასა და რწმენის სიმყარეს, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით გადარჩება ქართველი ერი.

ვფიქრობ, ილიას უკანასკნელი პოემა სწორედ იმიტომაა გამორჩეული ქმნილება, რომ აქ ოსტატურადაა გადაჭრილი ადამიანში (ერთ პერსონაჟში) სულიერი და ხორციელი საწყისების დაპირისპირების მარადიული პრობლემა; კერძოდ, **წმინდა ილია მართალმა „განდეგილში“ განიხილა სამი ცნობილი თეზა:**

I. ხალხის რწმენის დაკნინების გამო, მოცემულ სახელმწიფოს განადგურების საფრთხე ემუქრება. ილია ჭავჭავაძის აზრით, მლოცველებისგან დაცარიელებული ბეთლემი საქართველოა;

II. მხოლოდ მაღალზნეობრივ ადამიანს შეუძლია, ამაღლდეს ხორციელ ვნებებზე. წმინდა ილია მართლის განდეგილი წმინდა ანტონ დიდის (და სხვა წმინდანთა) სულიერი მემკვიდრეა, შესაბამისად, ამქვეყნიური ზნეობის სახე-სიმბოლოა;

III. ადამიანში სულიერი და ხორციელი საწყისების მარადიული ჭიდილია; ცოცხალ ადამიანს არ ძალუხს, სრულად უარყოს თავისი ხორციელი საწყისი.

ავტორის ტექსტის საფუძველზე განვიხილოთ თითოეული წახნაგი:

I თეზა: ზნეობადაკნინებული ერი დიდი საფრთხის წინაშე დგება.

პოემის შესავალისა და დასკვნითი ნაწილის შეპირისპირებით ცხადლივ ჩანს „განდეგილის“ დედაზრი (მთავარი მიზანი): საქართველოში ზნეობრივი კრიზისია; ზნეობადაკნინებული ერი კი დიდი საფრთხის ქვეშაა:

¹ მაგ., გ. ჯიბლაძე წერს: „განდეგილობა ეგოიზმს ემყარება და ბოროტებას განასახიერებს... განდეგილმა ბუნება ვერ გააუქმა, ხოლო ბუნებამ თვით განდეგილი მოსპო“ (მსჯელობისა და ლიტერატურის მიმოხილვისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, გამარჯვება გლოვის ღელეში, თბ., 2013).

შესავალი:

„აქა ყოფილა უნინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმინდა-წმინდათა“.

დასკვნა:

„...და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების...
მუნ შეხვენილი ნადირი ღმუის“.

ილიას მიერ დახატული ბეთლემელი მწირი – ზნეობრივი სისპეტაკის სიმბოლო – რწმენისათვის კვდება. ზნეობრივი გმირის გარდაცვალების შემდეგ მის სამყოფში ნადირი იბუდება; ამ ფონით ავტორი გვეუბნება:

ქართველი ერის შვილები თუკი ქვეყნისათვის მლოცველნი არ იქნებიან, საქართველოს კატასტროფა მოევლინება – საქართველოში მხეცი დაიბუდება.

წმინდა ილია მართალი თავის წერილებშიც ავითარებდა ამ თვალსაზრისს; მაგ., 1887 წლის 16 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიამი: „**ზნეობრივი სინმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის**“ ის წერს:

„თუ რენონის მიერ ჩამოთვლილი სათნოებანი დედაკაცობისა, თუ მამაკაცობისა, აქა-იქ საზოგადოებაში დარჩენილნი, არ არიან თავმდებნი ბევრ წილად მიხრწნილის ერის გამოკეთებისა, გამობრუნებისა (ხაზი ყველგან ჩემია – ტ. ფ.), ამ სათნოებათა არქონა კი უსათუო ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგიდან ასაგველად გადადებულია... ამიტომ ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამალგება და განმენდა. ამაზედ უნდა მოიქცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა...“¹.

უშუალოდ „განდეგილთან“ კავშირში ილიას მსგავსი აზრი გამოუთქვამს თავის ბიოგრაფთან – გრ. ყიფშიძესთან – პირად საუბარში; კერძოდ, გრ. ყიფშიძის ხელნაწერში ვკითხულობთ: „...ილიას აზრი ეს იყო და ეს გვიანდერძა თავისი განდეგილით: გიყვარდეთ თქვენც თქვენი უმაღლესი სარწმენი, როგორც უყვარდა განდეგილს ღმერთი და სინმინდე სულისა და თუ რამე დააშავეთ რამ იმ სარწმენის წინაშე, წინაშე თქვენის იდეალისა, თუ სასიცოცხლო პირი გექნებათ, სულის აღშფოთებამ, თქვენმა სულის მხილებამ ისე უნდა გაგაქროთ, როგორც გააქრო განდეგილი...“²

შდრ.: სულის მხილებამ ხორციელად გააქრო განდეგილი (განდეგილში სულიერებამ გაიმარჯვა).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მწირის შესახებ პოემად ჩამოძერწილი ლეგენდა ეძღვნება ილიას დიდ მეგობარს – მეუღლესა და თანამოაზრეს – ოლლა ჭავჭავაძისას; ვფიქრობთ, ამ მიძღვნით პოემაში თავიდანვე ცხადდება ილიას აქცენტები მაღალ ზნეობასა და საქვეყნო ნუხილზე (ამ პოემაში ნამდვილად არ ჩანს მყინვარისა და თერგის დაპირისპირების მსგავსი ოპოზიცია ასკეტიზმისა და „აქტიური ყოფითი ცხოვრების“ სახით).

ნაწარმოების 28 თავიდან პირველი ექვსი პოემის შესავალი ნაწილია; აქ მოთხრობილია ბეთლემის, სიმბოლურად, საქართველოს სულიერი ისტორია, რომელიც მოკლედ ასე გადმოიცემა:

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი IX, 2006, გვ. 247-248.

² ვიმონებთ დ. გამეზარდაშვილის ნაშრომიდან: „ილია ჭავჭავაძის ორი სადავო ფსევდონიმის შესახებ“; განთიადი, 1977, №3, გვ. 117.

გასულ საუკუნეებში „ბეთლემში“ უფლისა და ქვეყნისთვის მლოცველი ბევრი ბერი იყო; ისინი „გასულან ამა ქვეყნით“; შემდეგ იქ დამკვიდრებულა ერთი წმინდა ბერი, რომელიც უფალს ლოცვით შესთხოვდა, ეხსნა ქვეყანა.

მომდევნო VII-XXVIII თავებში წარმოჩენილია ამ ერთადერთი მლოცველის შინაგანი სიმართლე და უზომო პატიოსნება:

ბერმა მძაფრად განიცადა (შეინანა!) ხორციელი ცდუნების პერსპექტივა (ბერი ქალს არც კი შეხებია!) და ეპატია კიდევ წამიერი გაორება; შდრ., მსოფლიოში არსებულ მსგავსი თემატიკის სხვა ნაწარმოებებში ბერი/მღვდელი ქალს კოცნის, აფეხმძიმებს... და მაინც მიეტევება! უფლისგან პატიების მიუხედავად (ნუგეშით გადმომზირალი ღვთისმშობლის ხატი!) უსპეტაკესმა მწირმა სულ დათმო ხორციელი ქვეყანა და უფალს მიებარა.

ილიასთვის განდეგილობა საღვთო საქმეა და მისი მოშლა ქვეყნისთვის უბედურებაა. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ერთ-ერთ ვარიანტში „მწირის“ სინონიმად, „ღვთის კაცი“ აქვს გამოყენებული. თავად ილიასაც ახალგაზრდობაში ბერად შედგომა სურდა.

თანამედროვეებმა და მომდევნო – მენშევიკურმა თუ საბჭოთა – თაობებმა ვერ გაუგეს ილიას და ვერც გაუგებდნენ:

1907-მა, 1918-მა (დამფუძნებელი კრება) და შემდგომმა წლებმაც დაადასტურა, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში შემოსულმა და დამკვიდრებულმა ანტიღვთაებრივმა სოციალურ-დემოკრატიულმა „გლობალიზმმა“ თითქმის ერთი საუკუნით უკანა პლანზე გადასწია **ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებები**.

ათეისტურ ველში „განდეგილის“ ვერგაგება ნიჭიერად „გაამრავალფეროვნეს“ საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსებმა: მწყემსი ქალი გააიგივეს თერგსა და დღესთან, ხოლო განდეგილი – უძრაობასა (პასიურობასა) და ღამესთან... სინამდვილეში თერგი ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური მოღვაწეობაა, „მწყემსი ქალი“ – პრიმიტიული ყოფითი სიცოცხლის სიმბოლოა, ხოლო **განდეგილი** – აქტიური სულიერი მოღვაწეობის სიმბოლო.

ილიას მიერ დახატულ წმინდა მეუდაბნოეს, წინამორბედთა მსგავსად, „ხორცი სულისთვის უნამებია“, კერძოდ, „ვით ჭურჭელი იგი წყმედილი, ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია“ – უკეთ შეუძლებელია ადამიანის განწმენდის პროცესის მაღალმხატვრული აღწერა.

ბეთლემში მწირის მისვლით გაგრძელებულა „მუნ ლოცვის ცრემლი“ ანუ კაცობრივი სინანული უფლის წინაშე:

„დღე-და-ღამ სულთქმა და ღალადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა“...

აქ არსებითი მნიშვნელობისაა ბიბლიური თემის შემოტანა:

ლოცვის ცრემლი არ შემწყდარა ღელესა მას გლოვისასა.

ფვიქრობ, სწორედ ეს ფრაზაა მთავარი „გასაღები“ ნაწარმოების დედააზრის გასახსნელად:

მწირის გარდაცვალების შემდეგ „ლოცვის ცრემლი“ წყდება „ღელესა მას გლოვისასა“...

აშკარაა, რომ ილიასთვის „ლოცვის ცრემლი“ ანუ მონანიე ცრემლიანი ლოცვა განწმენდის გზაა, რომელმა გზამაც უნდა იხსნას **ეროვნული სიცოცხლე გლოვის ღელეში**.

რას ნიშნავს „გლოვის ღელე“?

მხატვრული სახე „გლოვის ღელე“ გვხვდება „დავითნის“ 83-ე ფსალმუნში, კერძოდ, მე-6-8 მუხლებში ვკითხულობთ:

„ნეტარ არს კაცი, რომლისა შენვენა მისი შენგან არს; აღსლვა გულსა თვისსა დაიდვა ღელესა მას გლოვისასა, ადგილსა მას, რომელსაცა აღუთქვა, და რამეთუ კურთხევაი მოსცეს, რომელმანცა შჯული დადვა. ვიდოდინ იგინი ძალითი ძალად, და გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმერთთა სიონს...“

ბიბლიის კომენტარების მიხედვით, გლოვის ღელე, გლოვის მხარე არის დევნილობის მხარე, ანუ სამოთხიდან გამოძევებული ადამიანის საცხოვრისი. გლოვის ღელე ცოდვილი წუთისოფელია, სადაც სინანულიანი ლოცვა ადამიანის მთავარი მოვალეობაა; ე. ი. დედამიწაზე/ საქართველოში ლოცვა არ უნდა შეწყდეს!

ბერები ქვეყნისთვის (მოყვასისათვის) ლოცულობენ, კაცობრივ ცოდვებს ინანიებენ; ერთი მონანიე, მლოცველი ბერის არსებობაც კი ამქვეყნად ადამიანური სინანულის უწყვეტობის გამოხატულებაა; შესაბამისად, ილიას მწირის გულწრფელი ლოცვა საქვეყნო სინანულია (წმინდანის ლოცვა ყველას გადასარჩენი ლოცვაა)...

ილიას პოემაში ხაზგასმითაა ნათქვამი:

ბეთლემელი მწირის ტაძარში მისვლის შემდეგ **„გლოვის ღელეში“** ადამის ძის ლოცვა და სინანული გაგრძელებულა.

ამკარაა: ილია ჭაჭავაძისთვის ბერმონაზვნობა უდიდესი ეროვნული ღვაწლია.

II თეზა: ძლიერ პიროვნებაში სულიერი სანყისი იმარჯვებს.

„განდეგილის“ ერთ-ერთი მთავარი თემა ადამიანის იმანენტური /ბუნებრივად კოდირებული/ გაორებული არსის ჩვენება და ამ გაორების დაძლევაა. ბიბლიისა და „დავითის“ კარგად მცოდნე წმინდა ილია მართალის ბეთლემელი მწირი წმინდანის დარად დასძლევს ხორციელ სანყისს. ამის დასაბუთებას ეძღვნება „განდეგილის“ VII-XXVIII თავები. პოემის ამ მონაკვეთის მოკლე შინაარსი ასეთია:

ღვთის სახლში (ბეთლემში) წმინდა ბერია. ბერის სინმინდის დასტურად ილიას ნაწარმოებში ქალი შემოჰყავს – ეპიზოდური პერსონაჟი, წუთისოფლის სიმბოლო (და არა „ქრისტიანობის სიმბოლო“ თუ „ღვთისმშობლის სახე“, როგორც ეს ზოგ თანამედროვე კრიტიკოსს ჰგონია). ხორციელი ქალის მშვენება ააქტიურებს ბერში ამქვეყნიურ ფიქრებს, ხორციელ განცდებს; შემდეგ ბერს სატანაც ეცხადება და ხარხართ ცდილობს, დათრგუნოს განდეგილი /ასეთ დროს წმინდანიც კი შეიძლება გაორდეს/...

ბერი მალევე მოერევა ხორციელ მეს და მწარედ განიცდის ამ გაორებას: გარეთ გავარდება იმ ოთახიდან, სადაც ქალს მაცდურად ეძინა და ქარიშხლიან ღამეში დილამდე კლდე-ღრეში იხეტილებს; დილითაც იქ ჩანს:

„ეს ვინ ჰრბის, დაძრნის? ეს ვინ ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურძგნული?
ნუთუ მწირია?... იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული...“

ვფიქრობ, ეს ეპიზოდი ილიასეული მწირის **მძაფრი სინანულის** ამსახველია: მწირი ღმერთს მიბარებული მონანიე ცოდვილია და არა – „ხიბლში ჩავარდნილი ამპარტავანი“ (ზ. კიკნაძე). ვფიქრობთ, პოემაში ამ სინანულის გამო ეპატია ბერს და, ნიშნად ამისა, ეჩვენა მაღლით გადმომზირალი ღვთისმშობლის ხატი.

ანალოგიური ხასიათის ნაწარმოებებს შორის (ემილ ზოლას „აბე მურეს შეცოდება“, ანატოლ ფრანსის „თაისი“, ლევ ტოლსტოის „მამა სერგი“, მიხეილ ლერმონტოვის „დემონი“, დე ვინის „ელოა“,

გუსტავ ფლობერის „ნმინდა ანტონის განსაცდელი“...) ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ გამოირჩევა „შეცოდების“ **აბსოლუტური პირობითობით**:

ევას მიერ ადამის შეცდენის უძველესი თემა ნანარმოებში სახარებისეული სიმალლითაა გაშლილი და გადაწყვეტილი: შეცოდება იმპულსურ, არაცნობიერ დონეზეა; მწირს ფიქრშიც კი არ დაუშვია ქალის ალერსი; მხოლოდ ერთხელ მექანიკურად დაიხარა საკოცნელად და **„უცებ გაშეშდა.. ეჰა, ნაწყმედავ“!** გაორება იმნამსვე დაიძლევა:

„არა და არა! არ აიყრის მაღლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვანლით და ტანჯვით ძლეულს!“

ხორცი სულისაგან ნამშივე (და)იძლევა; მაცდური ხორციელება კი უკიდურესი ზომით ისჯება – მწირი სამუდამოდ განეშორება ხორციელ სამყაროს. მანამდე, ილიას ამ გენიალური ქმნილების გმირი – ღვთის კაცი ბერი – გაორებისა და **ცდუნების ოთხ საფეხურს** გაივლის:

1. პირველ ეტაპზე ბერი მხოლოდ წამიერად დატყვევდა ავდრისწინა მზის სილამაზით:

„მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბინო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას,
შესცქერდა მზესა განცვიფრებული“.

ავტორის მიერ მიზანმიმართულად გამოყენებული ფრაზა: **„წარტყვევნილ იქმნა“** გვიჩვენებს, რომ განდეგილი მისდაუნებურად გვერდიგვერდ აყენებს უფლის ხატსა და ამქვეყნიურ „ხორციელ“ მზეს. ეს ეპიზოდი არის მწირის გაორების პირველი ეტაპი.

2. გაორების მეორე ეტაპი არის ფრაზა: „მე უბედურსა“:

სიბნელიდან შემოხეტებულ მწყემს ქალთან საუბარისას მწირს გაახსენდა წუთისოფლის სიამენი, თუმცა იქვე თქვა, რომ „სული ტყვე არის წუთისოფლისა“; ამის მიუხედავად, მაინც წამოსცდა გაორების ნიშანი-ფრაზა:

„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

თუმცა მან ეს წამონაცდენიც მაშინვე მოინანია.

3. გაორების მესამე ეტაპზე ბერი უკვე ქალის ხორციელმა სილამაზემ დაატყვევა:

„და რალაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გამტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს?
ის სახე ატკობს თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!“

შდრ.:

„სული გულს ინვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...“

ქალის სილამაზე საკოცნელად ინვევს:

„და იმა ნვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...“

მწირმა კი გაუძლო:

ამ შემთხვევაშიც წამიერი გაორება დაიძლია, ვინაიდან მწირმა მაშინვე დათრგუნა კოცნის სურვილი. ცდუნების დაძლევის შემდეგ ხორციელი გული „მკვდარია“ /შეცოდება გაცნობიერებულია/:

„არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალეს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვანლით და ტანჯვით ძლეულს!

მაგრამ ეს რაა?.. „ნაწყმდა თუ არა!..“ –
ეს ვინ ჩასძახის ნიშნებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!..“ – ეს ვინ გაჰკვივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!“

უნდა ითქვას, რომ ამ მომენტში მწირის არსში ყველაზე მძაფრია (ტრაგიკულია) ხორციელებისა /მზე, ნუთისოფელი, ქალი/ და სულიერი სანყისის დაპირისპირება; თუმცა, რამდენადაც აქვე გული უკვე მკვდრადაა განხილული, ნაჩვენებია, რომ სულიერებამ გაიმარჯვა – ხორციელი მისწრაფება დამარცხებულია.

პოემის ერთ-ერთ ვარიანტში ამ ადგილას ილია „ქალი წყეულის“ ნაცვლად წერს: **ქალი ლამაზი**. თუკი ამ ეპიზოდში ავტორი დატოვებდა „ლამაზს“, ე. ი. გაორებისთვის წერტილი სხვაგან უნდა დაესვა. პოემის ბოლო რედაქციაში სიტყვა-ფორმით: „წყეული“ წმინდა ილია მართალმა მწირის გაორება დაასრულა ღთისმშობლის ხატთან, მაგრამ ღვთისმშობელი მას მაინც არ ეჩვენა. მწირის გამოცდისა თუ გაორების მეოთხე ეტაპი – ეშმაკის ფსიქოლოგიური ზეწოლა – წინ იყო; პატივბამდე ბერს ეშმაკის ზემოქმედებისთვისაც უნდა გაეძლო.

4. ეშმაკის ფსიქოლოგიურ ზენოლას ილია ასე გადმოგვცემს:

„აბა სძლიეო!..“ და კვლავ ვილაცამ
 გაიხარხარა იმის სენაკში...
 ან იმა ხარხარს ველარ გაუძლო
 და როგორც გიჟი გავარდა კარში“.

განდგილი ისევ დროებით ითრგუნება; იგი მალე, ერთ ღამეში, ძლევს ეშმაკს (სხვა ავტორთა სასულიერო პირები დღეებისა თუ თვეების მანძილზე ვერ ერევიან ხორციელ ვნებებს):

„ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუიქცა,
 შევარდა სენაკს გახარებული,
 და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
 ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.
 გულზედ მოეშვო... კვლავ სითბოებით
 დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
 კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი
 მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
 არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
 და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...“

მწირი ქალს გაერიდა და გათენებამდე იხეტიალა კლდე-ღრეში. საღამოს ღვთისმშობლის ხატში ქალს თუ ხედავდა, დილით „კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი მადლით, ნუგეშით გადმომზირალი“... შესაბამისად, გათენებამდე ხეტიალი ავტორის მიერ სინანულადაა გააზრებული (შდრ., ნოდარ გრიგალაშვილის ინტერპრეტაცია); სინანულის შემდეგ ეჩვენა ღვთისმშობლის სახე; მსგავსი ეპიზოდი აბე მურესთანაც:

წუთისოფლის ვნებების კონცენტრირებულ სახე-სიმბოლოსთან – ქალთან – წამიერ მიახლოებას (არც კი უკოცნია!) ინანიებს ილიას განდგილი; **სინანულის ნიშნად ის დიღამდე ქარაშოტში „პრბის, დაძრწის, ტანტალებს“**... გათენებამდე მისი ხეტიალი მორწმუნისათვის აუცილებელი სინანულია – პოემამი სინანული ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი ეპიზოდითაა გადმოცემული (და არა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი სტილით). ვფიქრობ, პოემის სწორედ ეს ეპიზოდი შეიცავს მწირის „თვალთდაბნელების“ შემდეგ აღძრულ დავითისეულ სინანულს:

„უფალო, შენ წინაშე არს ყოველი გულისთქმა ჩემი და სულთქმა ჩემი შენგან არა დაეფარა. გული ჩემი შეძრწუნდა და დამიტევა მე ძალმან ჩემმან, და ნათელი თუალთა ჩემთა, და იგიცა არა დაადგრა ჩემ თანა... ნუ დამაგდებ მე, უფალო ღმერთო ჩემო, და ნუცა განმეშორები ჩემგან. მოიხილე შენევენად ჩემდა, უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო“ (დავითნი, 37, 10-11, 39-40).

შდრ., მსგავსი ეპიზოდი წმინდანთა ცხოვრებიდან:

„წმ. ისააკი პატარა გამოქვაბულში ცხოვრობდა 7 წელი. ერთხელ, საღამოს დაინახა ორი მშვენიერი ყმაწვილი, სახე მზესავით უბრწყინავდათ. მათ უთხრეს, რომ უფლის ანგელოზები იყვნენ, თან სხვა მრავალი მათგანიც აქვე იყო. ბერმა მათაც მისცა შემოსვლის კურთხევა. მალე სენაკი ეშმაკებით აივსო. მათ დაინყეს ხარხარი, კივილი და აქეთ-იქით ხტომა. ისააკიც მათთან ერთად ხტოდა. ცოტა ხნის შემდეგ ეშმაკებმა ხარხარით დატოვეს იქაურობა. ისააკი სამი წელი ცოცხალ-მკვდარი

იყო და ბერები უვლიდნენ. გამოჯანმრთელებისა და განსანმედელი ლოცვების შემდეგ მას ღვთისაგან მიენიჭა მაღლი ელოცა შეპყრობილი ადამიანებისათვის და განეკურნა ისინი... უდაბნოში მარტოდ მყოფმა წმინდა ანტონ დიდმაც მსგავსი რამ გადაიტანა“¹.

III თეზა: ცოცხალი ადამიანი სრულად ვერასოდეს დათრგუნავს ხორციელ ვნებებს.

მონასტერში დილით შებრუნებულ მწირს და პარადუდან მეორედ დაბრუნებულ მურეს აღარ ახსოვთ არც საკუთარი ხორციელება და არც მაცდური, წყეული ქალი; მათში საუკუნოდაა გამარჯვებული ღვთაებრივი სულიერება. წესით, ფრანგი თუ სხვა ავტორების მსგავსად, ქართველი ავტორის ნაწარმოებიც ამ ტონზე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ილია აგრძელებს სხივის ეპიზოდს და გვეუბნება: წუთისოფელში სულს არ შეუძლია ხორცისგან სრულიად გათავისუფლება; ადამიანის სრულყოფას საზღვარი არა აქვს, სანამ ის ხორციელ გარსშია, რომ სულის სრული განწმენდა მხოლოდ სიკვდილით, მონამეობრივი სიკვდილით ხდება.

მდრ. დ. უზნაძე: განდეგილმა „თავისი ძლიერი ნებით მხოლოდ ზეციურისკენ იწყო ლტოლვა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ადამიანის ნება მაინც ადამიანისაა და მისი აბსოლუტური სრულყოფა შეუძლებელია...“

სხივის მიერ ლოცვანის „არ დაჭერის“ ეპიზოდმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ მწირი დამარცხდა. ვფიქრობ, განსხვავებულადაც შეიძლება ამ ეპიზოდის გააზრება:

ილია გვეუბნება: ღმერთს შეუწირავს ბეთლემელი მწირის ლოცვა-ვედრება და ბერის მაღლის ნიშნად მოუვლენია სასწაული: დილაობით ბერი თავის ლოცვანს სხივს მიაყრდნობდა:

„როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბინოდ იგი სცხოვრებდა...
და თვის სინმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შემომწმებდა“.

ბერის მყისიერი გაორების შემდეგ სასწაულთმოქმედი სხივი სვეტად კიდევ ჩამოეშვება, მაგრამ ლოცვანს აღარ დაიჭერს:

ხორციელი მეს წამიერი გაბრძოლების გამო მწირმა დაკარგა უფლისმიერი სასწაულის ხილვის უნარი, მაგრამ სინანულის შემდეგ მას ეპატია შეცოდება: სვეტად ჩამოშვებული სხივი ლოცვანს აღარ იჭერს, მაგრამ სხივი სვეტად ისევ ეშვება და ბერს ნუგეშით ისევ გადმოჰყურებს ღვთისმშობლის ხატი (რომელიც გაორების ჟამს ემალებოდა; იხ., ზემოთ).

ამკარაა, რომ ილიას მიხედვით, განდეგილმა ღვთისგან პატიება მიიღო; პოეტი წერს:

„კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი
მაღლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
და ღმერთს მაღლობა ცრემლით შესწირა“...

¹ დეკანოზი ალექსანდრე, ეშმა და ეშმაკეული, წიგნიდან „ლაზარეს აღდგინება“, ტ. V, თბ., 1991, გვ. 191.

თუმცა, მწიგნობარმა სხვა ხორციელისთვის მიუწვდომელი სასწაულის ნიშანი დაკარგა, დაკარგა ღმერთთან იდუმალი შერწყმულობა. ამის გაცნობიერებისთანავე განდევილს დაუბნელდა თვალი (მაცდური) და „ღმერთოს“ ძახილით, ანუ მხოლოდ უფალზე ორიენტირებით, „უტევა სული“. ბერი სრულად გათავისუფლდა ხორციელებისგან; უფალთან მისაახლებლად ბერმა ხორციელი „სამოსი“ საბოლოოდ დატოვა:

„ერთი საშინლად შეჭბავლა ღმერთსა და იქავ სხივქვეშ უტევა სული“.

ვფიქრობ, ილიას ეს ფრაზა ალუზიაა განკაცებული უფლის ბოლო სიტყვების:

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევე მე“.

ამ ფრაზის სხვადასხვაგვარი გააზრებაა ცნობილი; თუ საკუთრივ წმინდა წერილიდან ამოვალთ, რთული არ არის მიხვედრა, რომ სახარებისეული ფრაზა ორ სწავლებას შეიცავს:

– ამქვეყნიური სამყარო – ხორციელი სამყარო – „სულის მახეა“; ხორციელ სამყაროში ხორციელი ვნებები ბოძოქრობს; წარმწყმედი ვნებებით სავსე ამქვეყნიურ სამყაროში – წუთისოფელში – წარმავალი სიცოცხლე არაფერია; მთავარია მარადიული სამყაროსთვის მზაობა; ხორციდან გასვლა კი სულის გათავისუფლებაა.

– განკაცებულ ღმერთსაც კი არ შეუძლია ხორციელი ტკივილისა თუ ვნების სრული იგნორირება.

შეგვიძლია დავასკვნათ:

ადამის შვილებიდან მოყოლებული, ადამიანი ცდილობს, ხორციელი ვნებების დათრგუნვით თვითხსნას; თვითხსნის პარალელურად, ძლიერი პიროვნება სხვების გადარჩენისთვის ზრუნავს; **ზრუნვის აღმატებული სახეობა ლოცვაა, ზოგადად თუ ვიტყვით, ადამიანად ყოფნის ყველაზე მაღალი მდგომარეობაა ბერ-მონაზვნობა¹**; სწორედ სხვისთვის ლოცვა ადამის მოდგმის მეოთხე უმთავრესი თვისებაა². უფლის მიერ ადამიანის ჩამოძვრნის უკანასკნელი სიმაღლე კი **რწმენისათვის სიკვდილია** - სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვაა (ქრისტეს მისტერია!):

რწმენისთვის სიკვდილი ადამიანში ღმერთის საბოლოო გამარჯვება და სხვების (სამშობლოს, კაცობრიობის...) ხსნისკენ გადადგმული შთამბეჭდავი ნაბიჯია. **ამ ადამიანურ მწვერვალს მიუძღვნა წმინდა ილია მართალმა თავისი უკანასკნელი პოემა.**

¹ ჩვენეულ ადამიანურ „იერარქიაში“ ყველაზე მაღლა არიან წმინდანად შერაცხილნი; შემდეგ: ბერ-მონაზვნები, დიდი მეფეები და საზოგადო მოღვაწეები (ფარნავაზი, ქუჯი, იოვანე მარუშისძე, სოლომონ ლიონიძე... აკაკი, იაკობი...), ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებზე ორიენტირებული მეცნიერები, შემოქმედნი (მწერლები, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები...); შემდეგ სახელმწიფოს ინტერესების დამცველი პოლიტიკოსები და სხვ.

² შდრ. ადამიანის სხვა მარკერები: მღვდრი/მამრი, კეთილი/ბოროტი, ენა/ეროვნება.



ნიკა ვაშაქიძე

„ღუმილის ქარაგმები“

(ნიკა ფუტყარაძის ლექსების ახალი კრებული)

ნიკა ფუტყარაძის პოეზია ერთი დიდი წარმოსახვითი სამყაროა, რომელიც ახალგაზრდა პოეტის განსხვავებულ, მხოლოდ მისი ინტუიციითა და შთაგონებით შექმნილ ნებსრიგს ემორჩილება. სალიტერატურო ქართულის ძირითად ლექსიკურ ერთეულთა ლოგიკური და ჰარმონიული შეწყობით იგი ქმნის რიტმულ და ჟღერად ენობრივ ქარგას, რომელშიც იკითხება ლირიკული გმირის ხასიათი, მთავარი ორიენტირები, მისწრაფებები...

ლექსების ახალ კრებულში („ღუმილის ქარაგმები“, 2022 წ.) ჩემი ყურადღება, პირველ რიგში, მიიზიდა იმ სტრიქონებმა, რომლებშიც წარმოდგენილია ახალგაზრდა პოეტის თვითშეფასება, პოეზიის მისეული გაგება და მოქალაქეობრივი მრწამსი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნ. ფუტყარაძე ქართულ პოეზიაში აგრძელებს იმ ტრადიციულ გზას, რომლის სათავეშიც ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსები დგანან.

მივყვეთ პოეტის ნაფიქრ-ნააზრევს:

„პოეტი ღმერთის თარჯიმანია, / ადამიანის სულის მთარგმნელი“ (24).

ამქვეყნად ყველა ადამიანს თავისი მისია გააჩნია, მაგრამ პოეტის მდგომარეობა მართლაც განსხვავებულია საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან: ის მუდმივად საკუთარი თავის ძიებაშია; დროდადრო შეიძლება იმედგაცრუებაც დაეუფლოს („მე საკუთარი თავის ძიებამ / უკვე ნაპოვნიც დამაკარგვინა“), მაგრამ ის დიდი გამონგევა, რომლის წინაშეც დგას, როგორც განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული, აძლევს ძალას ბოლომდე იყოს სულიერების სამსახურში; ეს იგივეა, რაც ბრძოლა უკვდავებისათვის: „ფურცელთან ჭიდილს თუ შეაკვდები, / შენ უკვდავებად განმეორდები“ (34).

აღნიშნულ თემაზე საუბრისას ბუნებრივად იბმება ძაფი ილიასა და აკაკის ცნობილ ლექსებთან, რომლებიც პოეტისა და პოეზიის დანიშნულებას ეხება („პოეტი“, „ჩონგური“). დანვრილებით მათ ანალიზს აქ არ შევუდგები, მაგრამ მთავარ განსხვავებაზე მინდა მივანიშნო: ილია და აკაკი, ეპოქის თავისებურებიდან გამომდინარე, ყურადღებას ამახვილებენ „ერის წყლულზე“ – „ბედსა“ თუ „უბედობაზე“, „დაჩაგრულთა“ ტკივილზე, „სიმათლის მსახურებაზე“; ნ. ფუტყარაძის პოეტი, ზოგადად, ადამიანის სულის მღელვარებას უღრმავდება – იქ, სადაც ყოველი ჩვენგანი მარტოა საკუთარ თავთან და ყველაზე მეტად სჭირდება თანადგომა:

„იქნებ მასწავლო გაღება უჯრის,

სადაც ეგ შენი სული ბინადრობს!“ (61);

„ეს ჩემი სულია – ფურცელს რომ ამძიმებს“ (64)...

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ „პირველად იყო სიტყვა“ და მისი ძალით შეიქმნა ადამიანი – სამყაროს ყველაზე სრულქმნილი არსება; მაგრამ პოეტი აქვე სვამს რიტორიკულ კითხვას, რომელიც პირდაპირ კავშირშია გარდასახვის ღვთაებრივ ბუნებასთან: ძალუძს თუ არა ადამიანს პირველსაწყისს დაუბრუნდეს, იქცეს სიტყვად? – ეს იმ გამორჩეულთა ხვედრია, რომლებიც სიტყვის ძალით პოეზიას უკვდავებს. თავად პოეტი მუდმივად გრძნობს შინაგან კავშირს სიტყვასთან, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია:

„სიტყვა მეხება და მაქანდაკებს რიყის ქვას,
როგორც ქვას მარმარილოს“ (31);
„სიტყვამ მიწამა და სიტყვამ გამცა,
ამ გზაზე ჯვარცმა ვიხილე ხშირი“ (25);
„უცებ მომინდა, სულ გავშიფრო სიტყვის უღრანი“ (57);
„სიტყვას რომ ასე არ დავერაზმე,
მივაშურებდი მწვანე ხეივნებს“ (38);
„შენ მიშენ სიტყვებს – გრძნობის სადავეს“ (14);
„ცივ, ნაზამთრალი თითებით ვფურცლავ
და ვაყვავილებ სიტყვის ენძელებს“ (12)...

პოეზიასთან ჭიდილში ბევრი უსახელოდ იწირება – თანამედროვეთათვის უცნობია მათი სულის გამონაშუქი: „დღეს პოეტების იზრდება რიცხვი / დასანაყრებლად მაკულატურის“ და შედეგად „ამ საუკუნეს მიაქვს სტამბიდან / ადამიანი დიდი ტირაჟით“ (37). ნ. ფუტყარაძეს, როგორც პოეტს, თავისი წილი სათქმელი აქვს – „სულის შიმშილი“, სიმარტოვე, დიდი შინაგანი უკმარისობის განცდაა მიზეზი, რამაც ლექსებად ჩამოძერწა მისი ნააზრევნი:

„...და პირველ რიგში მარტოობაა,
დამანერია რამაც ლექსები,
თუ წვიმის ცრემლმა ცას რტო მობანა,
მე დასანერად ავილესები“ (63).

როგორც კ. გამსახურდია წერს, „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეაღიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან“ („დიდოსტატის მარჯვენა“). ახალგაზრდა პოეტი მტკივნეულად განიცდის ყოველი ახალი სტრიქონის დაბადებას; ამ პროცესში მისთვის თითქოს თავდაყირა დგება მთელი სამყარო:

„ხანდახან ქაოსს წარმოადგენს თვითონ სიმშვიდე,
გადახტომისას აღმოჩნდება – ახლოა ფსკერი...
ნეტავ, ხანდახან ამ წერაში ხელს შემიშლიდე,
როცა ჭრილობას ნაკერს ვუხსნი, ტკივილით ვმღერი“ (66).

სხვა შემთხვევაში კალამი ეხმარება პოეტს, „იარას“ პირი მოუკრას და „თეთრ ფურცელს“ სიტყვა „ლილება დააბნოს“ (91). იგი მზად არის, თავის შთაგონებას სიცოცხლე შესწიროს – „დაუთმოს ფოთოლს, / ნეკერჩხლის ტოტზე ნითლად ანთებულს“ (72); პოეტის სიმდიდრე, რაც „მოჰყვება ცხოვრებაში“, „დახეული ლექსების გარდა, ...არაფერია“ (73).

პოეზია – დაუოკებლად მიმზიდველი მშვენიერება და სიყვარული, ერთად შენივთებული, პოეტს სიცოცხლის მარადიულ წყურვილს აგრძნობინებს, შემოქმედებისა და მუდმივი ძიების ინტერესს უღვივებს:

„შენ ერთი მიგებ – სიტყვით დაოსილს,
ათჯერ ნაშლილო, ერთხელ ნანერო...
გამოსანვევო მხურვალ ტანგოსთვის,
ხელთ ლერნამივით გადასანვენო...“ (54);
„აქ დამნაშავე კალმის წვერია,
მელნიან ხაზებს სურს გამაყოლოს,
რაც კი აქამდე დამანერია,
დასანერელის ჩრდილია მხოლოდ“ (60).

პოეტის თამამ განაცხადს გამოცდა ელის: ცხოვრება ხომ აღსავსეა ყოველდღიური წინააღმდეგობებით, როგორცაა: გარშემო მყოფთა გულგრილობა, განდგომა, დაუფასებლობა... „ბინძური თამაში“:

„ახალ ტიციანს ეძებს მიხაკი,
– შენ ცას მიხედე! – უხეშად მითხრეს...“ (51).

უმძიმესია „მარტო დარჩენილი“ პოეტის განცდა და, ამავე დროს, ღრმად ფილოსოფიური – მისი დაკვირვება გამორჩეულთა ხვედრზე „კარტეზივით მიმიკებნაცვალ“ საზოგადოებაში:

„ვარსკვლავებით წყდებიან სივრცეს
ვერ შემჩნეული გენიოსები“ (41).

სავსებით ლოგიკურია, რომ ამგვარი თვალთახედვის მქონე პოეტის ფიქრი მყისიერად სწვდება გალაკტიონს – ყოფიერებისგან პროტესტის ნიშნად განმდგარ წინამორბედს, „თვითმკვლელს“, რომელიც უკვდავებას ეზიარა; პოეტი მას ადარებს „დაღლილ ბებერ რაშს“, მუდამ „უკვალ გზებს“ რომ ესწრაფოდა; უდანაშაულოს თავისი ცხოვრების ტრაგიკულ ისტორიაში, რომელსაც ვერაფერი დააკლო ბრბომ – „ჭინკების გუნდმა“, მის წინაშე უნდა „შეჩერდნენ ქანცგანწყეტილი საუკუნენი“ (28).

თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ახალგაზრდა პოეტი სინამდვილისაგან გაქცევას არ აპირებს; ის მზად არის თავისი პრინციპებით იბრძოლოს და მაშინ, როცა „ხალხი დაცემის ცქერით არის გართული“, მეგობარს მოუხმობს, „ერთად გახადონ მინას წყვდიადი“ (70).

პოეტისთვის მიუღებელია ღირებულებების აღრევა; ის ბოლომდე რჩება ზნეობრივი მაგალითის მიმცემად:

„დუმილს ქაოსთან ნუ შეაზავებ –
ნუ შეატოვებ შენს ხალხს ნადავლად,
თუკი ჩაუგდე ხელში სადავე,
აჩვენე, როგორ უნდა გადავლა“ (42).

გრძნობა, რომლის გათელვაც შეუძლებელია, რომელიც პოეტს კვლავ ენერგიით ადავსებს, არის ერთხელ გაკეთებული არჩევანის უანგარო მსახურება, სიცოცხლის ლექსებად შეწირვა:

„არ მსურს ტაშები, დავრჩე ასე გაუხედნავი,
რადგანაც ვხედავ, ხალხი შურის ქაობში დალბა,
როცა არ დავნერ – გაიტანეთ ჩემი ცხედარი,
როცა არ დავნერ, არ ვიქნები ცოცხალი, ალბათ“ (57).

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ი. ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?!“, რომელიც, რ. ჩხეიძის მართებული შეფასებით, ახალი თემის სათავედ იქცა შემდგომი პერიოდის ქართულ პოეზიაში (გ.ტაბიძე, გ. ლეონიძე, ვ. ჯავახიძე, ტ. ჭანტურია...), ასევე, საკუთრივ, რ. ჩხეიძისა და ლ. ბრეგაძის ესეები: „მისი უდიდებულესობა: ტაში“ („ომეგა“, 2004 წ., თებერვლის ნომერი) და „ტაში: ბანგი ინტელექტუალთათვის“ („ჩვენი მწერლობა“, 2006, №1, გვ. 38-39), რომლებშიც ტაშის ფენომენის „საზოგადოებრივი, სოციალური და ფსიქოლოგიური შინაარსის“ ზუსტი შეფასებაა მოცემული – თუ რაოდენ რთულია ინტელექტუალთათვის ტაშის „მაცდური ბუნებისა“ და მასთან დაკავშირებული უხერხულობებისგან თავის დაღწევა – ზნეობრივი გადარჩენა.

ახალგაზრდა პოეტი, გაბედულად გამოხატავს რა პოზიციას, თავიდანვე ემიჯნება ადამიანური ბუნების მაცდუნებელ ოვაციას, ყოველგვარ სიყალბეს:

„ყალბ ოქროობას, სჯობს რომ იყო უბრალო ვერცხლი“ (43).

პოეტმა ძნელად სავალი გზა აირჩია; ამ გზაზე არ არის მუდმივი აღმასვლა; პოეზია მთელ სასიცოცხლო ენერგიას მოითხოვს, რაც ზოგჯერ ემოციურად ცლის მას; ამის გამო ხანდახან ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს „ველარ უსწრებს ქარის დინებას“ (59) და ვერც სულის აღმაფრენას განიცდის:

„სხეული მისდევს სულს, როგორც ბიჭი
ფრანს, ზღვის ნაპირზე აშვებულს ცამდე“ (80).

პოეტის სულიერ წონასწორობაზე ასევე არანაკლებ მოქმედებს საზოგადოების მსჯავრი, როცა ლექსი „გაცდება... ფურცლის კორიდორს“; შედეგად რა მოჰყვება ამას: განდიდება თუ დანარცხება? – „გელის კორიდა, გელის ტაში თუ ტანში დაშნა“(43); ცალკე თემაა გამომცემელი რედაქტორის დამოკიდებულება და სხვ., მაგრამ პოეტი თავს არასოდეს თვლის დამარცხებულად და საკუთარ თავში პოულობს ძალას, რომ გასცეს პასუხი პოეზიის მოთხოვნებს:

„ნუ მნახავ დაცემულს, სულ ცოტა მაცადე,
ჩემით წამოვდგები, ცხოვრება რაკია,
ფიქრიდან, დაჯღაბნილ ფურცლიდან – ამ ცამდე...
სულ რალაც ამ ღამის გათევა მაკლია...“ (64).

აქ იგრძნობა სულიერი ზიარება გალაკტიონის „მე და ღამესთან“ („ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება...“), მაგრამ ასევე თვალსაჩინოა განსხვავებაც: გალაკტიონის გმირი საკუთარ სამყაროშია ჩაკეტილი, სიმარტოვის დარდს მხოლოდ ღამეს უმხელს და არაფრის შეცვლას არ აპირებს; ნ. ფუტყარაძის ლირიკული გმირი კი არასდროს მალავდა, „რომ ასე უჭირდა“, ამავე დროს, ის ბრძოლისთვის არის განწყობილი და ცდილობს, თავად გაამხნევოს გულშემატკივარი – დედა:

„არასდროს ვტყუოდი, რომ ასე მიჭირდა,
რომ ვილაც კარივით ალებდა ჩემს ნეკნებს...
და როცა მტოვებდი თვალების ჭიშკრიდან,
უბესთან და გულთან კვლავ შემომეფეთე!“ (64).

პოეტს სწამს საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების, ამიტომ არ ითრგუნება და გაბედულად იღებს გამოწვევას; სწორედ მისი ცხოვრების ფილოსოფიაზე – მომავლის რწმენით წუთისოფლის რუტინაზე ამაღლებული პოეტის განცდაზე მიგვანიშნებს შემდგომი სტრიქონები:

„ბოლო არ უჩანს ძაღლის ყეფას, სიგრძეს ქარავნის...
თუ მარტოობის სიმარტივემ ისევ განმკურნა,
ჩემი ნილოსი პირამიდებს შეაქანავებს,
რომ შენს საჰარას აუყვავდეს ზურგზე საკურა“ (43).

* * *

ნ. ფუტკარაძის პოეზიას განსაკუთრებულ ხიბლს მატებს მისი ეროვნული პოზიცია. უსათუთესი გრძნობა, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია, პოეტს უხილავი ძაფებით აკავშირებს იმ სასაქართველოს (ტ. ფუტკარაძე) იდეებთან, რომელთაც წინამორბედი პოეტები ავითარებდნენ, იღნვოდნენ ამ იდეების გამარჯვებისათვის და თავადაც რწმენით განმტკიცდებოდნენ. ახალგაზრდა პოეტი გრძნობს შინაგან კავშირს თავის წინამორბედებთან:

„მოდი, შემომსვი ცისფერ მერანზე –
შავი არაგვი დამალევიწე!
...და უდაბნოში წვიმის სახმობად
მამლერე შენი ძველი ლაზარე“... (38).

პოეტის მოწოდებაა მყარად იდგეს თავის მიწაზე, მუდამ „ქართული გზებით“ იაროს „ნაპრალზე, კლდეზე, თუნდ ხიდზე ბენვის“.

სამშობლოს თემასთან ლოგიკურ კავშირშია ქართული ენა – „ქვეყნის ღირსების საზომი“ (ტ. ფუტკარაძე) და „ყოველთა ქართველთა“ გამაერთიანებელი. პოეტს ყურადღება გადააქვს „წმინდა ქართულზე“ (38), უფრო სწორად, ენის სინმინდის დაცვაზე, რაც ჩვენი საზოგადოებისათვის მართლაც მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს თანამედროვე ეპოქაში. ამ მიმართულებით პოეტი იღებს სწორ გადაწყვეტილებას, რომელიც მკაფიოდ ვლინდება ზ. გორგილაძისადმი მიძღვნილ ლექსში – ეს არის მიბრუნება ჩვენი კლასიკური მწერლობისკენ, რომელიც ინახავს „შეუცნობელი სიტყვის საბადოს“ (22) – ამოუწურავ ლექსიკურ და სიტყვანარმოებით შესაძლებლობებს ენის გამდიდრება-განვითარებისათვის; აქ არის მარადიული წრებრუნვა: ენა შობს მწერლობას და მწერლობა ინახავს ენას. ახალგაზრდა პოეტიც ამ წრეში ტრიალებს.

ნ. ფუტკარაძის, როგორც პოეტი მოქალაქის, საფიქრალია ჩვენი ქვეყნის შეუხორცებელი ჭრილობა – აფხაზეთი (86), ფაქტობრივად, ჩვენ თვალწინ მიტაცებული ქართული მიწების სიმბოლო, იერუსალიმში მიტოვებული სალოცავები, რუსთაველის ფრესკა... ისტორიული ბედუკულმართობით, სხვა ქვეყნის საზღვრებში მოქცეული ქართული ტაძრები: „ოშკი თუ ოთხთა“; ქვეყნის „უბედობის“ მთავარი მიზეზად მას ერთობადაშლილი საზოგადოება და ღალატი მიაჩნია:

„კერა ჩამქრალა – ადრე რომ ხურდა,
მიწის გამყიდველს უბრუნებს ხურდას! –

გადამთიელი და მზის ჩირაღდანს
ნახევარმთვარედ კარზედ მირანდავს...“ (46)

პოეტის სტრიქონებში ისმის „ნარსულის კენესა“, როცა ქრისტესთვის წამებულთა ქალაქში უცხო სალოცავების რაოდენობა მატულობს „გადამთიელთა გასახარად, არა – მოკეთის...“ (47).

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს პოეტი ეროვნულ გაერთიანებაში ხედავს: საქართველო ვერ იქნება „ნელგამართული“, სანამ „ქართველი ცდილობს ქართველის მოთხრას“ (45) და სამშობლოს ბედი მთავარ საზრუნავად არ გაუხდია. ლოგიკურია, რომ საკითხის ასე დასმით პოეტი ეხმიანება თანამედროვეობის პრობლემას; ი. ჭავჭავაძის სიტყვა რომ მოვიშველიოთ, ეს არის „გათითოკაცებული“ საზოგადოება – როცა ჯერ კიდევ ბევრმა ქართველმა არ იცის, კიდევ ვინ არის ქართველი (ტ. ფუტყარაძე, „სანუხ არს ესე“)...

პოეტს სწამს, რომ ქვეყანას, მისთვის საფიცარს, რომელსაც თითქოს „დრომაც ზურგი აქცია“, სიყვარული გადაარჩენს:

„და მაინც... ჩემი სამშობლო ხარ, ჯილაგი, ჯიში,
საჯილდაო ქვა თუ ჯიუტი ურჩი მერანი,
ხმალი, ღირსებით მოქცეული – წინაპართ მჯილში,
გწამდეს, ვერასდროს შეგიყვარებს ჩემებრ ვერავინ“ (47).

თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვისას პოეტი, ბუნებრივია, წინამორბედთაგან ნაკარნახევი პრინციპებით ხელმძღვანელობს, როცა ამჯობინებს „სხვის ქვეყანაში კოშკის აგებას“ – „წინაპრის ოდას“, „ქოთნის ყვავილობას“ – „ხვდებოდეს წვიმას კლდის ქიმზე“; მას მშობლიურ მიწაზე ყოფნა ურჩევნია, სანამ „ჟამთა სვლამ გააცამტვერა“ (რ. ერისთავი: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა“; ა. წერეთელი: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“...); ეს არის სვლა „ჩვეულებისაებრ მამულისა“; ეს გზა, რომელსაც ერთი სწორი მიმართულება აქვს, განსაკუთრებული მიზიდულობით აერთიანებს ყველა ერთგულ შვილს, შესაბამისად – ყველა შემოქმედს, განურჩევლად სამოღვაწეო პერიოდისა.

ახალგაზრდა პოეტის ღირსება ისაა, რომ სამშობლოს თემა, ქართულ მწერლობაში არაერთგზის ნაცადი, კვლავ წამოსწია და მთელი სიმწვავეთ წარმოაჩინა ჩვენი ეროვნული სატკივარი, რომელიც მუდამ უნდა გვახსოვდეს და თუ დღეს ვერ მოხერხდა ამ სატკივარის მოშუშება, ნაცარში შენახულ ნალვერდლად მაინც დარჩეს სამომავლო ღვანლისათვის. სწორედ აქ დგას ნ. ფუტყარაძე თავისი ლექსებით.

პოეტის მოწოდება – „გადაარჩინონ“ რწმენა – ასევე ეხმიანება თანამედროვეობას. თაობა, რომელიც აქტიურ ბრძოლას „კვერის დაკვრას“ ამჯობინებს, „თანდათან ხდება“ „მემკვიდრე“ „წინაპართა ცოდვის“, მაგრამ აქ წერტილის დასმა არ შეიძლება: გადასარჩენია მამა-პაპათა საცხოვრისი, „სამშობლოს დარდით უტყვიოდაც გაზარული“ გულები. შესაბამისად, ყველამ უნდა გადაიხადოს „თავისი წილი“ მოქალაქეობრივი ვალი, რისთვისაც ეძლევა ღვთიური ენერჯია:

„თუმც ზეცა მაინც გვინანილებს, როგორც სეფისკვერს,
გადანახულ მზეს – საკურნებლად სულის და ხორცის“ (79).

პოეტი „ბედთან მორკინალი“ თაობის (80) შვილია, ამიტომ ღრმად სწამს, რომ ქვეყანა უპატრონობით არ გაინირება – ძლიერი და „ბორკილშესწნილი“, ნამდვილი თავისუფლებით შემკული შეხვდება მომავალს.

ქართული სალოცავისა და ვაზის სიყვარულით გამთბარ სტრიქონებში ისმის წინაპართა სულის გამოძახილი, რომელსაც უერთდება ახალგაზრდა პოეტის მონოდება:

„არ დაინგრე, ტაძარო, არ გამიხმე, ვენახო,
ჩვენი ტანჯული ქვეყნის ღვინისფერო ჩოხავ,
ღმერთმა ისე გახაროს, ყველას თასში მენახო,
ყველას გულში მენახო, გლეხი კაცის ოხვრავ...“ (86).

* * *

ნ. ფუტყარაძის პოეტური სიტყვა სწვდება ისეთ ღრმადფილოსოფიურ თემებს, როგორცაა: სიკვდილი და მარადიულობა, ცხოვრება და ადამიანი, სამყაროს ცვალებადობა, მოძრაობა.

ახალგაზრდა პოეტის სიტყვებში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა მოგვეჩვენოს, წელთა სიმრავლით დამძიმებული კაცის სახე იკვეთება, რომელმაც უკვე საკუთარ თავზე გამოსცადა წუთისოფლის კარგიც და ცუდიც, ცხოვრებისგან გამოცდილება მიიღო.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სიკვდილისა და მარადისობის საკითხი. პოეტს არ ასვენებს იმაზე ფიქრი, რომ დადგება დრო და აღარ ვიქნებით:

„ექვებმა ჩემი ცაც ჩამოფერთხეს,
მასრჩობენ, სადაც სიტყვის ძარღვი ძევს
და მალვიძარა დარეკავს ერთ დღეს,
დარეკავს, მაგრამ ვერ გაგვალვიძებს“ (36).

თემა, რომელსაც პოეტი ეხება, მუდმივი განსჯის საგანია მწერლობაში, მეტნაკლებად განსხვავებულია ავტორთა დამოკიდებულება. სიკვდილის გარდაუვალობამ, ბუნებრივია, სიცოცხლის საკითხიც წამოსწია და გაააქტიურა ამ ორი ცნების შეპირისპირება, მათ განსხვავებულ წახნაგებზე ორიენტირება; მაგ., სასულიერო მწერლობაში განვითარებული აზრის თანახმად, სიკვდილი „არა გაქრობა და წყვდიადია, არამედ გზაა ღვთისაკენ, ახალი სიცოცხლის დასაწყისი“¹; სხვა თვალთახედვით, სიკვდილის გარდაუვალობის გამო ენიჭება სიცოცხლეს ფასი: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე ჰშვენობს შენითა“ (ვაჟა-ფშაველა) ან „სიცოცხლე... სიკვდილთან შეჩვევაა და მეტი არაფერი. თავიდანვე ამიტომ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე – სიკვდილისთვის რომ მოემზადოს“ (ო. ჭილაძე)² და სხვ.

ნ. ფუტყარაძე სხვაგვარად აღიქვამს პრობლემას; ის თვითონ სიკვდილის არსს უღრმავდება, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ხსნის დაპირისპირებას: სიკვდილი – სიცოცხლე³ და ამის საკომპენსაციოდ შემოაქვს მეტნაკლებად განსხვავებული სახელები: „ნაადრევი სიკვდილი“, ანუ ზოგადად, ნებისმიერი სიკვდილი და „სიკვდილის დაპაუზება“ – იგივე სიცოცხლე. პოეტის პოზიცია ასეთია:

როგორი ცხოვრებაც არ უნდა განვლონ ადამიანებმა („ხანაც სიმძღვრე, ხან შიმშილი, ხან ზამთარია“...), რა ფორმითაც არ უნდა დასრულდეს მათი გზა („გინდ თავგანწირვამ გიმსხვერპლოს

¹ ლ. ხაჭაპურიძე, გარდაცვალების აღმნიშვნელი მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები არსენ ბულმაისიმისძის იამბიკურ სვინაქსარში, *ქართველური მეტყვიდრეობა*, XV, 2011, 302. ავტორს იქვე მოჰყავს შესაბამისი ციტირება („სადა არს, სიკვდილო, სანერტელი შენი, სადა არს წყუდიადი და საშინელება შენი წინანდელი? ამიერთგან სასურველ ხარ შენ მართალთათვის, ვითარცა განუყოფელად ღმრთისა შემაერთებელი...“ – მიცვალებულთა კონდაკი, 11).

² მარტის მამალი, „მერანი“, თბილისი: 1987, 5.

³ შდრ., ფიზიკის ტერმინოლოგიაში მოხსნილია დაპირისპირება: სითბო – სიცივე და არის მხოლოდ სითბო; მაგ., -5° სითბო (და არა სიცივე).

და გინდ მაუზერმა“), „სულ ყველა სიკვდილს – ნაადრევი სიკვდილი ჰქვია, / ხოლო სიცოცხლეს – ამ სიკვდილის დაპაუზება“ (56).

სამყაროს ასეთ განფენილობაში მოიაზრება ადამიანთა ყოფა, რომელსაც არც დასაწყისი უჩანს და არც დასასრული:

„ვერასდროს, ვერაფრით, ვერავინ...
ვინცებით და... ველარ ვსრულდებით!“ (44).

სამწუხაროდ, არც პოლიტიკოსი „სცენარისტების ლაბირინთით მიმოხვეულ“ (56) მსოფლიო ომებს აქვს ბოლო...

განსხვავებულია პოეტის დაკვირვება ადამიანის ცხოვრებისეული გზის არჩევანზე. აქ პარალელის გავლება შეიძლება ჩვენს დიდაქტიკოს მწერალთან – დ. გურამიშვილთან, რომელიც სხვადასხვა პროფესიას ჩამოუთვლის „სწავლის მძებნელს“ და მოუწოდებს, თავისი სურვილის მიხედვით აირჩიოს კონკრეტული გზა საარსებოდ („რომელიც გინდა ირჩიე, / აიღე, ხელი ჰკიდია“); ახალგაზრდა პოეტს ყურადღება გადააქვს, ზოგადად, ადამიანის ზნეობრივ არჩევანზე, რომელიც ყველა მიმართულებაზე მნიშვნელოვანია; მას სწორედ ამ ზნეობრივი მაგალითის მაჩვენებლად ესახება ქრისტე:

„ჩვენ გზებს არ ვირჩევთ და არც ბილიკებს,
ვირჩევთ ამ გზებზე როგორ ვიაროთ,
ეკლის გვირგვინით აგაბილიკეს,
ღმერთო და მაინც ადამიანო“ (24).

ზნეობრივი გზით ცხოვრება დიდი გამოწვევაა, რომელიც ერთეულთა ხვედრია; ცხოვრება მუდამ ბრძოლაა, აქ „ყოველი გოჯი წინამურია“; გაცილებით იოლია პილატეობა – თავის არიდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებისგან, მაგრამ საბოლოოდ ყველას „გოლგოთის ერთი მთა გველის“ (34).

* * *

პოეტი იზიარებს საყოველთაოდ ცნობილ დებულებას, რომ სამყაროში ყველაფერი ცვალებადია. ამ დებულების ნათელსაყოფად ის იძიებს საინტერესო სახე-სიმბოლოს – ეს არის ხე, რომელიც პირობების შესაბამისად განსხვავებულ სახეს იღებს:

„არაფერია უცვლელი, დღეს – ხე, ხვალ – თეთრი ფურცელი,
რომელზეც დაინერება გთხოვ, გაუფრთხილდი ბუნებას“ (9).

ხე ასევე შეიძლება შეშად იქცეს – დანაცრდეს, ან – ფიცრად, რომელიც „ვერ აყვავდება“ (12). პოეტი სამართლიანად ფიქრობს, რომ ამ ცვალებად სამყაროში ყველას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება:

„და უნდა ვკითხოთ, მოვუღერებთ ნაჯახს სანამ ხეს,
თუკი გაამხელს...“ (33)

* * *

პოეტისთვის მიუღებელია უმოქმედობა, როცა კრიტიკულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო; საღი აზრისადმი გულგრილი დამოკიდებულება საბოლოოდ ღირებულებების აღრევას განაპირობებს:

„ხმა ჩაუნყდა მიტინგებს და მამალი აღვიძებს
ქალაქს, რომლის ანწყოსაც დაუბნელდა გონი
და ანკესის ძუაზე, როცა სალი აზრი ძევს,
თევზის ნაცვლად მეთევზეს თუ დაიჭერს მგონი“ (17).

* * *

მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის დროს, როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, უნდა გაიმიჯნოს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოვლენა; ერთია პოეტური ხედვა, რომელიც სინამდვილის მხატვრულ ასახვას წარმოადგენს და მხატვრული ხერხების მრავალფეროვნებით იქმნება (მის ნიმუშებს ქვემოთ წარმოვადგენთ), ხოლო მეორეა პოეტური ხილვა, რომელიც „ხაზგასმულად სადა ტექსტით“ არის წარმოდგენილი და „ირეალური სამყაროს გაცხადებაა, მისადაგებული სინამდვილესთან“, „წამიერი გამონათების დაუნაწევრებადი ერთიანობაა“.¹ სწორედ ასეთად – პოეტური ხილვის მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი სტრიქონები:

„ქარი ტყეებზე ნაღველს დაბარდნის“ (23);
„და ოქრო იწყებს ტაძარში ხარხარს!“ (29);
„ჩამოვშლით თოვლის პირამიდებს პარადიგმებად...“ (11)
„[ფიფქები]... თოვდნენ შენი სიზმრების მიღმაც“ (10)...

ნ. ფუტკარაძის პოეტური სამყარო იწყება გარესამყაროსთან უშუალო შეხებით, მგრძობიარე აღქმით; ამიტომაც მის მხატვრულ მეტყველებაში ხშირად ფიგურირებს თითები, ხელები, თვალები, კანი, თმა, გული... სხეული, როგორც უსაზღვრო ემოციით დატვირთული სახე-სიმბოლოები:

„სხეულზე მინდვრის სურნელი გეცვა, / თვალებში ციდა გერგო იები,
მაგიტომ შურდა ფერგასულ ზეცას, / გთხოვ, მაგ თვალებით ნუ ატირდები“ (62);
„გული ნეკნების ნაპრალზე მიდევს, / მერე პერანგის ლილივით მწყდება“ (14);
„დამრჩა კადრებად მკლავები ნორჩი / და შროშანივით შრიალა ტანი“ (40);
„ლიაა შენი თვალის უჯრები, / მკეცავ და უხმოდ მათში მალაგებ“ (31);
„შვება მიეცი დალილ წამნამებს, / ან დაასვენე თითები შენი“ (71);
„ვალაპარაკით ჩვენი თითები, / სანამ თითები გვალაპარაკებს“ (19);
„წვიმა თითებით ეხება შენს გაშიშვლებულ კისერს“ (82);
„შენს ხავერდოვან კანის მორევში / ჩაყოლას ვარჩევ“ (31);
„ჩემს კანზე წვიმა – მორზეს ანბანით, / სულ ასო-ასო შენს სახელს აწყობს“ (15);
„მსურს ფიფქებივით თმაში ჩაგადნო / შემორჩენილი სუნთქვა და სითბო“ (61);
„გთხოვ, მაგ თბილ ხელებს ნულარ გამიშვებ...“ (62)...

პოეტისთვის სამყარო არის ერთი მთელი, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს; აქ ნორმაა მიწერი და ციური მოვლენების ურთიერთგარდასახვა, შენივთება და მუდმივი დინამიკა, რომელსაც თავიდანვე გასდევს, უმეტესად, ქარის აკომპანემენტი – პოეტის განწყობის მიხედვით ცვალებადი მელოდია:

¹ ბ. ჯორბენაძე, *ბალავარი მწერლობისა*, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987, 24-25.

„ქარი, რომელიც გამოიფიტა, / რომელიც ღამის კუბურში გარიეს,
დაატრიალებს მთვარის ფირფიტას / და გააჟღერებს მგლების არიებს..“ (8);
„როგორც გიტარა – სიმგანყვეტილი, კენესოდა ქარი ზამთრის ბალადას...“ (23);
„ქარი შოლტივით სწვდება ჰორიზონტს“ (45);
„ქარებმა ხარბად წამოსული წვიმა გაფილტრეს...
ქარმა რა იცის, უსაქმურმა, ამბავი წვიმის...“ (65);
„ქარი ჩაუმტვრევს ლავინებს ტანალერებულ ნიფელს“ (82);
„აგორდა ქარი, მკაცრი, უხეში...“ (88)...

ქარისთვის, თითქოს, წინააღმდეგობა არ არსებობს, მაგრამ მას სამყაროს მთავარი მამოძრავებელი ძალა – მზის ენერგია გარდასახავს:

„ქარიშხალს – ქარად, ქარს სიოდ გაქცევს“ (13).

ნ. ფუტყარაძის პოეტური სამყარო მდიდარია გამოსახვის ხერხებით; მკითხველს ემოციურად განაწყობს მათი ჰარმონიული კომბინაციით ამეტყველებული სურათები, რომლებიც რეალურისა და წარმოსახვითის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს; მაგ.:

ეპითეტი:

„დამფრთხალი ღამე“ (71); „მელნისფერი მეტაფორები“ (30); „ნაზამთრალი თითები“ (12); „შრილა წვიმები“ (27); „ფერადი ხმები“ (34); „თვალეზჩამქრალი ღამპიონი“ (88); „მღვრიე ზამთარი“ (57)...

შედარება:

„და ტყდება, როგორც ალგომის მარხვა, / როგორც თებერვლის ქარში ვერხვები,
შენი ლოდინის სქელი ყინული“ (8);
„ცას სისხლი ნასკდა, როგორც ნაისრალს“ (12);
„ცის გუმბათს ღამე დაეკიდა, როგორც ღამურა“ (68);
„და თვალეზივით ღია საღამო, / ვარსკვლავებს ახელს და აფართოებს“ (76);
„მთვარე ჰგავს მუქი, ღამისფერ ფარდის / ლიობებიდან დაღვრილ სინათლეს“ (23);
„ჩამოგარღვიოს პერანგივით სურს ცრემლის ნამცეცს / და გიგალობოს უცხო სევდა, როგორც ნიბლიამ (11);
„წითლად ნეკერჩხლის ფოთლების ვარდნა / ქარს მოაქვს, როგორც ჟღალი ნაწნავი“ (13)...

მეტაფორა:

„მოულოდნელად ისახება მკლავებზე ზეცის / ღამე – ახლახან მიხატული შავი სვირინგი“ (68);
„ძირს ყრია წვიმის ავტოგრაფები“ (14);
„მზე, ჩაუმქრალი ნაკვერჩხალი, ვარდისფრად ღვივის“ (33);
„და მოსაწყვეტად ვინ გაიმეტოს / შენი თვალების ლურჯი ყვავილი“ (40);
„მარტო შექელი განმარტოების / აბლაბუდებში ბევრის გაგება“ (18);
„შენ კი დუმილის ვერ ხსნი ქარაგმებს“ (31);
„ზღვა ცას ასწვდება ვერცხლისფერი, ბასრი ეშვებით“ (68)...

პეიზაჟი, გაპიროვნება:

- „ხეებს სიშიშვლის მოსავს ნალველი, / ცა იხდის შავი ღრუბლების მერქანს...“ (36);
 „ამინდმა ხარბმა, მძიმემ, პირქუშმა... / ზღვა გაიყვანა სანაპიროზე“ (90);
 „მზე წამოედო ელვის მავთულხლართს, / თუ ლაჟვარდებად ჩაექცა ღრუბლებს“ (91);
 „სოფელში მალე წაიგრძელებს ხელებს ბუხარი“ (57)...

ალიტერაცია:

- „შენი შინ უფრო შორია, ხშირია შური შარაზე...“ (9);
 „დაენიე მირაჟებს, / სანამ გაირიჟრაჟებს“ (17);
 „კვლავ მიიღევა ლილიების პრელუდიები,
 მელოდიები იქცევიან მოლოდინებად“ (11);
 „ვერ მავყავილებ... დამტოვე მარტო, / ჩემი ნაპრალი ჩაბარდეს აპრილს“ (18);
 „აგორებს ზეცა სეტყვის კამათელს, / დაობს მიწასთან, უფრო კამათობს“ (10)...

სიტყვის / ფრაზის გადანაცვლება ან გამეორება:

- „ვიღაცას ფიქრში დარჩება თოვლი, / ვიღაცას თოვლში დარჩება ფიქრი,
 უეცრად ფიფქი იღლება თრთოლვით, / უეცრად თრთოლვა იღლება ფიფქით
 და ჭირის აქეთ თუ... ჭირის იქით...“ (10);
 „სულ შეუმჩნევლად მოგწყდი თვალიდან, / სულ ოდნავ დიდი წვიმის წვეთებზე“ (32);
 „გაგახსენდება...
 გამახსენდება...
 გაგახსენდება...
 რაც არ ან ვერ ვთქვით...
 ანუ მიყვარხარ...“ (48)...

კონტრასტი:

- „როგორც უფსკრულთან ფეხის დაცდენა, / გულის გამხეთქად ვარ ბედნიერი!“ (88);
 „თავისუფლება ბორკილებს მადებს“ (14);
 „ამ სიმარტოვის სიმარტივე უფრო მართულებს“ (43);
 „სიცივე მტანჯავს მზეში გახვეულს“ (36);
 „შენ გამარტივდი, მე კი მეძნელე“ (12);
 „ვერ ავიტანე დაბადება თეთრი სიბნელის (69)...

ალუზია:

- „მარტი ხარ, მაგრამ თან არგონავტობ, / მოპარვა გინდა ოქროსფერ თავშლის“ (18);
 „ერთ მერცხალს არ სურს ზამთარს გაექცეს“ (71);
 „დაიმსხვრა შენი სხეულის თიხა / და პოეზიით სცადე რევანში“ (22);
 „ჰგონიათ ერთხელ მოკლეს ილია, / აქ ყველა გოჯი წინამურია“ (24)...

ყოველი მიბრუნება ნ. ფუტკარაძის ლექსებისკენ კიდევ ახალს, აქამდე თითქოს შეუმჩნეველ მხატვრულ სახეს აღმოგვაჩენინებს; ცალკე თემაა პოეტის ფერთა სიმბოლიკა, რომელიც უფრო ღრმა დაკვირვებას საჭიროებს.

* * *

ნ. ფუტკარაძის პოეზიის ენა დახვეწილი სალიტერატურო ქართულია; პოეტი არა მარტო ფლობს ენის მდიდარ ლექსიკას, არამედ შეიგრძნობს თითოეულ სიტყვას მისი შემადგენელი ბგერათკომპლექსების სიმკვეთრითა თუ რბილი ჟღერადობით; პოეტი სწორედ ამ ჟღერადობას აჰყვება, რომელსაც თავის მხატვრულ ხედვას მიუსადაგებს:

„და ცეცხლის ალი ასწლიან ჭადრებს / დუმილის აღთქმას აუტკაცუნებს“ (16);
 „მიყვავარ წყალს და მანყურებს ანწყოს“ (15);
 „ღამე იღვრება, როგორც ნავთობი“ (19);
 „დაღარულ შუბლზე მზე შეგეხება...“ (13)...

პოეტის ენაში პრაგმატული, ემოციურად ნეიტრალური სიტყვებიც კი, მათ შორის სამედიცინო ტერმინები სხვაგვარ დატვირთვას იძენს – პოეტური ქსოვილის შეუცვლელ ნაწილად იქცევა:

„საკონტაქტო ნომრებად ზღვა დატოვებს ნიჟარებს“ (17);
 „სიცივე ავდარს ისე მიება, / ცას გაურთულა მგონი ანგინა“ (34);
 „ჩემი ხაზების ნაბიჯებით მოვდივარ შენსკენ
 და ოცნებების წვეთოვანი მიკვებავს სხეულს“ (87);
 „ვით ბავშვობაში, გადავაბამთ ერთმანეთს ნეკებს
 და გადავყლაპავთ მოგონების ანტიბიოტიკს“ (87)...

შედარებით იშვიათია ჟარგონის გამოყენების შემთხვევები:

„შეშვით სხეულს, სანამ ძარღვებში,
 თევზივით ცდილობს ცურვას ნარკოზი...“ (62);
 „ვერ ვნახე ჩემი წყვილი – სარიტმო,
 ცხოვრების ბოლო სტროფში გავჭედე“ (63).

მხატვრული სახეების კვალდაკვალ, პოეტი ქმნის სალიტერატურო ნორმებისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სიტყვაფორმებს, რომლებიც თავად იქცევიან ბუნებრივ ნორმად პოეტური მეტყველებისათვის:

„ჰო, ქარიშხალო, ქალის სახელის / დარქმევა უფრო გატაიფუნებს“ (13);
 „თითქოს ვფსკერდები, რაც გაგიცანი...“ (12);
 „ცა უფრო მეტად ქუხდება.../ შენში სიმნიფე მკუხდება...“ (9);
 „ან მუტაციას წყლიდან წვიმამდე, / რომელიც ზეცამ აიტაცია...“ (42);
 „შენ ერთი მიგებ სიტყვით დაოსილს...“ (53)...

* * *


ნ. ფუტკარაძის ლექსები გამოირჩევა მუსიკალური ტაქტებისათვის დამახასიათებელი სიმწყობრითა და რიტმულობით, რასაც ქართული ლექსის რითმათა ნაირგვარი არჩევანი განაპირობებს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ძალდაუტანებლად, კალმის ერთი მოსმით ნაწილდება სალექსო სტრიქონებში ჯვარედინ, რკალურ, მოსაზღვრე თუ სხვა ტიპის რითმებად ქცეული მარცვლები, სი-

ტყეები, ფრაზები; ლექსების რითმული ქსოვილის სპეციფიკა ვრცელი მსჯელობის საგანია, ამიტომ აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითის ილუსტრირებით შემოვიფარგლები:

„სამშობლოს ავი ამინდი ჭირხლავს –
იზიდავს ათას სვავსა და ჭილყავს,
...და როგორც ქრისტეს ფეხზე ლურსმანი,
ქართველი მტკივა – იერუსალიმ!“ (45);
„ჩემი აქ ყოფნა უშენობამ რად დაამძიმა,
მსურს მელანივით ამ ძარღვებში სისხლი გამიშრეს,
გთხოვ, ნულარ მეტყვი ამ უღმერთო დროში სამძიმარს
და ნუ ჩამტოვებ დროის გვერდში მყიფე სანიშნედ!“ (73);
„სანამ ქიმერებს შეაბამ, ნახე თუ შეგრჩა კარეტა...
ან შენს კარეტას კარები, გახვალ კანიდან სანამდე,
გარბიხარ შენი არედან, როგორ გიხდება კარე და...
გიყურებ ასე გარედან, თითქოს შენს წასვლას ვმალავდე“ (20);
„ირყეოდა ეშაფოტზე გასასვლელი ფიცარი,
განსაცდელში უფლისათვის მიცემული ფიცავით,
შენში უფრო მე სიცოცხლის შიში ამოვიცანი,
ირყეოდა ეშაფოტზე გასასვლელი ფიცარი...“ (26)...

* * *

დასასრულ, ჩემი სიტყვა ასე მინდა შევაჯამო: ნ. ფუტკარაძის სახით ჩვენს საზოგადოებას ჰყავს შემდგარი პოეტი; იგი განავითარებს კლასიკურ სამწერლობო ტრადიციებს, რომელთაც თავისი განსხვავებული ხედვით ახალ სიცოცხლეს ანიჭებს; ორიგინალურ მხატვრულ სახეთა შერჩევით, დახვეწილი ქართულით და რითმათა მრავალფეროვნებით პოეტი მკითხველისთვის გასაგებ ენაზე ქმნის მგრძნობიარე პოეტურ მელოდიას, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის მის სულიერ სამყაროს – დამაფიქრებელს თავისი პრობლემატიკით, მარადიული თემებითა თუ ღიად დატოვებული კითხვებით.



როსტომ ჩხეიძე


მომხილავ ფერად და სვეულად

(მზია სალგარიძის პროზის აჭარული რკალი)

ჟანრობრივად მრავალგვარი აღმოჩნდებოდა მზია სალგარიძის ბელეტრისტული კრებული „არ გადაგვქართულდა“ („გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2021), ნოველებსაც რომ მოიცავს, მინიატურებსაც და მოთხრობასაც; და ეგებ სჯობდა მისი არქიტექტონიკაც ჟანრების კვალობაზე აგებულიყო.

და თუმცა პერსონაჟთა საკმაოდ კოლორიტული და სახიერი გალერეა უნდა გადაგვშლოდა თვალწინ, კრებული უპირველესად იმ მხრივ მიიქცევდა ყურადღებას. ერთი ნაწილი ამ ბელეტრისტული თხზულებებისა აჭარულ დიალექტზე რომ დაინერებოდა.

იყო დრო, როდესაც არამცთუ დიალექტზე წერა, დიალექტური ლექსიკისა და ფორმების გამოყენებაც იკრძალებოდა ჩვენს ლიტერატურაში, და თვით ვაჟა-ფშაველაც შეირისხებოდა გარდაცვალებიდან სამ ათეულზე მეტი წლის შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ დიალექტზე არც წერდა და იყენებდა მთის დიალექტების ერთგვარ კოინეს (ჰომეროსივით – მაინც ჰომეროსს შესტოლებოდა!) – ფშაურის ელფერით, ისევე როგორც ალექსანდრე ყაზბეგი – ოლონდ იგი მოხეურის ელფერით.



ოფიციალური მოთხოვნა დადგენილი ენობრივი ნორმებიდან ოდნავ გადახვევასაც რომ არ ითმენდა, არ ითვალისწინებდნენ, რომ:

სხვაა საკანცელარიო ენა და სხვა – მხატვრული ენა, და მათი ერთმანეთში არევა გაუმართლებელია!.. სხვადასხვაგვარად უნდა გაიზომოს მხატვრული მეტყველება და ზოგადენობრივი პრობლემატიკა...

და არც იმ გარემოებას ითვალისწინებდნენ, რომ:

მწერალი კი არ ირჩევს ენობრივ მეტყველებას, არამედ ენობრივი მეტყველება ირჩევს მწერალს – იდუმალი პროცესები ამა თუ იმ შემოქმედში ჰპოვებენ მზეზე ამოსვლის საშუალებას.

ასე უნდა ეპოვნა თუშურ დიალექტს თავისი გამოხატულება ეთერ თათარაიძის პოეზიაში, ყველაზე სახიერ, ყველაზე მკვეთრ ნიმუშად სწორედ ეს მონაპოვარი რომ წარმოდგებოდა ქართული პოეზიის დიალექტური ნაკადის გამომხატველადაც და გვირგვინადაც.

დიალექტურ მეტყველებას გამოიყენებდნენ მხატვრულ ხერხად პროზაშიც, თუმცა იქ ეს მცდელობა ერთი-ორი ნიმუშით უნდა შემოფარგულიყო.

და აი მზია საღვარიძეს უნდა მოენდომებინა ამ მხრივ მიზანმიმართული გარჯა და ასე ხელშესახებად გამორჩეულიყო მის კრებულში ეს რკალი – „ნენიკული“, „დედისყული“, „სასელა“, „ხოჯა“, „ოშკის ხორუმი“, „დედამთილი“, „ბედის დაყვილება“ და „არ გადაგვქართულდა!“ – როგორც წარმატებული გადმოტანა მხატვრულ ქსოვილში აჭარული დიალექტური მეტყველებისა.

წინათქმაში ავტორი გაიხსენებდა კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრებას:

დიალექტი ენის სიმდიდრეაო. და თუმც „მთვარის მოტაცების“ შემოქმედი გულისხმობდა ლექსიკას და არა ფორმებსა თუ სინტაქსურ მიმოხვრებს, მზია საღვარიძე განაზოგადებდა ამ მოსაზრებას და საძირკვლად დაუდებდა თავის მხატვრულ მცდელობას იმ პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით, რაც მართლაც რომ მოეთხოვება ამ გზაზე შემდგარ მწერალს.

და ამ სიფრთხილისა და პასუხისმგებლობის ნაყოფია ის შეხედულება:

– დიალექტურ ნაწარმოებებზე მუშაობისას უმნიშვნელოვანესია სალიტერატურო და სალამპარაკო ენებს შორის ოქროს შუალედის მიგნება.

რასაც გზამკვლევადა გაიხდიდა და...

რეალობადაც აქცევდა.

და კიდევ:

„არ გადაგვქართულდა“ საკმაოდ ნოყიერი მასალაა კრიტიკოსთათვისაც და ლინგვისტიკისთვისაც, მათ რომ უნდა დაადასტურონ ის ჭეშმარიტება, ენა – თავისი მრავალი შრითა და განზომილებით – სხვადასხვა ნაკადის წყალობით რომ ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას; და ამ ნაკადთა შორის თვალსაჩინო უნდა იყოს ზეგავლენა დიალექტებისა, სულაც ცალკე მოვლენად რომ უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ლიტერატურაში დიალექტური პოეზიაც და პროზაც, ისევე როგორც თუნდ ფრანგულ და იტალიურ მწერლობაში გათვალსაჩინოებულა და მხოლოდ აფართოებს ეს მიმდინარეობანი ჩვენს წარმოდგენას ლიტერატურის მთლიან მდინარებაზე.

და ამ გამრავალფეროვნების გზაზე უდავოდ საგულისხმო მოვლენაა მზია საღვარიძის „არ გადაგვქართულდა“ – ხელშესახები ძიება ოქროს შუალედის მისაგნებად, როგორც მომხილავი ფერი და ხვეული ათასგვარად აელვარებულ ფარდაგზე.



შორენა პახუჭაძე


ლექსალ გარდაქმნილი საქართველოს უახლესი ისტორია

(ვახტანგ ლლონის „ფეისბუქნამოკრულები“)

„დამალა ყოველდღიური
„ნამოკრულები“ სერიამ;
ამ თახსირების შემყურე
ლექსი ვერ დამინერია“.

ვახტანგ ლლონი

ვახტანგ ლლონის „ნამოკრულებს“ ფეისბუქით ხშირად ვეცნობოდი, მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ერთ ნიგნად შეკრულმა ამ ციკლის ლექსებმა. ეს გახლავთ საქართველოს უახლესი პერიოდის მოკლე, მართალი პოეტური ისტორია: ალაგ – კლდიაშვილ-დუმბაძისეული „ცრემლიანი სიცილით“, უფრო ხშირად კი, ილიას სატირული სიმძაფრით აღწერილ-დახატული. მართალია, ავტორი თავმდაბლად აცხადებს, რომ ეს მსუბუქი თავშესაქცევი და ფლირტი იყო პოეტურ მუზასთან, საკუთარი პოეზიის „უკანონო შვილებსაც“ უწოდებს ამ ციკლში შესულ ლექსებს [ვახტანგ ლლონი, „ციკლიდან „ნამოკრულები“, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2017; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს], მაგრამ, ჯერ ერთი, სამოქალაქო ლირიკა „მსუბუქ-თავშესაქცევი“ ვერაფრით ვერ იქნება, თუნდაც ის ირონიულ-პაროდიული სტილით იყოს შექმნილი; და მეორე, ვახტანგ ლლონის „ნამოკრულებში“ ჩვენი დღევანდელობის იმდენი აქტუალური საკითხია ნამოჭრილი, იმდენი საჭირობოროტო პრობლემაა თავჩენილი, იმდენი ტკივილიანი და პასუხგაუცემელი კითხვაა დასმული, რომ კრებულის მკითხველს ბოლოს აღარც ემსუბუქება, აღარც ელიმება და პოეტთან ერთად მხოლოდ იმაზე დარდობს: „თუ ნიშნავს თავისუფლება – არაქართველიზაციას“ (!?)



ვახტანგ ლლონის „ნამოკრულები“ სამოქალაქო ლირიკის გამორჩეული ნიმუშებია, რომლებშიც ქვეყნის ღირსეული მოქალაქის, მოუსყიდველი ერისშვილის ქვესკნელთ უღრმესი სანუხარია გადმოცემული, სწორედაც რომ შესაფერისი ფორმით – მწარე თვითირონიით, რადგან იმისი აქტიური თუ პასიური მონაწილე, რაც საქართველოში ხდება, თითოეული ჩვენგანია, მათ შორის, – თავად ავტორიც. ჩვენ ხელი ვერ შევუშალეთ, ძირშივე ვერ აღვკვეთეთ ბევრი უმსგავსობა, ვერ მოვუარეთ, ვერ ვუპატრონეთ იმას, რაც ასეთი წვითა და დაგვით, ამდენი სისხლისა და ოფლის ფასად 21-ე საუკუნემდე მოვიდა: ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ხალხს, ჩვენს კულტურასა და ენას, ჩვენს დიდ ტრადიციებს. ყველაფერი ეს ჩვენივე ბედოვლათობის, ჩვენივე „თეიმურაზობის“ გამო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას და ეს პოეტის მიერ ჰიპერბოლის გამოყენების შემთხვევა არაა, რადგან: „ბათუმი ხდება „ტურცია“, ქართველობა კი ჭურშია“ (14).

ირონიულ-პაროდიული ნაკადი ქართულ პოეზიაში განსაკუთრებით მძაფრად გამოვლინდა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ პერიოდშივე გამოიკვეთა კრიტიციზმიც. ეს ორი მიმართულება მჭიდროდ დაუკავშირდა და გადაენნა ერთმანეთს. გავიხსენოთ მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, ვახტანგ ჯავახიძის, ტარიელ ჭანტურიას ირონიულ-პაროდიული მიმართულების დიდებული პოეზია. მათ მსგავსად, ვახტანგ ლლონტმაც იუმორითა და სატირით ემოცია ინტელექტს დაუკავშირა და იგი თანამედროვეობის მახვილი კრიტიკული თვალთ ალსაქმელად და დასახატავად გამოიყენა. ირონია ხომ: „როგორც ერთგვარი ამოსავალი იმისგან, რასაც ცხოვრების აბსურდულობა ჰქვია, აძლებინებს ადამიანს სიცოცხლეში თუ სიკვდილის პირისპირ – ბრძოლაში, გარჯაში, პრაგმატულ ყოფაში თუ შემოქმედებითი წვის ჟამს“ (ცხადაია, 2008:109).

ირონიის მეშვეობით, რომელიც ხშირად ტრაგიფარსში გადადის, ვახტანგ ლლონტმა ცხადყო საქართველოში არსებული წინააღმდეგობები, აბსურდამდე მისული „პოლიტიკომანია“ – პოეტების ქვეყანა პოლიტიკოსების ქვეყნად იქცა, რა თქმა უნდა, ამან ვერ უშველა „გამოღვიძებულ ვულკანზე“ (38) მდგომ ქვეყანას: „არ დაბრუნდა დარუბანდი, დაგვრჩა შორით ნიკოფსიაც“ (55). ეგაა ოლონდ, მომრავლდნენ: „პოლიტმეძავები“, „პოლიტფლირტები“, „პოლიტპრობტოლოგები“ (137), „პოლიტბროკერები“ (177), „პოლიტმთხლეები“ (178), ურთიერთობის ნორმად იქცა „პოლიტნანლა-ვიც“ (104); ამათ გამოა, რომ არასოდეს გვქონია ერთიანი აზრი, ერთმანეთის ლანძღვა-გინებაც მათგან ვისწავლეთ, მართალია, „ვართ წარმოშობით სამოთხიდან, მაგრამ ვცხოვრობთ მუდამ სანა-გვეში“ (109), დავრჩით ასე „ზნეარეულ და ვერშემდგარ ტყესახელმწიფოდ“ (150).

პოსტმოდერნისტული „ეპისტემოლოგიური დაეჭვების“ ეპოქა თავისთავად უბიძგებს ვახტანგ ლლონტს სამყაროს ირონიული აღქმისკენ, სამყაროსი, რომელშიც ინფორმაცია ყველაზე ძვირფასი საქონელია, რომელშიც ყველა და ყველაფერი პაროდირებულია და იყიდება, მათ შორის, სამშობლოცა და მისი ტრადიციებიც.

როგორც ვთქვით, ვახტანგ ლლონტის პოეზიაში ძალუმად იგრძნობა ეპოქის სუნთქვა. თანამედროვე საქართველო ბევრ მწარე საფიქრალს აღუძრავს პოეტს. უპირველესი და მთავარი უბედურება ჩვენი ქვეყნისთვის მუდამ იყო და არის შინაური მტერი. „შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული დაგვებდა გულხარბი, გაუმადლარი, ძალაუფლებისთვის ყველაზე ბინძური ხერხებით მებრძოლი, სამშობლოსა და რწმენის მოღალატე ვარსქენ პიტიახშების სიმრავლე. ახალ ეპოქებში, ახალი პატრონების ხელში მათ სახელი, ფერი და ნიღბები შეიცვალეს, თორემ სული ისევ თახსირი და გახრწნილი დარჩათ, ამიტომაც იცავს პოეტი „თავმოუბმელ“ სამშობლოს სწორედ ამ „გრანტებზე და ბანტებზე, ორდენებზე და მედლებზე“ (56) გაყიდული „შინაგარეწრებისგან“, რომელთაგან „ვინ ბუშის ნაბუშარია, ვის – რუსი აძლევს უკაზებს“ (39). ასე იყო და ასეა: „მომხვედურ მტერს, მუდამ დამხვედური მტერი ჭარბობს!“ (36)

ვახტანგ ლლონტის „წამოკრულელებში“ ზუსტადაა ნაჩვენები იმ უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანის მუშაობა, რომლის სათავეში ქართული ტელევიზიები არიან, მათი მიზანმიმართული პოლიტიკა ცრუდასავლური, ცრუევროპული „ღირებულებების“ დანერგვას ემსახურება: საზოგადოების ნაწილიც „ტელენახირად“ იქცა:

„რაც ტელენახის რქები დაგვადგეს,
უკადრებელის მიდის კადრება;
ისე კრიახობს ტელე-საქათმეც,
მამლის ყივილი მოგენატრება“ (95).

ტრადიციული ფასეულობების, რაც რუსთაველის სამშობლოში ზოგადადამიანური ღირებულებების ტოლფასია, ცინიკურად ფეხქვეშ გათელვა, რეტროგრადად გამოცხადება ყველა იმ ადამიან-

ნისა, ვინც მათ პოზიციას არ გაიზიარებს, ნიჰილიზმის დანერგვა ახალგაზრდებში, მათი მანქურთვად ქცევა, პოეტისაც არ იყოს, „ვეფხისტყაოსნის“ „კეთილშობილ“, ვაჟკაც, მებრძოლ ქაჯებსაც კი მოგანატრებს:

„სიძვა – ნორმად, მიჯნურობა
გადახრად თუ დამიდგინდა;
ქაჯიც, რუსთველისა მიჯობს,
ამ ქაჯებთან მე რა მინდა?!“ (97)

კითხულობ ამ მართლა „სისხლის ცრემლებით“ ნაწერ სტრიქონებს და შენც გეცოდება თანამედროვე გადაგვარებული ქაჯების ხელში ჩავარდნილი სამშობლოც, საკუთარი თავიც, შენც სვამ წყველაკრულვიან კითხვებს – მაინც „სანამდე უნდა გაგრძელდეს / ქართველთა გამოლენჩება“?! (152), რადგან, პოეტის მსგავსად, შენც არ გჭირდება სხვა ნოდება „ქართველობის გარდა“ (119), შენც გეცოდება გასაფრენად გამზადებული, თუმცა უფსკრულის პირას მდგარი ერი (120) და მაინც იმედს იტოვებ, რომ დადგება დრო, როცა საქართველოში „საძრახისი აღარ იქნება ქართულად ფიქრი“ (154), როცა „ქართველობაში ეჭვმიტანილს“ (157) საბრალდებო სკამზე არ დასვამენ.

არც თანამედროვე ქართული საზოგადოების მორალური სახეა პოეტისთვის მოსაწონი: ის კორუფციაში, ბიუროკრატიზმში, თვითკმაყოფილებაში, ფარისევლობაშია ჩაფლული, მხოლოდ საკუთარი გამორჩენისათვის ცხოვრობენ მედროვე სნობები: „გამოიცვალა ქართველი... ვაი რომ, გამოიცვალა“ (38).

ვახტანგ ლლონტის სატირული კალამი მიმართულია მათ წინააღმდეგ, ვინც რაღაც მანქანებით სხვის ადგილს იკავენს, ჯიუტად მიძვრება ზემოთ და სიკეთის მაგივრად ბოროტებას თესავს: „პატარა კაცი ზევით მიძვრება“ (9), ხოლო „მუდამ სხვის სკამზე მჯდომი ნაძმობი“ ავად და ცერად უყურებს პოეტს (26).

ვახტანგ ლლონტი დაუნდობელი სარკაზმით საუბრობს მათ შესახებ, ვინც ცდილობს საზოგადოება მოატყუოს, შავი თეთრად შეასალოს, უზნეობა – ზნეობად, ბოროტება – სიკეთედ: ზნეობრივ ფასეულობათა აღრევას ხომ ქვეყნისთვის უბედურების მეტი არაფერი მოაქვს.

პოეტის სატირული კალამი განსაკუთრებულ სიმახვილეს იძენს, როცა კიცხავს იმათ, რომლებიც ყველაფერ უცხოურს ბრმად სცემენ თაყვანს, მშობლიურ ხალხს, ენასა და კულტურას კი ნიჰილისტურად, ზემოდან დასცქერიან, „უცხოური ნახერხით გამოტენილ ტიკინებს“ (56), „ვინც ამჯობინა მშობლიურს უცხო ენაზე სისინი“ (129). მათ ხელში ჩავარდნილი საქართველო კი უფრო და უფრო ემსგავსება ავგიას თავლას და ვახტანგ ლლონტიც ლექსების ამ ციკლისთვის ჩვეული ირონიულ-პაროდიული აქცენტით სვამს კითხვას:

„რა ეკითხება საბას და
რა ეკითხება რუსთაველს...
ჰე, რომელი ხართ ჰერაკლე,
თავლას ვინ დაასუფთავენ?!“ (142)

სხვათა შორის, ერთ-ერთ ლექსში ვახტანგ ლლონტი ახასიათებს თანამედროვე ქართულ სამოქალაქო ლირიკას, რომელსაც აღარც „მამაო ჩვენო“ შერჩენია, „ოსანიო“ ეშმაკებს უხმობს, 30 ვერცხლად იყიდება და კაცური სინდის-ნამუსიც დაუკარგავს (79-80), მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არიან ჩვენს დალოცვილ მიწაზე ნამდვილი გულშემატკივრები თავისი ქვეყნისა, ერისა. მათი პოეზიაც ილიასა და აკაკის სატირული სამოქალაქო ლირიკის მემკვიდრეა, ისინი ბასრი სიტყვით ებრძვიან შინაურსა თუ გარეულ მტერს, ცდილობენ, ხალხს სიმართლე დაანახონ, ყურნაგდებულო-

ბით, უჭკუობით, უილაჯობითა და უპასუხისმგებლობით „ნაგებული“ (83) სამშობლო დაიბრუნონ, რათა საქართველო „ნასაქართველოვარად“ (84) არ იქცეს. მსგავსი მძლავრი პატრიოტული მუხტის მქონე, აქტიური, მებრძოლი და შემტევი სამოქალაქო ლირიკის საუკეთესო ნიმუშებია ვახტანგ ლლონტის „ნამოკრულები“.

კრიტიკოსი ზაზა გოგია ტარიელ ჭანტურიას ირონიულ-პაროდიულ ლექსებს ასე ახასიათებს: „დროის კულტთან განხეთქილების მატარებელი, სახეობრივი ეფექტებისა და მანუგეშებელი ილუზიებისაგან თავისუფალი, მორჩილების ვალდებულების არმცნობი, ბენვის ხიდზე მოარული, ნახევარტონებით, ირონიით, თვითირონიითა და გროტესკით გაჯერებული ლექსი-ბრალდება“ (გოგია, 2009:35) – ვფიქრობ, ეს დახასიათება ზუსტად შეესაბამება ვახტანგ ლლონტის „ნამოკრულებსაც“, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ქართული სამოქალაქო ლირიკის კრიტიკული ტრადიცია 21-ე საუკუნეშიც წარმატებით გრძელდება.

„ნამოკრულების“ ენა და სტილი გამოირჩევა სასაუბრო მეტყველებით, არადეკლარაციული თხრობითი კილოთი. როგორც ვნახეთ, მას ახასიათებს ემოციური და მებრძოლი ინტონაცია, პოეტური ფრაზის მოქნილობა, სიტყვის ეფექტურობა და რითმის დინამიკურობა. რიტმიც, რითმაცა და ინტონაციაც მთლიანად ემორჩილება ლექსის აზრობრივ დატვირთვას.

პოეტურ ფრაზას უფრო მეტ გამომსახველობას ანიჭებს და ირონიას ამძაფრებს საკმაოდ მრავალფეროვანი ტროპული მეტყველება: შედარებები: „გადასაგდები ნივთივით ნაგვის ურნასთან მიდგმულ“ (16), „არასამთავრობოები – ბიჭები და გოგოები, მრავლდებიან, როგორც ტყეში, ნაწვიმარზე სოკოები“ (22); „როგორც ჯიხვი დასალუბად / მიდგომია ქარაფს ერი.../გადახტა და ველარ დახტა, / დარჩა ასე, – განაფრენი...“ (120); ეპითეტები: „კასტა მკვებარა“ (37), „თავმოუბმელი ქვეყანა“ (44); მეტაფორები: „სადამდე უნდა გვეძინოს გამოღვიძებულ ვულკანზე?!“ (39), „უცახცახებს ტანფესვი საქართველოს დედახეს“ (56) და სხვა.

ასე რომ, უშუალობა, გულწრფელობა, ემოციათა სიმძაფრე, კრიტიკული აზრისა და განსჯის პათოსი, მძაფრი ირონია და ყოველივე ყალბის, მოჩვენებითის, არაქართულისა და არასახელმწიფოებრივის მიუღებლობა ახასიათებს ვახტანგ ლლონტის „ნამოკრულების“ ციკლს. მასში შეგძრავთ უსაზღვრო ნუხილი თანამედროვე ქართული საზოგადოების უკუღმართობათა გამო, იმის გამო, რაც მტერს ახარებს, ხოლო მოყვარეს სასონარკვეთაში აგდებს. „ნამოკრულები“ მკითხველისთვის ცივი შხაპივითაა: ერთდროულად კიდევ აფხიზლებს და თვითრეფლექსიისთვისაც განაწყობს. ეს ლექსები გვიჩვენებს, როგორ შევხედოთ გარკვეული დისტანციიდან, თვითირონიით საკუთარ თავს, საკუთარ ხალხს, საკუთარ ქვეყანას და დავინახოთ ნაკლი თუ ღირსება. საქართველოს სატიკვარით შეწუხებული მამულიშვილის შფოთიანი განწყობილება გადადის მკითხველზე და მასაც არ აძლევს მოსვენებას – ეს უკვე პოეტის გამარჯვებაა, რადგან იმასთან, რაც ხდება, ქართველების შეგუება, მათი გულარხეინობა, უდარდელობა, თვითკონტროლის დაკარგვა ქვეყნის დაღუპვის, ეროვნული ინტერესების ღალატის ტოლფასია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგია ზაზა, დროში აცდენილი სივრცე, იხ. ჟ. „კრიტიკა“ №4, 2009, გვ. 32-37;
2. ლლონტი ვახტანგ, „ციკლიდან „ნამოკრულები“, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2017; იხ. <https://www.facebook.com/vaxtang.glonti>.
3. ცხადაია ზოია, ქართული პოეზიის ირონიულ-პაროდიული შენაკადი, იხ. ჟ. „ლიტერატურული ძიებანი“, №29, 2008, გვ. 109-113.

ნოთელ ნიგნვი პესაჰანი სიყვარული

(სულხან ნულუკიძის „ნოთელი ნიგნი“)

„და ახლა ისლა მეფიქრება როგორ ვცდილობდი, ყველა ტაეპი კრიტიკოსთა კილვას შემება, თავს კი ვიმშვიდებ ერთადერთი ზუსტი პირობით, რომ სიყვარულზე ცუდი ლექსი არ იწერება“.

სულხან ნულუკიძე


შეუძლებელია არ დაეთანხმო პოეტს: „სიყვარულზე ცუდი ლექსი არ იწერება“ [ნულუკიძე სულხან, „ნოთელი ნიგნი“, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2020; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამომცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს]. არც შეიძლება დაინეროს, რადგან სწორედ სიყვარულია პოეზიის პირველმიზეზი. ამ მარადძველი და მარადახალი გრძნობის იდუმალი ძალა, მისი მოულოდნელობითა და მშვენიერებით გაოცება, სულიერი თრთოლვა, ემოციათა ფიქრებზე აღებინებს ხელში ადამიანს კალამს, უბიძგებს თავისი ემოცია ფერად, მელოდიურ სიტყვებში მოაქციოს, სხვასაც გაუზიაროს ის განსაკუთრებული ამაღლებული მდგომარეობა სულისა, რომელსაც სხვა არაფერი შეედრება, რომელიც თითქოს თავიდან აღმოგაჩინებს სამყაროს, სხვა თვალთ შეგახედებს ნაცნობი საგნებისთვის, ფრთებს გასხამს, გაგრძნობინებს მოზღვავებულ ენერგიას, ხან გამხიარულებს, ხან უმიზეზოდ გასევდიანებს, ხან გაფორიაქებს, ხან ვნების ქარიშხალს დაატრიალებს, ხან კი ლაჟვარდით დაინმინდება. ნამდვილი პოეტიც სიყვარულის ღმერთის ქურუმი უნდა იყოს, ასე თვლიდა ქართული პოეზიის მეტრიც:

„ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშოკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“ (რუსთაველი, 1951:5).

ასე „ენამუსიკობს“ მიჯნურისა და მიჯნურობის სახელით პოეტთა ახალი თაობის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელი სულხან ნულუკიძე, რომლის პოეზიაც კიდევე ერთხელ გვარწმუნებს, რომ პოსტმოდერნისტული ნიჰილიზმის ეპოქას ნელ-ნელა ცვლის ე. წ. „პრაგმატული რომანტიზმის“ ხანა.

უპირველესად, დაგაფიქრებთ კრებულის სათაური – „ნოთელი ნიგნი“, რადგან ამ ნიგნში იმაზეა საუბარი, რაც ჩვენს საუკუნეში, მართლაც, „ნოთელ ნიგნში“ შესატანად იქცა: უანგარო, თვითმენი-რულ სიყვარულზე, ნაღდ, წრფელ გრძნობებზე, რომლებსაც ვერ იყიდი, ვერაფერში გაცვლი, ვერ გამოიწერ ინტერნეტით. საქმე ისაა, რომ „რწმენა შეიცვალა ხალხმა, აფროდიტა, / ახლა თავის ღმერთად არვინ გალიარებს“ (12). ამქვეყნიური სიყვარულის ღმერთებმა უგულო, ემოციებს მოკლებულ სინამდვილეს, რობოტებად ქცეულ ადამიანებს ვერ გაუძლეს და ისევ მითებს შეაფარეს თავი: აღარ დაჰქრიან თეთრი რაშებით პოეტების სულში.

სულხან ნულუკიძის პოეტური კრებულის სათაურმა კიდევე ერთი ასოციაცია გამოიწვია: ფამუქის ცნობილი ნიგნი – „მე ნოთელი მქვია“ – გამახსენა. ამ პოსტმოდერნისტულ რომანშიც ხომ იმაზეა საუბარი, რაც გაქრობის პირასაა, რაც ყველაზე ძვირფასია, ყველაზე შენეულია, ტრადიციული და



მარადუკვდავია. ასეა სიყვარულიც. მის გარეშე ძნელია ადამიანად დარჩენაც და გადარჩენაც. ამ პათოსითაა სავსე „წითელი წიგნი“ – ერთთემიანი კრებული ლექსებისა.

პირველივე სტროფით იხატება ფეერიული პორტრეტი საოცნებო ქალისა, რომლის გარეშეც ძნელია იოცნებო, ისუნთქო, ურომლისოდაც ზაფხულის ხვატშიც კი გაითოშები:

„ვარდის სამოსელში შუქთა აფეთქებით ჩანდი,
 მოშორებით მეტრით ოციოდე,
 იყო იენისი და დუღდნენ საფეთქლები,
 მაგრამ შენ ხვდებოდი მხოლოდ რომ მციოდა“ (5).

როდესაც მარტოობა „გაერთიმება“ პოეტს, მის სულშიც სევდა ისადგურებს, გაუსაძლისი მონატრების გრძნობა ეუფლება, სატრფოს სილუეტი ელანდება, რომელიც შეურაცხყოფილი სინმინდისა და მშვენიერების სიმბოლოდ ქცეულ მარიტას აგონებს:

„სადღაც შორიახლოს შენი ლანდებია,
 დგანან ნატვრის ხესთან უცხო გარინდებით,
 დგანან და ვუყურებ როგორ ქალდებიან,
 ახალფეხადგმული ბავშვი მარიტები“ (6).

პოეტისათვის რთულია იმ ადამიანის გარეშე დარჩენა, რომელიც ლექსისთვისაც არ ემეტება (7), ის მძაფრად გამოხატავს სატრფოსთან სამუდამოდ განშორებით გამონვეულ მწუხარებას. ესაა ობლობის, მარტოობის, უსასოობის, სასონარკვეთის განცდა, უსაშველო ტკივილი და ცრემლი იმის გამო, რომ საყვარელი ადამიანი მასთან აღარ არის, ამ დროს ის ანთეოსივით წყდება მინას, უსუსურად გრძნობს თავს:

„ველარ ვაგორებ დედამინას ხელის გულზეზე,
 დავრჩი მცირე და სიმცირეზე უფრო მარტივი“ (9).

უფრო მეტი, ის ველარ ოცნებობს გაზაფხულებზე, ზამთრის მომლოდინე – შემოდგომის ტყვეა, მარტოობის სიცივეს სხეულისა და სულის ყველა უჯრედში შეუღწევია, ამიტომაც ასე ძლიერია მიუსაფრობის განცდა:

„შემოდგომაა, ქარებს სუსტად მოაქვთ გუგუნნი,
 დრო მეღვეა და თითქოს მძევლად ვირჩენ ნოემბერს,
 არადა ბაღში ფორთოხლების ჩუმი სლუკუნნი,
 ოდესღაც ძლიერს ტრაგედიის გმირად მტოვებენ“ (9).

საყვარელ ადამიანს ატანს პოეტი საკუთარი არსების უდიდეს ნაწილს, თავად კი იტოვებს „სუნთქვების მინიმუმს“ (10), სატრფოს გარეშე ისიც „უნიათო ღიმილივით გაყინა დრომ“ (16). მიუხედავად იმისა, რომ იცის: სატრფო არ მოვა, მაინც ათასი ცელქი ნოტივით რთავს ოთახს: „და ასჯერ დაკრულს ათასჯერ ვუკრავ, / წარსულიდან რომ მომავლად გიგრძნო“ (24).

მარტოობა გაუსაძლისია, რადგან მხოლოდ სიყვარულით შთაგონებულს შეუძლია სუნთქვა, არსებობა, ღვთისა და პოეზიის შეგრძნება:

„უსაშველოა უშენობის წვიმით ნაზავი,
 ქარი, რომელიც შემოდგომას სიზმრებს უფლითავს,

მე ყოველ დილით ვიღვიძებ და გეძებ ბრმასავით,
რადგანაც პირჯვარს ვინერ მხოლოდ შენი შუბლიდან“ („უსაშველოა“, 52).

ამ ღმერთქალს ეძღვნება პოეტის ყველა სტრიქონი, მისი რითმიანი ლექსიცა და ვერლიბრიც, მისი პეპლებით სავსე ჰერბარიუმის მსგავსი პოეტური კრებული (56).

პოეტი გრძნობს, რომ თანდათან იძირება სანტიმენტალიზმის მორევში, ტკბილ-მწარე მოგონებები საშველს აღარ აძლევს, ისინი ერთმანეთში ირევიან და მონატრების დაუძლეველი გრძნობა დასასრულისაკენ მიაქანებს:

„გრძნობ? მეტისმეტად მივეკედლე სენტიმენტალიზმს,
წლები კი ქარში ღრუბლებივით დაფრთხნენ, აიმღვრნენ
და ვხვდები ახლა კალამია მძიმე მეტალი,
რომელსაც შუბლთან მივიღებ და ვისვრი!“ („შენთვის... მაპატიე!“, 63)

მონატრებული სატრფო ლექსის ლირიკულ გმირთან სიზმრად მოდის „პანანინა, ბროლის თითება, ზეცისთვალეა, მზისყვავილა და კანხორბალა“ ცელქ ბავშვად (65), მისი დაკარგვა „ცრემლად და მოგონებად“ ჩამოღვენთავს (69), თუმცა იმედდაკარგულს არც ის ავინყდება, რომ „ფარსია ცრემლში სიყვარულის სევდის ჩატევა“ (70).

სულ სხვაგვარია სულხან ნულუკიძისეული გამარჯვებული სიყვარულის დღესასწაულის აღქმა: „არხოტის მკერდზე ჩაძინებული სიზმრის სადარი“, მომღიმარი ღვთისმშობლის მსგავსი მშვენიერება – „მკლავზე დანვინილ შვილთან ერთად რომ იტევს სამყაროს“, ცაზე ოქროსფერ ფარშევანგივით გადამლილი მზე სულში ლოცვად და სიმღერად ჩაეფინება, მასთან ერთად გათენებული ყველა დილა კი „კურთხეულ დღესასწაულად“ აღიქმება („არხოტის მკერდზე“, 11), ასეთი სატრფო მოველინება პოეტს, რათა მასში ყველა სხვა ღვთაება გადაჩრდილოს (46).

ამ ღვთაებრივი სიყვარულის შვილია „ცხრა ანგელოზის ნაოცნებარი“ ლილე; ქალ-ვაჟის სიყვარულს გვირგვინად ედგმება ეს „პატარა ონავარი“, რომელიც მამას მუხლებზე „ხალივით აზის“ და უკვდავყოფს იმ საოცარ გრძნობას, სიყვარული რომ ჰქვია („ლილე-ს“, 44).

მაგრამ სიყვარული სხვადასხვაგვარია: „ვეფხისტყაოსანში“ მეგობრულ სიყვარულს მოყვრობა ჰქვია: ძირი ერთი აქვთ: „ყვარება“, ამიტომაცაა ასეთი სიყვარული არანაკლებ მძაფრი განცდა, მასაც სჩვევია მონატრების გრძნობა:

„სად ხარ ახლა?
ლექსით ავსებ,
ბედისწერის რომელ ღრიჭოს,
ქალის ცელქი ლიმილივით
მომანატრე თავი ბიჭო“ („ალბათ“, 35).

მოყვარეა პოეტის სულის თანაზიარი, იდუმალი ფიქრების მენილე, ალალი და სანდო, ვინც ყველაზე უკეთ შეიგრძნობს მისი მარტოობის სიმწარეს, სიგიჟეს იმ „ქალაქში, სადაც ყველაფერი პოეზიაა“, „სანახევროდ შეუმოსავი“ სულის ვნებათღელვას, არ გაკიცხავს, არ დაამუნათებს, უსიტყვოდ გაუგებს და დაეხმარება:

„ვეფთქავ ამგვარად – საკუთარი თავის მეკობრე,
უცხოოდ გაფანტულ სამყაროში, უცხოოდ, ზოგადი,
და მეშინია რომ ეშმაკიც დავიმეგობრე,
რადგან უღმერთოდ მენატრები, რაც კი დრო გადის“ („წერილი როის“, 27).

ამიტომ პოეტი საკუთარივით განიცდის მეგობრის „ვერგანცდილი ბავშვობის“ დარდს, მასთან ერთად ცდილობს „სულზე აიფაროს ფოთლების დასტა“, თავი დააღწიოს ზოგჯერ საპატიმროდ ქცეულ დედამიწას:

„მოგონილია დედამიწის სიმრგვალე ჩვენთვის,
რომ არ გავიქცეთ რომელიღაც კუთხიდან ჯიმა“ („აქ, ამ ქალაქში“, 60).

სულხან ნულუკიძისთვის პოეზია:

„უფლისგან მონიჭებული ძალა თუ წყევლა“ (60),
ის „არის რენტგენი,
სხეულში – ლექსად – გამომწყვდეულ
სულს რომ აშუქებს...“ („პოეზია – კი ...“, 32)


პოეზია ჯვარზე გაკრული ღმერთია (33), ის ღვთიური ნამცეცები, უფალი რომ კალთიდან დაიფერთხავს და ღვთის რჩეულნი აკენკავენ („ალბათ“, 35), ღმერთი კი სიყვარულია და მის მიერ გადმოყრილი ნამცეცებიც ამ სიყვარულზე გვესაუბრებიან. სულხან ნულუკიძეც ის პოეტი, რომელიც მადლიერებით კრეფს ღვთიურ ნამცეცებს და ყველაზე ინტიმურ განცდებს უშუალოდ, ბუნებრივად, გულწრფელად გადმოგვცემს, გვიყვება იმ ბედნიერების შესახებ, რომელიც უკვე სათავისოდ ეგულება, თუმცა ხშირად მოუხელთებელია, ხელიდან უსხლტება და ტკივილსა და სევდას უტოვებს მხოლოდ. პოეტის გრძნობა თუ ფიქრი გამობატულია ნატიფად, ფაქიზად, ყოველგვარი პათეტიკურობის გარეშე, ქალისადმი თაყვანისცემა, მოწონება და, იმავდროულად, ვნება გამოსტვივის სულხან ნულუკიძის სატრფიალო ლირიკაში, და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მკითხველის თანაგანცდას იწვევს.

აქსიომაა: სიყვარულზე წერა ძალიან რთულიცაა და იოლიც. რთულია, რადგან თითქოს აღარაფერი დარჩა სათქმელი: რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟას, გალაკტიონისა და სხვათა და სხვათა შემდეგ რა და როგორ უნდა თქვა სიყვარულზე ისე, რომ მკითხველის გულამდე თუ არა, ყურამდე მაინც მივიდეს; იოლია, რადგან ყველა ადამიანს განსაკუთრებულად, მხოლოდ მისებურად უყვარს, ყველას გრძნობა განსხვავდება ერთმანეთისგან, ყველა თავისთვის პირველად აღმოაჩენს სიყვარულის სასწაულს, რამეთუ, როგორც ვიქტორ ნოზაძე ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთმეტყველებაში: „ყველამ იცის, რა არის სიყვარული და არავინ უწყის, რა არის იგი! ყველას განუცდია და იცის, რა არის სქესობრიობა, მაგრამ ვერავინ გეტყვის, რა არის იგი“ (ნოზაძე, 1975:).

დიახ, სიყვარული ყველაზე „იმპრესიონისტული“ ინტიმური განცდაა, ამდენად, მხოლოდ შენეული ფერებით, შენეული ნიუანსებით, შენეული მელოდიებით სრულიად ორიგინალურად იხატება და იქმნება სიყვარულის დღესასწაული. ასეთი განსხვავებული, მხოლოდ სულხან ნულუკიძისეულია „წითელ წიგნში“ გადანახულ-თავშეფარებული სიყვარულიც, რომელიც „ახალი რომანტიზმის“ ხანის დასაწყისის კიდევ ერთი მაუწყებელია 21-ე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოზაძე ვიქტორ, „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთმეტყველება“, პარიზი, 1975.
იხ. www.lib.ge;
2. რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „საბლიტგამი“, თბილისი, 1951;
3. ნულუკიძე სულხან, „წითელი წიგნი“, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2020.



ახიკავა ახიკავა

ქართველ ფილოსოფოსთა ოქროს თაობის გამორჩეული წარმომადგენელი

1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ საქართველოში მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარების ფართო პერსპექტივა დაისახა. ამ დარგებს შორის იყო ფილოსოფიაც, რომლის უპირველესი წარმომადგენელი – შალვა ნუცუბიძე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შორის იყო.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მეცნიერული კვლევები იდეოლოგიურ მარწმუნებში მოექცა. ამის მიუხედავად, ქართველი ფილოსოფოსები ღიად თუ შეფარვით მაინც ახერხებდნენ ღირებული ნაშრომების შექმნას. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ისე როგორც საერთოდ ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენელთა, ისე ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომებში დიდი იყო კომუნისტური იდეოლოგიის კვალი. რეჟიმი ამით არ კმაყოფილდებოდა, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსებიდან ზოგიერთს აპატიმრებდა (შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, გოგიბერიძე, კ. მეგრელიძე), ზოგიერთს დაცულ დისერტაციას უუქმებდა (კ. ბაქრაძე), ზოგიერთს კი დისერტაციის დაცვის საშუალებას არ აძლევდა (ს. წერეთელი).

იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, უნივერსიტეტის დაარსებიდან ოთხი ათეული წლის

განმავლობაში ქართველმა ფილოსოფოსებმა შექმნეს ფუნდამენტური გამოკვლევები ანტიკური ფილოსოფიის ისტორიაში, გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, მარქსისტულ ფილოსოფიაში, ქართული ფილოსოფიის ისტორიაში, ლოგიკისა და დიალექტიკური ლოგიკის საკითხებზე და სხვ.

გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან კი ქართულ ფილოსოფიაში იწყება ახალი ერა, რომელიც შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც *ფილოსოფიის მოშინაურება საბჭოთა საქართველოში*. ეს სწორედ ის ხანაა, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ერთიმეორეზე მიყოლებით ყალიბდება ფილოსოფიის არამარქსისტული დარგების – ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და აქსიოლოგიის (ეთიკა და ესთეტიკა) განყოფილებები. მოგვიანებით კი ისტორიული მატერიალიზმის განყოფილება გარდაიქმნა ასევე თითქმის არამარქსისტულ – კულტურის ფილოსოფიის განყოფილებად. ამ საშური საქმეების სათავეებთან ძირითადად იყვნენ ქარველ ფილოსოფოსთა ახალი თაობის წარმომადგენლები. ეს იყო ოქროს თაობა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი იყო თამაზ ბუაჩი-

ძე (1930-2001) – შესანიშნავი ფილოსოფოსი, ახალგაზრდა ქართველ ფილოსოფოსთა არაერთი თაობის აღმზრდელი და ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება.

რა იყო მანამდე, ვიდრე თამაზ ბუაჩიძე ქართული ინტელექტუალური საზოგადოებისთვის ამ სახით გახდებოდა ცნობილი? სამწუხაროდ, მისი გავლელი ცხოვრების გზა სულაც არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. რბილად არის ნათქვამი. მან გაიარა ცხოვრების ურთულესი გზა, რაზედაც ნათლად მეტყველებს ამ გზაზე არსებული უმძიმესი მომენტებისა თუ დაბრკოლებების უბრალო ჩამონათვალი: შვიდი წლის იყო თამაზი, როცა მამა ჯერ დააპატიმრეს და მალე დახვრიტეს, შემდეგ კი დედა გადაასახლეს ყაზახეთში; მისი უფროსი ძმა 14 წლის ანდრო (ანრი), რომელმაც მამის ხვედრის გამო „შური იძია“ და სკოლაში კედლიდან ჩამოხია ეჭოვის სურათი, გაამწესეს შუა აზიაში, უზბეკეთში, სადაც ის 16 წლის ასაკში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა თუ დაიღუპა.

ამის შემდეგ 7 წლის პირველკლასელი თამაზი და მასზე უფროსი და – ნელი იქცნენ „ხალხის მტრის“ შვილებად. მალე სკოლაც გამოუცვალეს – ნაკლებპრესტიჟულში გადაიყვანეს. მაგრამ სკოლაში, რომელშიც ძირითადად ებრაელი ბავშვები სწავლობდნენ, მას დიდი სითბო და სიყვარული დახვდა. თამაზ ბუაჩიძე იგონებს: *„ჩვენს კლასში გაანაწილეს უფასო საუზმის ერთი ბარათი, ეს ბარათი მე მომცეს... სკოლაში გადაწყვიტეს, სპეკტაკლი დაედგათ, მე მთავარი როლი მომცეს. მახსოვს, ერთხელ, ავად გავხდი და სკოლა გავაცდინე. იმავე დღეს, სიშორის მიუხედავად, ჩემს სანახავად კლასელები (ისაკა დავითაშვილი და მიშა იოსებაშვილი) ამოვიდნენ, „პონჩიკები“ მომიტანეს“.*

მტანჯველი ხანა თამაზ ბუაჩიძის ცხოვრებაში ამით არ დამთავრებულა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის წარჩინებულ და გამორჩეულ სტუდენტს, როგორც „ხალხის მტრის“ შვილს უარს ეუბნებიან სტალინურ სტიპენდიაზე. ასევე უარს ეუბნე-

ბიან მას ასპირანტურაში მიღებაზე, სამუშაოს დაწყებაზე და ა. შ. საბაბი ერთი და იგივეა – „ხალხის მტრის“ შვილი.

ასეთ წნეხს ყველა ვერ უძლებს, ხელს ჩაიქნევს ცხოვრებაზე, სასოწარკვეთილებაში ვარდება, ბოროტდება... საბედნიეროდ, ამ უსამართლობამ იგი ვერ გატეხა და ამ გამონევეებს სიმდაბლებზე ამალღებული რეაქციით უპასუხა. *„ეს იყო თავისებური, შინაგანი (იქნებ ბოლომდე გაუცნობიერებელი) პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. თამაზ ბუაჩიძე არ აღმოჩნდა ამ რეჟიმის უპირობო გავლენის მსხვერპლი (როგორც სხვა მრავალი), იგი მას [შეხვდა] გარკვეული მზაობით, როგორც მთლიანი, გონის მქონე პიროვნება. ეს იყო პრინციპული არჩევანი სიძულვილსა და სიყვარულს შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ“* /იაგო კაჭკაჭიშვილი/ (2, გვ. 735).

1958 წლიდან თამაზ ბუაჩიძის ცხოვრებაში შემობრუნების დრო დგება. ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, გამოჩენილი ფილოსოფოსი და დიდი ადამიანი სავლემ ნერეთელი გაიხსენებს ერთ დროს თავის ნიჭიერ სტუდენტს, მოძებნის მას – იმ დროისთვის ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტს თამაზ ბუაჩიძეს და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურის კარებს გაუღებს. 1958-1961 წლებში იგი ასპირანტია, 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1998 წელს სადოქტორო (ისიც კოლეგებისა და მეგობრების დაჟინებული მოთხოვნით. მას ხარისხები ფილოსოფოსობის საზომად არ მიაჩნდა). ფილოსოფიის ინსტიტუტში თამაზ ბუაჩიძის განვლილი გზა ასეთი იყო: უმცროსი მეცნიერთანამშრომელი – ინსტიტუტის სწავლული მდივანი (1966-1967 წწ.) – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1967-1997 წწ.) – ინსტიტუტის დირექტორი (1997-2001 წწ.).

დროის ეს თითქმის 40 წლიანი მონაკვეთი თამაზ ბუაჩიძის ცხოვრებაში ხასიათდება, როგორც შემოქმედებითი, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობით. ამასთან, ის პარალელურად მთელი

30 წლის განმავლობაში წარმატებით უძღვება ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას.

თამაზ ბუაჩიძემ დატოვა უმნიშვნელოვანესი მონოგრაფიები ფილოსოფიაში, მრავალი სამეცნიერო სტატია, პუბლიცისტური წერილები და რეცენზიები. მის მონოგრაფიებში განხილულია ჭეშმარიტების ობიექტურობის საკითხი, ფილოსოფიის არსების პრობლემა ჰეგელთან, სიცოცხლის ფილოსოფია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია და კოტე ბაქრაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. სამეცნიერო ნაშრომებსა და სტატიებში განხილულია ჰეგელის, რიკერტის, ნიცშეს, იასპერსის, არქიმანდრიტ გაბრიელისა და ნიკოლოაი დობროლიუბოვის თვალსაზრისები ფილოსოფიის სხვადასხვა საკითხებზე. ამასთან, ჰეგელს ეძღვნება ხუთი სტატია და ორი წერილი, ნიცშეს კი ორი სტატია. სტატიები, წერილები და რეცენზიებიც მრავალფეროვანია და მათზე დაწვრილებით შეჩერება შორს წაგვიყვანდა.

საგაზეთო წერილი არ იძლევა იმის საშუალებას, ყოველმხრივ განვიხილოთ თამაზ ბუაჩიძის მეცნიერული და პუბლიცისტური შემოქმედება. შევჩერდებით მისი შემოქმედების ზოგიერთ მომენტზე, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ქართულ სინამდვილესთან და რასაც აქამდე ყურადღება არ ექცეოდა.

დავიწყოთ ე. წ. „მომარქსვის“ ფენომენით. საბჭოთა პერიოდში ჰუმანიტარულ დისციპლინებში, განსაკუთრებით ფილოსოფიაში, სამეცნიერო ნაშრომში გატარებული აზრები გამაგრებული უნდა ყოფილიყო მარქსიზმის კლასიკოსების ციტატებითა და პარტიული დოკუმენტებით. ამ მოვლენას ჩვენ, ფილოსოფოსები „მომარქსვას“ ვუნოდებდით. ახლა, როცა სპეციალურად ჩავუჯექი თ. ბუაჩიძის შემოქმედებას გაკვირვებული დავრჩი ჩემი „აღმოჩენით“. მის არც ერთ მონოგრაფიაში, სამეცნიერო სტატიაში თუ პუბლიცისტურ წერილში ერთხელაც არ არის დამონებული მარქსიზმის კლასიკოსების ციტატები თუ პარტიული დოკუმენტები. არა-

და, მათი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდშია გამოქვეყნებული. მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები მარქსი, როცა გაუცხოების პრობლემა განხილული. ამ საკითხში კი მარქსის არხსენება გაუმართლებელი იქნებოდა და „ცოდვად“ ნამდვილად ვერ ჩაითვლება. მის ნაშრომებში ძირითადად დამონებულია ფილოსოფიის კლასიკოსების (კანტი, ჰეგელი, შოპენჰაუერი, კირკეგორი, ნიცშე, დილთაი, ჰუსერლი, რიკერტი, რასელი, ვიტგენშტაინი, შპენგლერი, კარნაპი და სხვ.) შრომები.

„მომარქსვის“ იგნორირების თვალსაზრისით საყურადღებოა ბუაჩიძის პირველი მონოგრაფია – „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ“ (1964). საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტებისა და ჭეშმარიტების ობიექტურობის პრობლემა მარქსიზმისთვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამასთან, მონოგრაფია ქვეყნდება 1964 წელს და ავტორი თ. ბუაჩიძე ახერხებს გვერდი აუაროს მარქსიზმს. ეს მით უფრო გასაკვირია ახლო წარსულში მისი ოჯახის უმძიმესი რეპრესიების ფონზე.

საყურადღებოა თ. ბუაჩიძის მონოგრაფია ჰეგელზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჰეგელის ფილოსოფიაზე კ. ბაქრაძისა და ს. წერეთლის ფუნდამენტური გამოკვლევების შემდეგ ძნელია რაიმე ახლის თქმა. ბუაჩიძემ ეს მოახერხა და ახლებურად წაიკითხა ჰეგელი, ფილოსოფიის უახლესი მონაპოვრების საფუძველზე შეაფასა ჰეგელის ფილოსოფია. თუნდაც *სამყაროსთან ადამიანის ღირებულებითი მიმართების* განხილვა ჰეგელთან, რად ღირს. სრულად ვიზიარებთ თ. ბუაჩიძის მიერ ჰეგელის ახლებურად წაკითხვასთან გამოთქმულ აზრს: „თ. ბუაჩიძემ შეძლო ჰეგელის მოძღვრებაში ისეთი სიღრმისეული შრეების წამოწევა, რომლებიც მისი წინამორბედი ქართველი ფილოსოფოსების მხედველობის არეში არ მოქცეულა. ეს არის ფილოსოფიის არსების პრობლემა“ /სარედაქციო კოლეგიის შესავალი წერილი/ (1, გვ. 7).

თამაზ ბუაჩიძემ ჰეგელის ფილოსოფიის ცალკეულ საკითხებს არაერთი სამეცნიერო სტატია

მიუძღვნა. ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების პარალელები ჰეგელის აზრებთან.

თამაზ ბუაჩიძე განსჯის საგნად იხდის ილიას „განდეგილში“ მიუდაბნოეს ნათქვამს – „... გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა“ და ჰეგელის „უბედური ცნობიერება“. გარკვეული ნიაღვრების შემდეგ პოულობს მათ შორის განსხვავებას და საერთოსაც. მისი აღნიშვნით, ამ უბედურების მიზეზია არა შინაგანი, არამედ გარეგანი, რასაც საფუძვლად უდევს გარკვეული მსოფლმხედველობა და მის საფუძველზე არჩეული ცხოვრების წესი.

ჰეგელის აზრით, უბედური ცნობიერება ერთი მხრივ შეიცავს უცვლელ ცნობიერებას რომელიც მიმართულია მარადიულისადმი, ხოლო მეორე მხრივ ცვალებად ცნობიერებას, რომელიც მიმართულია ცვალებადისკენ, „ამქვეყნიურისკენ“. უბედური ცნობიერება ცდილობს განთავისუფლდეს ამქვეყნიურისგან და ამაღლდეს იმქვეყნიურამდე. ჰეგელი სწორედ ამ დუალიზმის – უბედურების წყაროს (ამქვეყნიური და იმქვეყნიური, ღმერთი და ადამიანი...) დაძლევაში ხედავდა გამოსავალს, აღნიშნავს თამაზ ბუაჩიძე.

თამაზ ბუაჩიძის აზრით, თუკი ჰეგელისთვის უბედურების მიზეზია ადამიანისა და ღმერთს შორის უფსკრული, ილიასთან პრობლემაა ადამიანებს შორის უფსკრული, რაც აუცილებლობით წარმოშობს განდეგილობას.

საბოლოო დასკვნა თ. ბუაჩიძის ასეთია: აღნიშნულ პრობლემის ირგვლივ ჰეგელისა და ილიას თვალსაზრისებს შორის, განსხვავების გარდა საერთოც არის, რაც დაკავშირებულია ამ უბედურებისგან თავის დაღწევასთან: „ამქვეყნიური, მინიერი არ არის მოკლებული ღირებულებას, გონიერებას, ღვთაებრიობას და ამიტომ ის უნდა გახდეს სარბიელი ადამიანის მოქმედებისა“ (2, გვ. 604).

როგორც დავინახეთ, თამაზ ბუაჩიძემ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის „უბედურ ცნობიერებასა“ და ასევე დიდი ქართველ პოეტის ილიას პოემის – „განდეგილის“ გმირის წამოცდენაში –

„ესეთი მერგო მე... უბედურსა“ განსხვავებისა და სიახლოვის ნიშნების ღრმასაფუძვლიანი და დამაჯერებელი ანალიზი მოგვცა.

ასევე საყურადღებოა თამაზ ბუაჩიძის მოსაზრება ჰეგელისა და გალაკტიონის „შეხვედრის“ თაობაზე. პოეტის ერთ პატარა ლექსში განსჯის საგანია ახალგაზრდის „ზნეობის სიტყვა“ და ბებრის ოხვრა, რომ ახალგაზრდის მსოფლმხედვასთან შედარებით გამოცდილ ბებერს უპირატესობა აქვს. აქ დამონმებულია ჰეგელი – „როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი“.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჰეგელთან ყრმას, ახალგაზრდას მიაჩნია, რომ სამყაროში ქაოსია და მან უნდა გარდაქმნას და დაამყაროს სამყაროში წესრიგი. თამაზ ბუაჩიძის აზრით, ყრმის გულუბრყვილო პოზიციას ჰეგელთან უპირისპირდება გამოცდილი, ჭარმაგი მამაკაცის პოზიცია, რომელიც ცდილობს თავისი მიზნები განახორციელოს სამყაროსთან უშუალო მიმიმართებაში. ამ მიმართებით ჰეგელის პოზიცია „გამსჭვალავს გალაკტიონის მთელ ლექსს“. ავტორი თავს იკავებს იმის თაობაზე – აისახა თუ არა ჰეგელის ეს თვალსაზრისი პოეტის სხვა ქმნილებებში. შთამბეჭდავია თამაზ ბუაჩიძის დასკვნა: „თავისი რთული გზის, რომელიდაც მოსახვევზე ჰეგელის ფილოსოფიით შთაგონებულმა გალაკტიონმა სამყაროს „გონიერად“ შეხედა, ხოლო იმას, ვინც სამყაროს გონიერად უყურებს, „სამყაროც გონიერად უყურებს“ – როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი“ (2, გვ. 367).

თამაზ ბუაჩიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰეგელის ფილოსოფიაში მოცემულ ობიექტური გონის ცნებას. თუკი სუბიექტური გონი სიცოცხლეა, ობიექტური გონი გასაგნებული სიცოცხლეა. ამ საკითხის განხილვისას ის სანიშნოდ მიმართავს კულტურას, რომელიც არის გასაგნებული გონი. ამ მიმართებით ქართული კულტურის სინამდვილიდან იღებს ყინწვისის „ჯვარცმასა“ და „ვეფხისტყაოსანს“.

ქართველმა ხელოვანმა ყინწვისის ფრესკაში თავისი მრწამსი „ჩადო“, ის არის ერთგვარი „ტექსტი“, რომელშიც უნდა ამოვიკითხოთ მასში ჩადებული საზრისი. ეს საზრისი კი არის – ობი-

ექტური გონი. თუ როგორ არის განივთებული ობიექტური გონი ამ მასალაში, იმის მიხედვით წარმოჩნდება წმინდად „ქართულის“ სპეციფიკურ-ადამიანური თვისებები – უღრმესი მონივნა ღვთიურის წინაშე, სიმაღლის სიყვარული და სხვ.

ასევეა „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში. მისი არსის გაგებით, მასში ვწვდებით „ქართულს“. „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ქართველი კაცის მსოფლგაგებაა მოცემული. დაკვირვებული თვალი აქ ამოიკითხავს ქართველის დამოკიდებულებას ბუნებასთან, მეორე ადამიანთან, სიცოცხლესთან, სიკვდილთან“ (1, გვ. 392).

აი ასე აკავშირებს თამაზ ბუაჩიძე ჰეგელის ფილოსოფიასთან ქართული მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშებს. მთლიანობაში მისი ნაშრომების განხილვა სხვადასხვა მიმართებით ბევრ სიახლეს დავინახავთ. მაგრამ ეს სხვა კვლევის საქმეა.

თამაზ ბუაჩიძემ მშვენიერი მონოგრაფია დაწერა მისი მასწავლებლის კოტე ბაქრაძის

ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ასევე საყურადღებო და საინტერესო წერილები მიუძღვნა მის მასწავლებელს – სავლე წერეთელს, მის გამორჩეულ მეგობარს ზურაბ კაკაბაძეს და ნიკო ჭავჭავაძეს...

ასეთია ზოგად შტრიხებში – „ხალხის მტრის“ შვილის, ქვემარტი ფილოსოფოსის, თაობების აღმზრდელისა და კარგი ქართველის – თამაზ ბუაჩიძის რელიეფური პორტრეტი, ვინც ფილოსოფიის სიყვარულით ცხოვრობდა და ცოცხლობდა...

ახალგაზრდებს და საერთოდ სიბრძნის მოყვარულებს ვურჩევ ნაიკითხონ თ. ბუაჩიძის ნიგნები, სტატიები და წერილები, რომლებიც თავმოყრილია მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული „ფილოსოფიური ნარკვევების“ ორტომეულში და დარწმუნდებიან იმაში, რომ საქართველოს მისი სახით კიდევ ერთი ევროპული დონის ფილოსოფოსი ჰყავდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუაჩიძე თამაზ. ფილოსოფიური ნარკვევები. თბილისი, ტ. I, 2003.
2. ბუაჩიძე თამაზ. ფილოსოფიური ნარკვევები. თბილისი, ტ. II, 2005.

ჭორბი 3

2022

მალხაზ ფალავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2022 malkhaz.pagava@gmail.com